პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—53
) ღამის მორიგე 13—30

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- პროტესტი ჩეხო-სლოვაკიაში კრასინელების არ შეშვების წინააღმდეგ.
- მუნიციპალური არჩევნების შედეგები ბულგარეთში.
- გადადგა ავსტრიის პრეზიდენტი.
- ვარშავაში ჩავიდა ერთა ლიგის გენერალური მდივანი დრუმონდი.
- გარდაიცვალა ცნობილი დრ. ამატურგი ზუდერმანი.
- წყნარ ოკეანის პროფკავშირთა სამდივნოს მოწოდება.
- პროფ. კულიკი მეტეორიტის შესახებ.

პარასკევი, 23 ნოემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 271 (2314)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს „დამოუკიდებლობა“ და იმპერიალისტები

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მეტად საყურადღებო დოკუმენტი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „როტე ფანე“-დან. ეს არის გერმანიის გენერალურ შტაბთან შემდგარ უაღრესად კონსპირატიულ თათბირის ოქმი, რომელიც ამოღებულია ყოფილ იმპერატორ ვილჰელმის პირად საიდუმლო არქივიდან. ეს დოკუმენტი შედარებით ახლო წარსულს ეკუთვნის, მასში მოყვანილი ფაქტები ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენს მეხსიერებაში. ეს დოკუმენტი იმდენად მჭერმეტყველურია, თავის შინაარსით, რომ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ის ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიჭერს ქართული მენშევიკური ჟირონდის ისტორიაში.

ამ ოქმის მთავარი და თავისებური ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ აქ აშკარა იმპერიალისტური ზრახვები შეფერადებული არაა დიპლომატიური თვალთმაქცობით აქ ყველაფერი „პირდაპირ და გულახდილათ“ არის ნათქვამი. და ეს გასაგებიცაა. ოქმი წარმოადგენს გერმანიის იმპერიალიზმის დაგეშილ ფალავანების ინტიმურ, მაგრამ უაღრესად საქმიან თათბირის ანგარიშს. ფართე შრომელ მასებს, რომელთაც ქართული მენშევიზმის მოღალატეობის არა ერთი დამადასტურებელი დოკუმენტი უხილავთ, ერთხელ კიდევ ეძლევათ საშუალება გაეცნონ. ვინ ან რა საიდუმლო ძალები ამოქმედებდა ჟორდანია-რამიშვილებს საქართველოს, სად იმალებოდა აქ საქართველოს „დამოუკიდებლობის“ ფესვები და რა მიზანს ემსახურებოდა ის.

1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველო რეაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, რომელიც აღმოცენდა ყოფილ მეფის რუსეთის ტერიტორიაზე ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე. ფორმალურად, მშრომელი მასების თვალის ასახვევად მთელი კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა საქართველოში იფარებოდა მეტად პოპულიარულ და მომგებიან ლოზუნგით — ეს იყო ბრძოლა „დამოუკიდებლობისათვის“. ამ ბრძოლის ნამდვილი მიზანი კი შესანიშნავად არის განმარტებული გენერალ ლიუდენდორფის განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა ხსენებულ საიდუმლო თათბირზე.

„საქართველოს, ამბობს ლიუდენდორფი, კარგი ჯარისკაცების (ალბად უნდა ეთქვა ზარბაზნის — რედ.) მასალა აქვს. ჩვენ იქ გამოსადეგი (?) ქართული ჯარი უნდა შევქმნათ... საქართველოს ცნობა ერთ-ერთი გაკაფული გზაა ბაქოსაკენ. ჩვენს ფლოტს ნავთი ესაჭიროება, ნავთის საკითხს ძირითადი მნიშვნელობა აქვს“.

ეს ციტატა განმარტებას აღარ საჭიროებს. გენერალი ლიუდენდორფი ლაპარაკობს თავის წრეში, ლაპარაკობს ჯარისკაცის ენით, მარტივად და პირდაპირ. „საქართველოს ცნობა ერთ-ერთი გაკაფული გზაა ბაქოსაკენ“, ამბობს ის. გერმანიის იმპერიალიზმის ეს იდეალი მტაცებლური ზრახვები შესაფერის გამოძახილს და „სოციალისტურ“ დასაბუთებას პოულობდა ქართული სოციალ-გამცემლობის მხრივ. „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები“, — ასეთი იყო მენშევიკური საქართველოს არსებობის ოფიციალურად აღიარებული გეზი და პრაქტიკული მოღვაწეობის პროგრამა, რომელიც წამოაყენა ქართულ სოციალ-დემოკრატიის ბელადმა ჟორდანიამ.

თავისი მოღალატური ერთგულებით და ნორჩ საბჭოთა რუსეთისადმი ველური სიძულვილით, ქართველ მენშევიკებმა თავიდანვე მიიპყრეს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის აქტიურ ძალების განსაკუთრებული ყურადღება. ყველა იმათ თვალში, ვინც ოცნებობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე, საქართველო იშვიათ მნიშვნელობას ღებულობდა. გარდა იმისა, რომ ქართველი მენშევიკები წელებზე ფეხებს იდგამდნენ ამ აზრის განმტკიცებისათვის, ასეთ შეხედულებას ხელს უწყობდა საქართველოს თავისებური გეოგრაფიული პირობებიც.

და ოდნავათაც არ შემცდარა იმპერატორი ვილჰელმი, რომელმაც აღნიშნულ თათბირზე ქართველ მენშევიკებს სპეციალური მისია დააკისრა. ვილჰელმმა თათბირზე განაცხადა: „ანტ-რუსული (იგულისხმება ანტისაბჭოთა. რედ.) ცენტრის დაარსება მხოლოდ თბილისში შეიძლება“-ო. და ეს ცარიელი სიტყვები არ ყოფილა. ასეთი იყო სინამდვილე. ან კი რა შეუშლიდა ამას ხელს, როცა ამ მხრივ იშვიათი ერთსულოვნება სუფევდა ლიუდენდორფ-ვილჰელმსა და მათ ყურმოჭრილ მონათა ქართულ სოციალ-დემოკრატების შორის. ახლად აღმოცენებულ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სისხლში ჩახრჩობა, ვილჰელმის სიტყვით — რუსეთის „წესრიგის მომხრე“ ელემენტების გამარჯვებისათვის ხელის შეწყობა, აი რა ასულდგმულებდა მთელ რეაქციონურ ხროვას და მათ შორის გერმანიის იმპერიალიზმსაც. ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებისა და საბჭოთა რუსეთის დამარცხების წყურვილით მოილტვოდა გერმანიის კაპიტალი საქართველოში, ქართველი მენშევიკები აღტაცებით და ქედმოხრით ეგებებოდნენ მის შემოსვლას.

ამ სამსახურისათვის გერმანიის კაპიტალი შესაფერის „ჯილდოსაც“ ჰპირდებოდა საქართველოს: 50-80 მილიონ მარკა სესხს. სარგებელი კი აქედან გერმანიას უნდა წაეღო არც მეტი არც ნაკლები: ფოთის ნავთსადგურის შემოსავალი და მარგანეცის საექსპორტო ბაჟი. ამასთანავე გერმანია დაიმკვიდრებდა უფლებას ჩვენს რკინის გზებზე. ასე მოგვითხრობს საიდუმლო თათბირზე საიდუმლო მრჩეველი ფონ-როზენბერგი. „დამოუკიდებელ“ საქართველოს დიახაც თვალწარმტაცი სურათია.

დღეს ყოველივე ეს „წარსულთა დღეთა“ მწარე მოგონებაა. მუშებისა და გლეხების ნამდვილად თავისუფალი საქართველო მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის საშუალებით შეუჩერებლივ მიდის წინ მატერიალურ და კულტურულ აღორძინების მხრივ. საქართველო გერმანიის იმპერიალიზმის პლაცდარმი და საქართველო სოციალისტური, საქართველო ზაჰესის და რიონჰესის, ასეთია განვლილ ათი წლის შედეგი. ეს ხომ ჩვენი უდიდესი მიღწევაა! სწორედ ამაშია ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების საწინდარი.

თვითდაბეგვრა სოფლად

1927 წლის აგვისტოში შემოღებული თვითდაბეგვრის ახალი წესის ამოცანას შეადგენდა, ჯერ ერთი, ის, რომ გლეხობას თვითდაბეგვრის კანონიერი უფლება ჰქონოდა თავის კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მეორე—თვითდაბეგვრის საკითხის გადაწყვეტა და თვითდასაბეგრი თანხების განაწილება გლეხთა შორის ისეთი წესით მომხდარიყო, რომელიც პარტიის პოლიტიკას დააკმაყოფილებდა სოფლის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიმართ.

თვითდაბეგვრა ამ ახალი კანონების მიხედვით პირველად შარშან მოხდა. შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვსთქვათ, რომ თვითდაბეგვრის საერთო შედეგები ძირითადი ამოცანების შესრულების თვალსაზრისით უეჭველად დადებითი გამოდგა. თვითდაბეგვრის პრაქტიკა კი ყოვლად უვარგისი აღმოჩნდა, დამახინჯებული და ისეთი ფაქტებით სავსე, რომლებიც ამრუდებდნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სწორ ხაზს.

ასეთი დამახინჯების მიზეზია არა კანონის ნაკლი და იმ პრინციპების შეცდომა, რომლებიც საფუძვლად დაედო თვითდაბეგვრის ახალ წესს, არამედ, უმთავრესად, თვითდაბეგვრის პრაქტიკულად განხორციელების პირობები და, პირველ ყოვლისა, ის აჩქარება, რომელიც კამპანიის ჩატარებას ახასიათებდა.

თვითდაბეგვრა ახალი მოვლენა არ არის ჩვენი სოფლისათვის, მაგრამ დღევანდელი თვითდაბეგვრა წინანდელისაგან განსხვავდება მკაფიო კლასობრივი ხაზით. ამას გვიდასტურებს თვითდაბეგვრის ახლანდელი სისტემის შემდეგი ძირითადი პრინციპები. სოფელში დაწესებულია თვითდასაბეგრი თანხის საერთო ჯამის მტკიცე საზღვარი; იმ ღონისძიებათა ნუსხაში, რომელთა საჭიროებისთვისაც შეიძლება თვითდაბეგვრის ჩატარება, მოქცეულია მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო სოციალური და სამეურნეო ღონისძიებანი; გლეხობის მეურნეობათა შორის თვითდასაბეგრი თანხის განაწილების წესი ისეთია, რომ იგი ანთავისუფლებს ღარიბ გლეხობას თვითდაბეგვრისაგან და მის მთავარ სიმძიმეს აკისრებს სოფლის შეძლებულ ფენას.

ჩატარებული კამპანიის შედეგები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნული პრინციპების მთავარი ნაწილი ხორციელდება. თვითდაბეგვრას უნდა მოეცა დაახლოვებით 100 მილიონი მანეთი, ფაქტიურად კი შემოვიდა 98,4 მილ. მანეთი. დირექტივა, რომლის მიხედვითაც ეს თანხა გლეხის ცალკე მეურნეობათა შორის უნდა განაწილებულიყო იმგვარად, რომ, თვითდაბეგვრისაგან ღარიბების განთავისუფლებასთან ერთად, ძირითადი სიმძიმე დაწოლოდა სოფლის ზედაფენას,—ეს დირექტივა ბევრ შემთხვევაში გადაჭარბებული სისწორითაც კი იქნა შესრულებული. თვითდაბეგვრის მთელი თანხა სოფლად ზოგჯერ ნაწილდებოდა სოფლის მხოლოდ რამდენიმე შეძლებულს შორის, რაც შეეხება ღარიბებს, ისინი მეტწილად განთავისუფლებულნი იყვნენ თვითდაბეგვრისაგან.

დირექტივა საერთოდ შესრულებულ იქნა იმ ღონისძიებათა შემუშავების მხრივაც, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ სოფლის სოციალურ, კულტურულ და სამეურნეო გარდაქმნას. ეს სჩანს თუნდაც იქედან, რომ თვითდაბეგვრის საერთო თანხიდან სახალხო განათლებისთვის გათვალისწინებულია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 42 პროც., უკრაინის ს. ს. რ-ში 65 პროც., სოფლის კეთილმოწყობისთვის (კომუნალური მეურნეობა) 22 პროც. და სხვ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რით აიხსნება, რომ, მიუხედავად ასეთი დადებითი შედეგებისა, წარსულ წელს ადგილი ჰქონდა გლეხობის ერთგვარ უკმაყოფილებას და რამდენად საფუძვლიანი იყო ეს უკმაყოფილება?

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს უკმაყოფილება ბევრ შემთხვევაში გამომდინარეობდა, პირველი, თვითდაბეგვრის გატარების იმ არანორმალური პრაქტიკიდან, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ, და, მეორე, იმ ფაქტიდან, რომ ან არ დახარჯულა დღემდე შეგროვილი თანხა, ან დაიხარჯა ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო სახოფლო ყრილობების მიერ. თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხა იხარჯებოდა მაცივარების ასაგებად, ადგილობრივი ადმინისტრატიული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ავტომობილის შესაძენად სარაიონო ან სამაზრო აღმასკომისათვის. მაგრამ მაინც შეცდომა იქნება დასახელებული ფაქტების მიხედვით ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ სოფლის ძირითადი მასა—ღარიბი და საშუალო გლეხობა—თვითდაბეგვრის წინააღმდეგია. პირიქით, სწორედ ღარიბი და საშუალო გლეხობაა უაღრესად დაინტერესებული თვითდაბეგვრით. სოფელში ბევრია უკიდურესი და გადაუდებელი საჭიროება, განსაკუთრებით კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ დარგში. ამავე დროს ჩვენი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი დატვირთულია იმ დიდი თანხებით, რომელთა გაღებაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და ამიტომ იგი ვერ დააკმაყოფილებს სოფლის კულტურულ-სამეურნეო მოთხოვნილებებს. ამის გამო გლეხობას სავსებით ბუნებრივად მიაჩნია და შეგნებული აქვს, რომ მან თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ხარჯების დაფარვაში.

ეხლა როდესაც გლეხობამ დაინახა თვითდაბეგვრის რეალური შედეგები, ის გადაჭრით სვამს საკითხს რომ თვითდაბეგვრა მიმდინარე წელსაც განხორციელდეს. გლეხობა მხედველობაში იღებს გასული წლის პრაქტიკას, როდესაც, როგორც უკვე ვთქვით, კამპანია დაგვიანებით დაიწყო. ამიტომ იგი დაინტერესებულია, რომ მიმდინარე წელს თვითდაბეგვრა აღარ დაგვიანდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: პირველი—ვინაიდან სოფელს აქვს ბევრი უკიდურესი საჭიროება, რომელსაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ დაფარავს, თვითდაბეგვრა დატოვებულ უნდა იქნას.

მეორე—იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივმა გლეხობამ გადაწყვიტა თვითდაბეგვრის გატარება, ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მას, რომ თვითდაბეგვრა თავის დროზე და ორგანიზაციულად განხორციელდეს.

მესამე—თვითდაბეგვრა აუცილებლად უნდა განხორციელდეს მხოლოდ ნებაყოფლობითი წესით. დაუშვებელია არა მარტო ისეთი „თვითდაბეგვრა“, რომელსაც ადგილობრივი აღმასკომი დააწესებს, არამედ ისეთი გადაწყვეტილებაც თვითდაბეგვრის შესახებ, რომელსაც მიიღებს სოფლის ყრილობა კანონიერი ნორმების, ქვორუმის და სხვ. დაცვის გარეშე. მაგრამ ამავე დროს სავსებით აშკარაა, რომ თვითდაბეგვრა არ შეიძლება განხორციელდეს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ღარიბი და საშუალო გლეხობის აქტივის დაუხმარებლად. ხსენებული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ გლეხობას, როდესაც უკანასკნელი გამოიჩენს ინიციატივას თვითდაბეგვრის განსახორციელებლად.

საჭირო არ არის რაიმე განსაკუთრებული „დაკვრითი“ კამპანიის დაწყება თვითდაბეგვრის გასატარებლად. საჭიროა ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციამ, ყოველმა სოფლელმა კომუნისტმა, კომკავშირელმა და უპარტიო აქტივმა, როდესაც სოფლის ყრილობაზე დაბეგვრის საკითხი და გაითვალისწინოს სოფლის განსაკუთრებით გადაუდებელი საჭიროებანი, რათა გამოიჩინოს ინიციატივა და აქტივობა, როდესაც სოფლის ყრილობაზე დაისმება თვითდაბეგვრის საკითხები. უნდა გათვალისწინებულ იქნას, თუ რა ღონისძიებებია საჭირო, რამდენი ფული დასჭირდება ამ ღონისძიებების განხორციელებას, შესაძლებელია თუ არა დასახული ღონისძიებების განხორციელება თვითდაბეგვრის ფარგლებში (თვითდაბეგვრა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 25 პროცენტს),—ერთის სიტყვით, სოფლის კომუნისტებმა და აქტივისტებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გლეხობას რაც შეიძლება მიზანშეწონილად განახორციელოს თვითდაბეგვრა.

რა თქმა უნდა, ძალაში რჩებიან ის ძირითადი პრინციპები, რომლების მიხედვითაც თვითდაბეგვრა უნდა განაწილდეს გლეხობის ცალკე მეურნეობებს შორის. მაგრამ ძალაში რჩება ის ძირითადი საფრთხეც, რომ სოფლის შეძლებული ნაწილი, განსაკუთრებით კულაკური ფენა, რომელსაც აწვება თვითდაბეგვრის მთავარი სიმძიმე, ყოველნაირად შეეცდება ხელი შეუშალოს თვითდაბეგვრის განხორციელებას, შეეცდება ძალა დაატანოს სოფლის ძირითად მასას, რომელიც დაინტერესებულია თვითდაბეგვრის გატარებით. თუ ამავე დროს მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თვითდაბეგვრის საკითხის კანონიერი გადაჭრისათვის საჭიროა სოფლის ყრილობას პირველად დაესწროს მოქალაქეთა 50 პროცენტი მაინც, ხოლო მეორედ არა ნაკლებ მესამედისა, კულაკების მიერ თვითდაბეგვრის ჩაშლის საფრთხე რეალურად უნდა ჩავთვალოთ. ამიტომ საჭიროა თავის დროზე განვუმარტოთ ღარიბ და საშუალო გლეხობას თვითდაბეგვრის სარგებლობა, მისი საფუძვლები. უნდა განვუმარტოთ, თუ თვითდაბეგვრის რა ნაწილი უნდა გადაიხადოს გლეხობის ამა თუ იმ ჯგუფმა, უნდა ავუხსნათ, რომ ღარიბი გლეხობის უდიდესი ნაწილი თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლებულია.

თუ ეხლავე დავიწყებთ მუშაობას თვითდაბეგვრის საფუძვლების ახსნა-განმარტებისათვის, ხელს შევუწყობთ გლეხობის ინიციატივას და ამ ინიციატივის გამომჟღავნებას იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც დასახული აქვს პარტიას სოფლად, თვითდაბეგვრა უთუოდ თავის დროზე და წარმატებით განხორციელდება.

„პრავდა“, 22 ნოემბერი.

ამერიკა უარს ამბობს შეუერთდეს რუსეთის კრედიტორთა საერთ. კომიტეტს

საფრანგეთის პრესა შტრეზემანის განცხადების შესახებ

კამათი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ სამხრეთ-სლავიის პრესაში

ამერიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ნიკარაგუას ოკუპაცია

ამერიკა უარს ამბობს

შეუერთდეს რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო კომიტეტს

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. საქმიანი წრეების ორგანო „ჯორნალ ოფ კომერს“-ი ეხება ცნობებს იმის შესახებ, რომ რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, „ეცადოს მიიღოს მეფის რუსეთის ვალის სათანადო ნაწილი. ბალტიის მხარის და იმ სხვა სახელმწიფოებისაგან, რომელნიც რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოიშვენ“. გაზეთი ილაშქრებს ასეთი გეგმის წინააღმდეგ. „ნეიშენელ სიტი ბანკმა“, რომელიც შეერთებულ შტატებში რუსეთის კრედიტორთა ინტერესების წარმომადგენლად ითვლება უარი სთქვა წინადადებაზე—შეერთებოდა „რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო კომიტეტს“. (ადს).

პასუხი შტრეზემანის განცხადებაზე

პარიზი, 21 ნოემბერი. მთელი ფრანგული პრესა გაცხოველებით მსჯელობს იმ კამათის შესახებ, რომელიც გაიმართა გერმანიის რეიხსტაგში საგარეო საქმეთა საკითხების გარშემო. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შტრეზემანის თეზისები ევაკუაციისა და რეპარაციების შესახებ დიამეტრიულად ეწინააღმდეგებიან იმ ხაზს, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გაითვალისწინა მომავალი სარეპარაციო მოლაპარაკებისათვის. შტრეზემანის იმ განცხადებას, რომ გერმანიას უფლება აქვს მოითხოვოს ევაკუაცია, მთელი ფრანგული ბურჟუაზიული პრესა უპირისპირებს საფრანგეთის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ევაკუაციისა და რეპარაციების საკითხებს მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. წინააღმდეგ შტრეზემანის განცხადებისა, რომ რეპარაციების საკითხის საბოლოო მოწესრიგებამდე გამორკვეულ უნდა იქნას გერმანიის უნარიანობა ვალის გადახდის საქმეში, ფრანგული ოფიციოზური პრესა სწერს, რომ გერმანიის უნარიანობა საბოლოოდ გამორკვეულია დაუესის გეგმით. შტრეზემანის სიტყვის ენერგიულ ტონს გაზეთები ხსნიან არა მარტო შინაური პოლიტიკის მოსაზრებით, არამედ ინგლისის მთავრობის პოზიციით. ინგლისმა, კონსერვატიული მთავრობის საარჩევნო ინტერესების გამო, გაუფრთხილებლად მხარი დაუჭირა გერმანიის მოთხოვნას ევაკუაციის საკითხში. „ტან“-ის სიტყვით, ინგლისისა და საფრანგეთის თვალსაზრისთა დაპირდაპირებით შტრეზემანი აშკარა სპეკულიაციას ეწევა ევაკუაციის საკითხში.

„მაგრამ, — აცხადებს გაზეთი, — **შტრეზემანი ნუ მიეცემა ილიუზიებს, რადგანაც ინგლის-საფრანგეთს არ ეშინია არც ინტრიგისა, არც სხვადასხვა მანევრებისა**“.

რადიკალური პრესაც უკმაყოფილოა ინგლისის პოზიციით ევაკუაციის საკითხში.

„ერ ნუველ“-ი ინგლისის კონსერვატორების მანევრში ხედავს ტენდენციას, რომლის მიზანსაც საფრანგეთ-გერმანიის მტრობის გამწვავებას შეადგენს.

სოციალისტების ორგანო „პოპიულერ“-ი ხმას არ იღებს იმაზე, თუ როგორია სოციალისტური პარტიის პოზიცია ევაკუაციისა და რეპარაციების საკითხში. მხოლოდ სოციალისტური „სუარ“-ი მოითხოვს სასწრაფო ევაკუაციას. გაზეთი აცხადებს: **„ის, ვინც ოკუპაციის განგრძობას მოითხოვს მომავალ ომს ამზადებს“-ო.**

კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, შტრეზემანისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატების ამაო ცდას გამოიყენონ საარჩევნოდ გამზადებული კონსერვატორების ცალკე გამოსვლები ევაკუაციის საკითხისათვის. გაზეთი აცხადებს: „ხვალაც, როგორც გუშინ, გერმანიას გადაეღობება საფრანგეთ-ინგლისის მტკიცე ბლოკი, რომელიც ამ ორი ქვეყნის იმპერიალიზმის ინტერესებს ემყარებაო“. (ადს)

სამხრეთსლავია--საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

პოლემიკა სამხრეთ-სლავიის პრესაში

ვენა, 21 ნოემბერი. სამხრეთ-სლავიის პრესაში უკანასკნელ დროს გაცხოველებული პოლემიკა სწარმოებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხის ირგვლივ. პოლემიკა გამოიწვია პრიბიჩევიჩის განცხადებამ, რომელმაც **მხარი დაუჭირა დიპლომატიურ ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენას საბჭოთა კავშირთან.** „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომლის კნიაზინის წერილის შემდეგ, რომელმაც საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგ გაილაშქრა, გაზეთ „პოლიტიკა“-ში დაიბეჭდა „მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის“ წარმომადგენლის ფრანგი პოლკოვნიკის ოდიეს წერილი. „საბჭოთა მთავრობა,—სწერს ოდიე,—არ არის რუსეთის ხალხის წარმომადგენელი. დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან ხელს უწყობს მხოლოდ მესამე ინტერნაციონალის მოქმედების განვითარებას ამ ქვეყანაში“.

შემდეგ ოდიე ეხება პრიბიჩევიჩის იმ სიტყვებს, რომ სამხრეთ-სლავია ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელსაც არავითარი ურთიერთობა არა აქვს საბჭოთა კავშირთანაო. ოდიე ასახელებს სხვა ქვეყნებს, რომლებსაც არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი. „ჩეხო-სლოვაკიას, სწერს ოდიე,—საბჭოთა კავშირთან მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა აქვს, რომელსაც არაფერი მოუცია გარდა მილიონი კომუნისტისა და საბჭოთა ჯაშუშობის ორგანიზაციისა“. (ადს).

პრიბიჩევიჩის განცხადება

ვენა, 21 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, პრიბიჩევიჩმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში თავისი აზრი გამოსთქვა პოლკოვნიკ ოდიეს წერილის გამო. პრიბიჩევიჩმა განაცხადა, რომ ლაპარაკია არა კომუნიზმზე, არამედ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობაზე, და რომ დიპლომატიური ურთიერთობის განახლებისათვის მხარის დაჭერა სრულებითაც არ ნიშნავს კომუნიზმისათვის მხარის დაჭერასო. ოდიეს განცხადებას იმის შესახებ, რომ „რადიჩი სკუპშტინაში მივიდა ჩიჩერინის რჩევით, რათა საბოტაჟი გამოეცხადებია საპარლამენტო რეჟიმისათვისო“, პრიბიჩევიჩი ცილისწამებას უწოდებს (ადს).

„სიტყვა სხვაა--საქმე სხვაა“

ვაშინგტონი, 21 ნოემბერი. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კემბერლენდის, შეერთებული შტატების საფინანსო მრჩევლის ნიკარაგუაში, მოხსენება. კემბერლენდი მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ ხელთ აიღოს „სრული კონტროლი ნიკარაგუას პოლიტიკასა და ფინანსებზე“. კერძოდ, კემბერლენდის აზრით, კონტროლი უნდა დაწესდეს ნიკარაგუას სახელმწიფო ბანკზე, ბიუჯეტზე და შეიარაღებული ძალების სარდლობაზე. ასეთი „კონტროლის“ დაწესების პირობად კემბერლენდი სთვლის იმას, რომ შეერთებული შტატების ბანკებმა ნიკარაგუას მისცეს 12 მილიონი დოლარის სესხი. საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ კემბერლენდის მოხსენება გამოხატავს კემბერლენდის პირად შეხედულებასო. მინისტრი არ კისრულობს პასუხისმგებლობას კემბერლენდის წინადადებისათვის. მიუხედავად ამისა, ფაქტები მოწმობენ, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა ნიკარაგუაში კემბერლენდის მიერ დასახულ გზას დაადგება. როგორც იუწყებიან, გუვერის მომავალმა მოგზაურობამ ნიკარაგუაში უნდა შეამზადოს შეერთებული შტატების მიერ ნიკარაგუას არხის გაყვანა. ეს არხი, შეერთებულ შტატებს საზღვაო სამინისტროს აზრით, წარმოადგენს პანამის არხის აუცილებელ დამატებას. ამასთან ერთად ნიკარაგუას კონსერვატიული და ლიბერალური პარტიების ბელადებმა ამას წინად მიმართეს შეერთებული შტატების მთავრობას „თხოვნით“—წინანდებურად განაგრძოს ნიკარაგუას სამხედრო ოკუპაცია. როგორც პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, ეს „თხოვნები“ დაწერილია შეერთებული შტატების ზეგავლენით და მოწმობენ იმას, რომ შეერთებული შტატების მთავრობა არ აპირებს ოკუპაციის შეწყვეტას. (ადს).

კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში

გაგენის მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს

ბერლინი, 21 ნოემბერი. გაგენის პოლიცეი-პრეზიდენტის ინიციატივით, მოლაპარაკება სწარმოებს გაგენის რაიონის ლითონის მრეწველობის წარმომადგენლებსა და რეფორმისტებს შორის. ამ მრეწველობაში 30 ნოემბრიდან ლოკაუტი აქვს გამოცხადებული — 30.000 მუშას. რეფორმისტული პროფკავშირების წარმომადგენლებმა კავშირის წევრებს დაუკითხავად განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან შეუთანხმდნენ მრეწველებს იმ პირობით, თუ დარჩება ხელფასის არსებული დონე. რეფორმისტები თანახმანი არიან აგრეთვე სამი თვით გაგრძელდეს არსებული სატარიფო შეთანხმების ვადა; მრეწველები კი ვადის გაგრძელებას მოითხოვენ ერთი წლით. საბოლოო შეთანხმება მათ შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ გამოიღო საქსონიის საფეიქრო მრეწველობაშიაც. საქსონიის მრეწველებმა გაუქმებულად გამოაცხადეს 30 ნოემბრის სატარიფო შეთანხმება, რათა თავიდან აეცილებიათ შეთანხმების დარღვევა პროფკავშირთა მხრივ. სატარიფო შეთანხმება შეეხება 500.000 ფეიქარს. მრეწველებმა იციან ფეიქართა განწყობილება, რომლებიც სამუშაო ხელფასის გადიდებას მოითხოვენ და ამიტომ ლოკაუტით ემუქრებიან მუშებს. მრეწველები მოითხოვენ, რომ არსებული სატარიფო შეთანხმების ვადა გაგრძელებულ იქნას 1 ნახ. წლით. განცხადებები სატარიფო შეთანხმების გაუქმების შესახებ გამოაქვეყნეს გერმანიის მთავალ სხვა სამრეწველო რაიონშიაც. (ადს).

რეფორმისტები [illegible] გაფიცვას

ბერლინი. 21 ნოემბერი. უკვე მესამე თვეა, რაც ჰამბურგის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვაა. რეფორმისტული პროფკავშირები ვლავ საბოტაჟს უცხადებენ პროფკავშირებში შეუკავშირებელ გაფიცულ მუშებისათვის დახმარების აღმოჩენას და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ გაფიცვას, რის გამოც დღითი-დღე იზრდება შტრეიკბრეხერთა რიცხვი. წინააღმდეგობას შტრეიკბრეხერებს უწევს მხოლოდ პროფკავშირებში შეუკავშირებელი მუშების მებრძოლი კომიტეტი.

ბერლინი, 21 ნოემბერი. რეინ-ვესტფალიის ოლქში მუშაობის განახლების გადადებით უკმაყოფილო დამქირავებლებმა ამხილეს ნამდვილი საქციელი პროფკავშირების ლიდერებისა, რომლებიც ჯერ კიდევ წარსულ შაბათს შეუთანხმდნენ დამქირავებლებს ხელფასისა და სამუშაო დღის საკითხებში.

თუმცა შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ პროფკავშირების რეფორმისტული ლიდერები აგვიანებდნენ მუშაობის განახლებას, რომ ამით პრესტიჟი შეენარჩუნებინათ ლოკაუტგამოცხადებულ მუშათა მასების თვალში. დამქირავებლების განცხადებამ ძალიან შეაშფოთა პროფბიუროკრატები, რომლებმაც დამქირავებლების პასუხად განაცხადეს, რომ „დამქირავებლების განცხადება სრულიად ახალ მდგომარეობას ჰქმნის მუშებისა და დამქირავებლების ურთიერთობაში და მათ ერთმანეთს აშორებს“-ო.

როგორც ლოკაუტგამოცხადებულ რაიონში ბრძოლის ხელმძღვანელი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან სჩანს, ბრძოლის კომიტეტი დაარსდა 33 მსხვილ წარმოებაში. კომიტეტებში 118.000 მუშის წარმომადგენლები არიან. (ადს).

მუშები მემარცხენე უმცირესობას მისდევენ

ბერლინი, 21 ნოემბერი. დორტმუნდში გაიმართა მეტალისტების მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც პროფკავშირთა რევოლიუციონური უმცირესობის მომხრეთა მიერ შეტანილი წინადადებანი მიიღო. მეტალისტებმა დაადგინეს—მოიწვიონ დორტმუნდის რაიონის საწარმოთა მუშების კრებები. (ადს)

გერმანიის მშრომელები სოლიდარობას უცხადებენ ლოკაუტგამოცხადებულებს

ბერლინი, 21 ნოემბერი. როგორც ვიცით, ლოკაუტგამოცხადებულთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტმა ფულის მოგროვება დაიწყო, პირველი დღეების შემოსავალი ადასტურებს, რომ მთელი გერმანიის მშრომელთა მასები სოლიდარობას უცხადებენ ლოკაუტგამოცხადებულ მეტალისტებს. მარტო ბერლინში 33.000 მარკა შეგროვდა. სხვადასხვა რაიონში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ხელს უშლიან ფულის შეგროვების კამპანიის ჩატარებას და ხელმოსაწერი ფურცლების კონფისკაციას ახდენენ. (ადს).

პროტესტი ჩეხო-სლოვაკიაში კრასინელების არ დაშვების წინააღმდეგ

პრაღა, 21 ნოემბ. ჩეხო-სლოვაკიის სენატის სხდომაზე კომუნისტი ორატორი ხლუმეცკი გამოვიდა ხისტი პროტესტით იმის წინააღმდეგ, რომ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ „კრასინის“ ექსპედიციის მონაწილეებს გორსკის და ლემანს არ მისცა ჩეხო-სლოვაკიაში შესვლის ნებართვა. ხლუმეცკიმ წინადადება შეიტანა, მოეთხოვათ მთავრობას—დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ახსნა-განმარტება „კრასინის“ ექსპედიციის მონაწილეთა ჩეხო-სლოვაკიის ტერიტორიაზე არ დაშვების შესახებ, წინადადება უარყოფილ იქნა უმრავლესობის ხმებით. (ადს).

ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის შესახებ

ვენა, 21 ნოემბერი. როგორც ზაგრების გაზეთი „იუტარნი ლისტ“-ი ბუქარესტიდან მიღებულ კორესპონდენციაში იუწყება, რუმინეთის ახალ მთავრობას მოლაპარაკება აქვს საფრანგეთის გენერალ ლერონთან ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის შესახებ.

გაზეთის სიტყვით, ინგლისი და საფრანგეთი რუმინეთის წინანდელი მთავრობით უკმაყოფილონი იყვნენ იმიტომ, რომ მან ვერ შესძლო უნგრეთთან შეთანხმება სადაო საკითხებში, რაც საჭიროა უნგრეთის მონაწილეობისათვის ანტისაბჭოთა გეგმებში.

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ უკანასკნელი გეგმების თანახმად, ანტისაბჭოთა ბლოკში მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლონეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა, ბულგარეთმა და სამხრეთ-სლავიამ. რადგან სამხრეთ-სლავიის ფართო წრეები უარყოფითად უყურებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლას, მან უშუალო მონაწილეობა არ უნდა მიიღოს მტრულ მოქმედებებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მან ბლოკის სხვა მონაწილეებს არაპირდაპირი დახმარება უნდა გაუწიოს—მიაწოდოს მათ საომარი მასალა და სხ. (ადს).

საფრანგეთი ანტისაბჭოთა ბლოკის მეთაურია

ბერლინი, 21 ნოემბერი. ოსტ-ექსპრესის საგენტო აქვეყნებს პრაღიდან მიღებულ ცნობას ანტისაბჭოთა გეგმების შესახებ. ცნობის მიხედვით, ამ გეგმების ხელმძღვანელობა თანდათან გადადის ინგლისის ხელიდან საფრანგეთის ხელში. ამ გეგმების ავტორები ზრუნავენ უფრო იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ ჯარების გადაყვანა და სამხედრო მოწყობილების გადატანა დასავლეთიდან პოლონეთში. ამ მიზნით ზეგავლენას ახდენენ დანიის მთავრობაზე, რათა წინასწარ მიიღონ მისგან ნებართვა, რომ ბელტის სრუტეს გზით შეიძლებოდეს სატრანსპორტო სამხედრო გემების გატარება. ამავე დროს სცდილობენ დაითანხმონ ლატვიისა და ესტონეთის მთავრობები „დამხმარე ჯარის“ გატარებაზე, რომლებიც შეიძლება გაიგზავნონ პოლონეთში ამ ქვეყნების ტერიტორიით.

შემდეგ საგენტო იუწყება, რომ განზრახულია საფრანგეთის სამხედრო მინისტრის გამგზავრება ვენაში. გამგზავრებას შედეგად მოჰყვება სამხედრო ატაშეს დანიშვნა საფრანგეთის მისიასთან ვენაში. ატაშეს დავალებული ექნება, მუდმივი და მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის და უნგრეთის სამხედრო ატაშეებთან ვენაში. პოლონეთის და რუმინეთის პოზიციის შესახებ საგენტო იუწყება, რომ მათ შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სრული თანხმობა, პილსუდსკი სცდილობს საფრანგეთის საშუალებით აიძულოს რუმინეთის მთავრობა, „უფრო გადამჭრელი პოლიტიკა აწარმოოს მოსკოვის წინააღმდეგ“ (ადს).

იაპონია-ინგლისის ურთიერთობა

ტოკიო, 21 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს საგენტოს წარმომადგენელს საუბარი ჰქონდათ მთავრობის რამდენიმე წევრთან. ლაპარაკი შეეხებოდა ხმებს ინგლის-იაპონიის კავშირის განახლების შესახებ. მთავრობის წევრებმა განაცხადეს:

„ინგლის-იაპონიის ურთიერთობა მეგობრული დარჩა კავშირის მოქმედების დამთავრების შემდეგაც. ინგლის-იაპონიის კავშირის აღდგენა, თუ ეს შესაძლო გახდა, სასარგებლო იქნება იაპონიისათვის. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო მდგომარეობას, მეტად საეჭვოა, რომ ინგლისს სურდეს ამ საკითხის სერიოზულად განხილვა. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ინგლისის ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან. უკეთესია გულითადი ურთიერთობა დარჩეს იაპონიასა და ინგლისს შორის, ვიდრე განახლდეს შეწყვეტილი კავშირი (ადს).

მუნიციპალური არჩევნების შედეგები ბულგარეთში

ვენა, 21 ნოემბერი. სოფიიდან მიღებული ცნობით, თვითმმართველობის საოლქო ორგანოების ნაწილობრივი არჩევნების საბოლოო შედეგები ასეთია: მთავრობის დემოკრატიულმა კავშირმა მიიღო 801.810 ხმა, ოპოზიციამ—265.668 ხმა, მათ შორის მუშათა პარტიამ—1.300, სოციალ-დემოკრატებმა—7.000 ხმა. არჩევნების დროს არაჩვეულებრივი ტერორი იყო გაბატონებული. შეიარაღებული ფაშისტები აპატიმრებდნენ ოპოზიციის მომხრეებს, განსაკუთრებით მუშათა პარტიის მომხრეებს და შლიდნენ საარჩევნო კრებებს. ოლქების უმეტეს ნაწილში მუშათა პარტიას დამოუკიდებლად გამოსვლის ნება არ მისცეს (ადს).

„სახელმწიფოს დაცვა“ კომუნისტებისაგან

ვენა, 21 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სლოვენიის დეპუტატმა პეტეიანიმ სკუპშტინაში შეიტანა შეკითხვა, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებდა მეჟიცის თემში სათემო საბჭოს დაშლისა და კომისრის დანიშვნის გამო. შეკითხვაზე პასუხი გასცა კოროშეცმა (შინაგან საქმეთა მინისტრი), რომელმაც განაცხადა, რომ მეჟიცის სათემო საბჭოს ხელისუფლებამ დაშალა სახელმწიფოს დაცვის კანონის თანახმად, ვინაიდან გამოირკვა, რომ საბჭოში უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

საალყო წესების გაუქმება რუმინეთში

ვენა, 21 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, გამოქვეყნდა მთავრობის დეკრეტი საალყო წესების და ცენზურის გაუქმების შესახებ. საალყო წესები დატოვებულია მხოლოდ სემოგრადიის და ბესარაბიის სანაპირო ზონებში. თუმცა ბესარაბიის ქალაქები ხოტინი, ბენდერი და აკერმანი სანაპირო ზონაში მდებარეობენ, მაგრამ განთავისუფლებულ იქნენ საალყო წესებისაგან (ადს).

პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში

ვარშავა, 21 ნოემბერი. გუშინ დეპუტატმა ხუდიმ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტს აცნობა, რომ იგი გადის პარტიიდან და პარტის სეიმის კლუბიდან. ხუდი შევიდა ეგრედწოდებულ „რევოლიუციონურ ფრაქციაში“ (ახალი პარტია, რომელიც დაარსა პოლონეთის სოც. პარტიის ვარშავის კომიტეტის თავმჯდომარემ იავორსკიმ). (ადს).

ექვს უნგრელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს

პარიზი, 21 ნოემბერი. ჰავასის საგენტოს ცნობით, კაზაბლანკის (მაროკოში) სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ექვს უნგრელს, რომელთაც ფრანგი ინჟინერის ხარტონის მოკვლა ჰბრალდებოდათ. (ადს).

ჯაშუშების დაპატიმრება

ვენა, 21 ნოემბერი. გაზეთ „კუვენტულ“-ის ცნობით, სიგურანცამ დააპატიმრა ორი უცნობი, რომელთაც, ვითომც, აღმოაჩნდათ იარაღი, 2 რეფლექტორი და რვეული, რომელიც შეიცავდა ცნობებს ჯაშუშების მოქმედების შესახებ. დაპატიმრებულებმა განაცხადეს, რომ ისინი ეწეოდნენ ჯაშუშობას პოლონეთის სასარგებლოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

პროტესტი ზაუნიუსის გამოსვლის წინააღმდეგ

რიგა, 21 ნოემბერი. გერმანელი ბურჟუაზიული ორგანოს „რიგაშე რუნდშაუ“-ს ცნობით, პოლონეთის ელჩმა რიგაში ლუკაშევიჩმა ლატვიის მთავრობას პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ ლატვიის საგარეო სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ზაუნიუსმა თავის სიტყვაში ლატვიის არსებობის ათი წლის თავის გამო გამართულ ზეიმზე ვილნო მოიხსენია (ადს).

გერმანიის დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში

ბერლინი, 22 ნოემბერი. დღეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ეკონომიურ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაემგზავრა გერმანიის დელეგაცია. (ადს).

ლოკაუტის შედეგები

ბერლინი, 22 ნოემბერი. ლოკაუტის მესამე კვირის ბოლოს რეინ-ვესტფალიის მაღაროების უმრავლესობა მუშაობს არა სრული დატვირთვით. მაღაროების გაცდენის საშუალო რიცხვი 15 ნოემბრისთვის შეადგენდა 176.192 კაცს. დამმუშავებელ მრეწველობაში, რომელიც ნედლეულის ნაკლებობას განიცდის, მუშათა დათხოვნა გრძელდება. ლოკაუტთან, დაკავშირებით მარტო ერთ ოლქში, არნზბერგში დათხოვნილი 90.000 მუშა, ლოკაუტის გავლენა მეტად დიდია აგრეთვე ტრანსპორტზე. რკინის გზის ზოგიერთ სადგურზე მოძრაობა სრულიად შეწყდა (ადს).

ზუდერმანის გარდაცვალება

ბერლინი, 21 ნოემბერი. გარდაიცვალა ცნობილი დრამატურგი ზუდერმანი (ადს).

250 მილიონი მარკა კრეისერების აშენებლად

ბერლინი, 22 ნოემბერი. პოლიტიკური წრეების აზრით, საზღვაო უწყების გემთსაშენებლო პროგრამის შემდგომ განხორციელებას არაფერი შეუშლის ხელს, რამდენადაც რეიხსტაგმა უკვე დაამტკიცა პირველი ახალი გემის ჯავშნიანი კრეისერის „A“-ს აშენება. პროგრამით გათვალისწინებულია „A“-ს ტიპის კიდევ სამი კრეისერის აშენება და დასრულება მსუბუქი კრეისერების „Б“ და „E“-ს აშენებისა. საზღვაო უწყებას მიმდინარე ბიუჯეტში გემების ასაშენებლად და შეიარაღების მიზნებისათვის გადადებული 57 ნახ. მილ. მარკა კრეისერ „Б“ და „E“-ს აშენების დასასრულებლად კიდევ დამატებით საჭირო იქნება 30 მილიონი მარკა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჯავშნიანი კრეისერისთვის მეორე ასიგნობა პირველზე მეტი იქნება (პირველი უდრის 9 მილ. 300 ათას მარკას). ამნაირად, კრეისერთა მთელი ესკადრის აშენება, დაახლოვებით, 250 მილიონი მარკა დაჯდება (ადს).

ქარიშხალი შავ ზღვაზე

ბათომი, 22 ნოემბერი. ხანგრძლივი თბილი მზიანი ამინდის შემდეგ ბათომში მეორე დღეა, რაც კოკისპირული წვიმა მოდის და ძლიერი ცივი ქარი ჰქრის. მახლობელ მთებში თოვლი მოვიდა. ზღვა ღელავს; ჰქრის ძლიერი ქარიშხალი.

ყირიმ-კავკასიის ხაზის გემმა „ფრანც მერინგ“-მა, ქარიშხალის გამო, დაიგვიანა და მხოლოდ დღეს მოვიდა ბათომში (ადს).

—:—

„კრასინ“-ის ექსპედიციის მონაწილეთა დაბრუნება თბილისში

გუშინ, ღამის პირველ საათზე, ბათომიდან თბილისში დაბრუნდნენ „კრასინ“-ის ექსპედიციის მონაწილენი ამხ. პერევოზჩიკოვი, ჩირიცინი და ნიკოლაევი. პროფ. სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე პირდაპირ გაემგზავრნენ ერევანში, საიდანაც დაბრუნდებიან დღეს საღამოს.

„სოციალური მშვიდობიანობის“ უზრუნველსაყოფად

სტოკჰოლმი, 21 ნოემბერი. შვეციის მთავრობა 30 ნოემბრისათვის იწვევს „მუშათა და დამქირავებელთა“ კონფერენციას იმ ზომების განსახილველად, რომლებიც საჭიროა სოციალური მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. ამ კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ რეფორმისტული პროფკავშირების ბელადები და დამქირავებელნი. თავის მხრივ პროფესიონალური მთლიანობის კომიტეტი 1929 წლის იანვარში იწვევს მუშათა კონფერენციას მონდიზმის და პროფმთლიანობის საკითხების განსახილველად (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ს. ორჯონიკიძის წერილი

მოსკოვი. 22 ნოემბერი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ამხ. ს. ორჯონიკიძემ სპეციალური წერილით მიმართა რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციებს. აღნიშნულ წერილში ამხ. ორჯონიკიძე მოუწოდებს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა საკონტროლო ორგანოებს, რომ მათ გააძლიერონ ზედამხედველობა იმ ღონისძიებებზე, რომელნიც მიზნად ისახავენ საამშენებლო მასალის დეფიციტიანობის წინააღმდეგ ბრძოლას.

2.440 ათასი მანეთი დამატებით ამიერ-კავკასიას

მოსკოვი, 22 ნოემბერი. საკავშირო საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა დაადგინა გაადიდოს ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი 2.440 ათასი მანეთით. იმასთან შედარებით, რაც ნავარაუდევი იყო საკავშირო სახკომსაბჭოს წინასწარ გამოანგარიშებით.

ლითონის ინსტიტუტი

მოსკოვი, 22 ნოემბ. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ მიმართა სათანადო ორგანოებს განცხადებით, რათა ნება დართონ მას ლითონის ინსტიტუტის გახსნისათვის. ასეთი ინსტიტუტის საჭიროებას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ასაბუთებს ინდუსტრიალიზაციის კურსით, რაც მწვავედ აყენებს ჩვენს წინაშე ლითონის შესწავლისა და დამუშავების პოპულიარიზაციის საჭიროებას.

შეჯიბრი ანტისაბჭოთა კამპანიაში

მოსკოვი, 22 ნოემბერი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

გაზეთ „ოსტ ექსპრეს“-ში მოყვანილია ახალი ცნობები ანტი-საბჭოთა ბლოკის მომზადების შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ანტი-საბჭოთა კამპანიის ინიციატივა თანდათან გადადის ინგლისიდან საფრანგეთის ხელში. საფრანგეთის ეს აქტივობა მიმართულია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ გერმანიის წინააღმდეგაც.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ეს მდგომარეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. აქ ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ დანია ვერ შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლის-საფრანგეთის ზრახვებს და უარი განაცხადოს ზუნდის სრუტეებში სამხედრო ტრანსპორტის გატარებაზე. შესაფერის ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ ესტონეთისა და ლატვიის მთავრობებზე.

გაზეთის ცნობებით ჯერ კიდევ მიღწეული არ არის სრული შეთანხმება იმ ორ სახელმწიფოებთან, რომლებმაც მთავარი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულ ომში. ეს სახელმწიფოებია პოლონეთი და რუმინეთი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ჯავშნოსანი



ბისმარკი—ჰერმან მიულერს: „მე ფრიად კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით. ბებელი არასოდეს არ დასთანხმდებოდა აეშენებია ჯავშნოსანი!“

(„როტე ფანე“-დან)

ამხ. ს. ორჯონიკიძის მიმართვა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის-საკონტროლო კომისიების და ბისადმი

მოსკოვი, 22 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ამხ. ორჯონიკიძემ წერილით მიმართა ყველა ნაციონალურ ცენტრ. საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ყველა საოლქო და საგუბერნიო საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას. წერილში ნათქვამია: „გააძლიერეთ ხელისშეწყობა და მეთვალყურეობა იმ ღონისძიებათა გატარების საქმეში, რომელთა მიზანსაც შეადგენს საშენებელი მასალის დეფიციტის აღმოფხვრა. უსათუოდ უნდა მივაღწიოთ ყველა წარმოების სრულ დატვირთვას, თანხების დაჩქარებით და მაქსიმალურად გადადებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სამრეწველო კოოპერაციისათვის ყოველმხრივად ხელის შეწყობას საშენებელი მასალის წარმოების განვითარებაში. თვალყური ადევნეთ მთავრობის სათანადო განკარგულებების გადაუხრელად შესრულებას. მკაცრი ზომები მიიღეთ იმ ორგანოების წინააღმდეგ, რომლებიც საქმის გაჭიანურებით და ბიუროკრატიზმით აბრკოლებენ საშენებელი მასალის წარმოების გაფართოვებას (ადს).

ვოიცეხოვსკის საქმის შესახებ

ვარშავა, 22 ნოემბერი. გუშინ საოლქო სასამართლოს განმაწესრიგებელ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ გამოწვეულ იქნან მოწმეები ვოიცეხოვსკის საქმეზე (ვოიცეხოვსკიმ თავდასხმა მოახდინა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევზე), 10 მოწმიდან, რომელთა გამოწვევის შესახებ დამცველები შუამდგომლობდნენ, სასამართლოს დადგენილებით გამოწვეული იქნება მხოლოდ 5. დამცველებს უფლება მიეცათ საკუთარის საშუალებებით მოიყვანონ სასამართლოში მოწმეები, სახელდობრ: თეთრგვარდიელები ბუტენკო, არსენიევი და სხვ. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამცველების შუამდგომლობა ზოგიერთი მოწმის, მაგალითად, ბურცევისა, არქიეპისკოპოსი როპისა და სხვ. გამოწვევის შესახებ. საქმის გარჩევა დანიშნულია 17 დეკემბერს. (ადს).

აფეთქება ვაზნების ქარხანაში

აფეთქებაში დამნაშავეა მთავრობა

პარიზი, 21 ნოემბერი. გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ აფეთქებას ვაზნების ქარხანაში, რომლის დროსაც დაიღუპა 4 მუშა. „ლიუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ვენსენის ვაზნების ქარხანამ წარმოება გაადიდა 60 პროც. ომის წინადროინდელ რაოდენობასთან შედარებით. პასუხისმგებლობა ვენსენში მომხდარი კატასტროფისათვის, გაზეთის აზრით, ეკისრება მთავრობას, რომელიც ამზადებს იმპერიალისტურ ომს, რასაც მოწმობს ვაზნების დამზადების გადიდება ვენსენის ქარხანაში. პალატის კომფრაქციას განზრახვა აქვს შეკითხვა შეიტანოს კატასტროფის შესახებ. (ადს).

დრუმონდი ვარშავაში

ვარშავა, 21 ნოემბერი. ვარშავაში ჩამოვიდა ერთა ლიგის გენერალური მდივანი დრუმონდი, მან ინახულა პილსუდსკი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

დრუმონდის პატივსაცემად სალამოთი გაიმართა საზეიმო სადილი. სადილი გამართა ზალესკიმ. სადილს დაესწრნენ აგრეთვე პრემიერი ბარტელი, სეიმისა და სენატის თავმჯდომარეები და ინგლისისა და იაპონიის ელჩები. ზალესკიმ და დრუმონდმა სიტყვები წარმოსთქვეს. თავის სიტყვაში დრუმონდმა ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის მიღწევები და ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აქვს ერთა ლიგაში პოლონეთის არჩევას. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ბარშას საქმის გამოძიება

მოსკოვი, 22 ნოემბერი. ქიმიკოსების კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ებრაელ მუშა-ქალის დევნის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა „ოქტომბრის“ შუშის ქარხანაში (ბელორუსიაში). კავშირის ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით, პრეზიდიუმის წევრი კასპაროვიჩი გაემგზავრა ამ საქმის გამოსაკვლევად (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

მოსკოვი, 22 ნოემბერი. ქიმიკოსების, ქაღალდის და შაქრის მრეწველობის მუშათა პროპაგანდის და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა ყველა ქვეყნის ქიმიური, ქაღალდის და შაქრის მრეწველობის მუშებს მიმართა მოწოდებით ომის საფრთხის შესახებ. კომიტეტი მოუწოდებს მუშებს, აღიმაღლონ ხმა ომის მზადების წინააღმდეგ და საერთო ძალით გაუწიონ წინააღმდეგობა კაპიტალისტების იმ ცდებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის დარღვევისაკენ. (ადს).

წითელი ჯვრის ათი წლის თავი

მოსკოვი, 22 ნოემბერი. წითელი ჯვრის საზოგადოების არსებობის ათი წლის თავის შესრულების გამო სრ. რუსეთის ცაკმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც აღნიშნავს წითელი ჯვრის, როგორც მშრომელთა ურთიერთ დამხმარე ორგანიზაციის, თავგამოდებულ მუშაობას. (ადს).

სრ. რუსეთის ცაკის მესამე სესია

მოსკოვი, 22 ნოემბერი. 21 ნოემბერს, ამხ. კალინინის წინადადებით, სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სრ. რუსეთის ცაკის გარდაცვლილი წევრების ამხ. ბორისოვის, ციურუპას და სტეპანოვ-სკვორცოვის ხსოვნას. მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. კუბიაკმა გააკეთა ვრცელი მოხსენება სოფლის მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის შესახებ. (ადს).

ამხ კულიკი მეტეორიტის შესახებ

კრასნოიარსკი, 22 ნოემბერი. ამხ. კულიკმა, რომელიც კრასნოიარსკში ჩამოვიდა, განაცხადა:

„იქ, სადაც მეტეორიტი ჩამოვარდა, ამჟამად შენდება ქოხი მუშებისათვის. იანვარში ისევ დავბრუნდები ლენინგრადიდან და დავიწყებთ მიწის თხრას იმ ადგილებში, სადაც მეტეორიტის ნამსხვრევებია ჩაფლული. თუ მუშაობამ წარმატებით ჩაიარა, შევძლებთ მეტეორიტის გამორკვევას“.

ამხ. კულიკი აღფრთოვანებულია იმ მზრუნველობით, რომელსაც მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და საზოგადოებრიობა იჩენენ სამეცნიერო მუშაკებისადმი.

„ეს არის ილიუსტრაცია იმ მჭიდრო კავშირისა,—ამბობს იგი,—რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული საზოგადოებრიობასა, ხელისუფლებასა და სამეცნიერო წრეებს შორის“ (ადს).

შეხორცებული ტყუპის დაბადება

ლენინაკანი, 22 ნოემბერი სოფ. ყანსალის მცხოვრებ ქალს გაუჩნდა მდედრობითი სქესის ორი ბავშვი, მათ ერთმანეთთან შეხორცებული ჰქონდათ კუჭი და მკერდის ნაწილი, ჰიპი და ნაწლავი საერთო ჰქონდათ. ბავშვები მკვდრებად დაიბადნენ.

პირველად გამოჩნდა 4 ფეხი. ასეთ მდგომარეობაში მელოგინე მიიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში. დედა საღად არის. ეს მისთვის მერვე მშობიარობაა, იგი 35 წლისაა. (ადს).

საბჭ. კავშ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 22 ნოემბერი. 21 ნოემბერს საბჭ. კავშ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა მოისმინა ამხ. ლუკაშინის მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელმაც უნდა დაამუშაოს მრეწველობის ელექტროფიკაციისა, კომუნალური მეურნეობის და საბინაო მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების საკითხები. ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ ასიგნობათა საერთო თანხა განისაზღვრება 939 მილიონი მანეთით, გასული წლის 682 მილიონი მანეთის ნაცვლად. მოსამზადებელ კომისიას წინადადება შემოაქვს, რომ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით მრეწველობისათვის გადადებულ ასიგნობათა თანხა გადიდებულ იქნას 2.400.000 მანეთით, ხოლო უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით ასიგნობათა თანხა გადიდებულ იქნას 300.000 მანეთით ქიმიური ქარხნის პროექტის შესადგენად. საკავშირო ბიუჯეტით კომისია ითვალისწინებს მრეწველობისათვის გადადებულ თანხების 500.000 მანეთით გადიდებას. პლენუმმა დაამტკიცა მოსამზადებელი კომისიის წინადადებანი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გათვალისწინებულ ცალკე ღონისძიებათა შორის პლენუმმა მოიწონა 1 მილიონი მანეთის გადადება ვოლგა-დონის არხისთვის.

შემდეგ პლენუმი შეუდგა ცალკე რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვას. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გათვალისწინებულ თანხებთან შედარებით პლენუმმა პროექტში შეიტანა შემდეგი ცვლილება: რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი გადიდებულია 5.519.000 მანეთით, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი—6.598.000 მანეთით, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი—1.250.000 მანეთით, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი—2.440,000 მანეთით, უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი—1.916.000 მანეთით და თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი—486.000 მანეთით.

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა განიხილა ამხ. ლარინის მოხსენება იმ ქვეკომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობისათვის ფინანსების მიწოდების ბიუჯეტის განხილვა. კომისია წინადადებას იძლევა სახელმწიფო გასავლის ეს ნაწილი დამტკიცებულ იქნას 544.620.000 მანეთის რაოდენობით. აქედან 40 მილიონი მანეთი გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო ბანკს, ხოლო ამ უკანასკნელი თანხიდან 12 მილიონი მანეთი მოხმარდება მანქანების მოამრაგების საქმისათვის ფინანსების მიწოდებას, 2.500.000 მანეთი მელიორაციას, 1,200.000 მამეთი რადიოფიკაციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეშვეობით (ადს).

მოსკოვი, 22 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის სხდომაზე საშემოსავლო ნაწილის ქვეკომისიის თავმჯდომარემ ამხ. კოტლიაკოვმა განაცხადა, რომ ქვეკომისიას შემოაქვს წინადადება საბჭოთა კავშირის შემოსავალი დამტკიცებულ იქნას 7.751.000.000 მანეთის რაოდენობით, ე. ი. ქვეკომისია ითვალისწინებს 56.700.000 მანეთით მეტ შემოსავალს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროექტში. პლენუმმა გადასახადები დაამტკიცა შემდეგი რაოდენობით: სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—430 მილიონი მანეთი, სასარეწაო გადასახადი—980 მილიონი მანეთი, საშემოსავლო გადასახადი—272 მილიონი მანეთი და ზედმეტი მოგების გადასახადი—22 მილიონი მანეთი. საგადასახადო პოლიტიკის კლასობრივი ხაზის პრინციპი ახალ ბიუჯეტში მკაფიოდ არის ასახული. ფოსტიდან, ტელეგრაფიდან, რადიოდან და ტელეფონიდან გათვალისწინებულია 190 მილიონი მანეთი შემოსავალი, ტრანსპორტიდან —10 მილიონ მანეთზე მეტი, სახელმწიფო მრეწველობიდან—275 მილიონი მანეთი, სახელმწიფო ვაჭრობიდან—272 მილიონი მანეთი, კონცესიებიდან—4,5 მილიონი მანეთი, ბანკებიდან—103 მილიონი მანეთი და სხვ.

საბჭ. კავშირის სამეცნიერო დაწესებულებები

სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის შენობა (მოსკოვში)

წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნოს მოწოდება

მოსკოვი, 22 ნოემბერი. როგორც ვიცით, 1929 წლის 1 აგვისტოს ვლადივოსტოკში შეიკრიბება წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა კონგრესი. ამის გამო წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნომ მოწოდებით მიმართა წყნარ ოკეანეს ქვეყნების პროფორგანიზაციებს.

მოწოდებაში ნათქვამია: იმპერიალიზმი ცდილობს, ჩაჰკლას მუშათა კლასი და შეაჩეროს განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ეს მეცადინეობა დაკავშირებულია იმპერიალიზმის შინაგან ანტაგონიზმთან, რომელიც დღითი-დღე გვიახლოვებს აუცილებელ ომს წყნარ ოკეანეზე. კონგრესი წყნარ ოკეანეს პროფკავშირებს მოლაპარაკების საშუალებას მისცემს, რომ ომის მოლოდინში საერთო პროგრამა შეიმუშაონ. მუშათა კლასის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა—პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მთლიანობის საჭიროება წყნარ ოკეანეზე ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე როდისმე, რადგან იაპონიის იმპერიალიზმი ცდილობს შექმნას მისთვის მისაღები „აზიის შრომის ფედერაცია“ და დაუპირისპიროს იგი წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნოს. საჭიროა ვამხილოთ ეს გამთიშველი ცდა.

„მომავალმა კონგრესმა,—ნათქვამია მოწოდებაში,— უნდა გადაათვალიეროს მოქმედების პროგრამა. და შეუფარდოს იგი მიმდინარე მომენტის მოთხოვნილებებს. პროგრამა უნდა ეხებოდეს წყნარ ოკეანეს ყველა ქვეყანას“.

სამდივნოს საჭიროდ მიაჩნია კონგრესის შემდეგი დღის წესრიგი: სამდივნოს ანგარიში, ომის საფრთხე და ბრძოლა იმპერიალიზმთან, განმანთავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში, პროფკავშირებისა და ქრისტიანული ორგანიზაციების როლი, პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობა, ემიგრაცია და იმიგრაცია წყნარ ოკეანეს ქვეყნებში, მოქმედების პროგრამა (შვიდი საათის სამუშაო დღე, მინიმალური ხელფასი, ქალთა და ბავშვთა შრომა, უმუშევრობა, სოციალური კანონმდებლობა, უშუალო ამოცანები ჩინეთსა, იაპონიასა, ინდოეთსა, ინდონეზიასა, კორეასა და ფილიპინებზე და სხვ.).

სამდივნო სთხოვს ორგანიზაციებს რომლებიც დელეგატებს გაგზავნიან კონგრესზე, წინდაწინვე ჩამოაყალიბონ თავიანთი წინადადებანი დღის წესრიგის შესახებ და თავიანთი თვალსაზრისი ყველა საკითხის შესახებ, რათა სამდივნომ წინდაწინვე აცნობოს ისინი დანარჩენ მომხრე ორგანიზაციებს. (ადს).

გემების მისადგომის აგება ბიჭვინთაში

სოხუმი, 22 ნოემბერი. ბზების კომბინატის სამუშაოთა გაფართოვებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია ბიჭვინთაში გემთსაყუდის აგება, რომ შესაძლებელი გახდეს კომბინატის ხე-ტყის გაზიდვა. პროექტი დამუშავებულია ამიერ-კავკასიის ნავთსადგურთა განყოფილების მიერ, ხოლო გემთსაყუდის აგების საქმე გადაეცა სოხუმის ნავთსადგურის აპარატს. პროექტი ითვალისწინებს რკინის გემთსაყუდის აგებას, ამასთან ცალკე ნაწილები ფოთის სახელოსნოებში დამზადდება. მუშაობას მომავალი წლის გაზაფხულზე შეუდგებიან და დაასრულებენ 1930 წელს დამდეგისათვის. სამუშაო დაახლოვებით დაჯდება 300.000 მანეთად. ზღვის სიღრმე გემის მისადგომ ადგილას 8 მეტრი იქნება (ადს).

ოთხშაბათს, ა. წ. 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე
ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში (კახეთის მოედანი № 1)
შესდგება
საქართველოს კომპარტიის (ბ) თბ. ორგანიზაციის
26 კომუნარის სახელობის რაიკომის
მე-IX პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენება საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ.
2) რაიკომის ანგარიში, ლენინურ კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) კულტურულ მშენებლობის შესახებ.
4) რაიკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5) დელეგატების არჩევა თბილისის პარტკონფერენციაზე.

დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3½ საათამდე.

რაიკომის მდივანი ტერ-მართანოვი.

ვილჰელმ მეორის საიდუმლო არქივის დოკუმენტები

როგორ ამზადებდნენ სამხედრო შეთქმულებას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ

რისთვის ესაჭიროებოდა იმპერიალისტებს „დამოუკიდებელი საქართველო“

რედაქციისაგან

ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი გერმანიის ყოფ. იმპერატორის ვილჰელმ მეორის საიდუმლო არქივიდან. ოქმი გერმანიის მაშინდელი მთავრობის და უმაღლესი გენერალიტეტის თათბირისა, რომელსაც ადგილი ჰქონია 1918 წლის 2 და 3 ივლისს, გერმანიის არმიის გენერალურ შტაბში, სპაში, კაიზერ ვილჰელმის თავმჯდომარეობით—გამოაქვეყნა მიმდინარე ნოემბრის 6-ს (№ 262) გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „როტე ფანე“-მ. თავის სარედაქციო შენიშვნაში გაზეთი სწერს სხვათა შორის: „ტექსტი ეთანხმება სრულიად დედანს, რომელსაც ჩვენ გამოვაქვეყნებთ ფოტოგრაფიულად გადაღებულს, თუ ვინმე ეჭვს შეიტანს მის სინამდვილეში“. უმნიშვნელო შემოკლებით ჩვენ ვაქვეყნებთ ამ მასალას დოკუმენტის წესით ისე, როგორც ის მოთავსებულია ზემოხსენებულ გაზეთში. ხაზგასმული ყველგან ჩვენს მიერ არის.

ოქმი სხდომისა

მიმდინარე პოლიტიკური საკითხების შესახებ მისი უდიდებულესობის თავმჯდომარეობით და საიმპერიო მთავრობისა და უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლების თანდასწრებით.

სპა, 1918 წლის ივლისის 2.

ოქმების განაწილების გეგმა:

იმპერიის კანცლერს	1 ცალი	პოლკოვნიკ ვინტერფელდს	1 „
გარეშე საქმეთა უწყებას	5 „	შინაგან საქმეთა უწყებას	1 „
სამხედრო მინისტრს	1 „	არქივს	3 „
ადმირალის შტაბს	1 „		
იმპერიის საზღვაო უწყებას	1 „		
			14 ცალი.

სხდომას დაესწრნენ:

მისი უდიდებულესობა იმპერატორი ვილჰელმ მეორე.
გენერალი ფონ პლესსენი და კაბინეტის სამი უფროსი:
იმპერიის კანცლერი;
სახელმწიფო სეკრეტარის თანაშემწე ფონ რადოვიცი;
პოლკოვნიკი ფონ ვინტერფელდი;
საიდუმლო მრჩეველი ფონ როზენბერგი;
სამხედრო მინისტრი ფონ შტაინი;
გენერალი ფონ ფრისბერგი;
მაიორი ფონ ჰაიდეკომფი;
საზღვაო უწყების სახელმწიფო სეკრეტარი;
ვიცე ადმირალი ჰობინგჰაუსი;
ფელდმარშალი ფონ ჰინდენბურგი;
გენერალი ლუდენდორფი;
გენერალი ფონ ბარკენვერფერი;
პოლკოვნიკი ფონ ოლდერსჰაუზენი;
მაიორი ბრინკმანი;
ფონ ლერსნერი;
ფონ ოვენი;
გრაფი შტირუმი;

გენერალი ფონ ლუდენდორფი: დამოკიდებულება რუსეთის მონარქისტებთან. ჩვენ მონარქისტებს ხელი არ უნდა ვკრათ, სამაგიეროდ ერთგვარი გარანტიები უნდა მივიღოთ მათი მხრივ;

იმპერიის კანცლერი: შიშობს, რომ, თუ მონარქისტული რუსეთი ხელახლა გაძლიერდა, მონარქისტები არ იცნობენ ბრესტის ხელშეკრულებას.

გენერალი ფ. ლუდენდორფი: ცნობები გვაქვს, რომ მონარქისტები იცნობენ ამ ხელშეკრულებას.

სამხედრო მინისტრი: ადასტურებს ამას. მონარქისტები ურიგდებიან ბალტიის მხრის ჩამოშორებას, მხოლოდ მათ სურთ დახმარება გავუწიოთ უკრაინის შესაერთებლათ ველიკორუსიასთან.

მაიორი ბრინკმანი: უკრაინის უბედურება ისაა, რომ იქ არ მოიპოვებიან ნაციონალისტური ელემენტები, რომელთაც ხელისუფლების მიღება შეეძლოთ ოფიციალურათ... არსებითად მთავრობას ზურგი არ აქვს გამაგრებული.

გენერალი ლუდენდორფი: მონარქისტებს გაერთიანებული რუსეთი სურთ. **ჩვენ მათ არ უნდა წავართვათ** ეს ოცნება, მხოლოდ უნდა მოვსთხოვოთ, რომ ბრესტის ზავის საფუძველზე დადგნენ. თუმცა მონარქისტები წესრიგის ელემენტებს წარმოადგენენ, მაგრამ ამ წუთში (!) არ უნდა შევცადოთ ბოლშევიკების დამხობა.

იმპერიის კანცლერი: ეთანხმება.

მისი უდიდებულესობა: ჩვენ უკრაინაში სურსათ - სანოვაგის მოსაპოვებლად შევედით. **ჩვენ გვსურს იქ წესრიგის ცენტრი შევქმნათ რუსეთის ქაოსში.** მაგრამ სიგიჟე იქნებოდა წარმოგვედგინა თითქო შეიძლებოდეს ხანგრძლივად უკრაინის გაშორება რუსეთიდან. უკრაინელებიც ისეთივე სლავიანები არიან, როგორც ველიკოროსები, ისინი ხელახლა შეერთდებიან. დღეს შეიძლება წესრიგის მომხრე ელემენტებმა კიევის გარშემო მოიყარონ თავი და აქედან რუსეთის (!) ხელახალი აღორძინება (!) დაიწყოს.



გენერალი ლუდენდორფი

გენერალი ლუდენდორფი: უკრაინაში დიდი გაჭირვებით დავამყარეთ მშვიდობიანობა, რომელიც დღემდე გრძელდება; ჩვენ აქტიური დახმარების იმედი უნდა გვქონდეს არა უკრაინელების, არამედ შეიძლება დონის ყაზახ რუსების მხრით. ისინი, ისევე როგორც ჩეხები, ბოლშევიკებს ებრძვიან. ამიტომ კავშირი უნდა ვიქონიოთ ყაზახებთან. გავლენის მოხდენა შეიძლება მხოლოდ ფულის შემწეობით. მე ვთხოვ საგარეო საქმეთა უწყებას ამ მხრივ მომეშველოს. სასურველია, რომ ფული ფარულად გადმომეცეს, განსაკუთრებული დანიშნულების აღუნიშნავად.

სამხედრო მინისტრი: იმპერიის მთავრობამ დახმარება უნდა გამიწიოს ფინანსთა უწყებასთან. ამ მხრითაა მოსალოდნელი მთავარი წინააღმდეგობა. ჩემ მიერ დღემდე გამოთხოვნილი 15 მილიონი მეტის - მეტად ცოტაა ამ ამოცანის განსახორციელებლად. ყაზახ რუსებზე გავლენის მოხდენა ჩვენი სამხედრო გეგმის უმთავრესი მოთხოვნილებაა. ამისთვის სათანადო თანხები უნდა დავხარჯოთ.

გენერალი ლუდენდორფი: უფულოთ შეუძლებელია ყაზახების შეკავება. ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენი მდგომარეობა გართულდეს. მაშინ, ჩვენ არც ხორბლეულობის შემოზიდვის იმედი უნდა ვიქონიოთ.

ფონ როზენბერგი: თვითეული მილიონი, რომელსაც ჩვენ ამ გზით რუსეთში დავხარჯავთ, შენახული მილიონია. საგარეო საქმეთა უწყებამ მთელი თავისი ძალღონით მხარი უნდა დაუჭიროს უზენაესი სარდლობის სურვილებს იმპერიის ფინანსთა უწყების წინაშე. რაც შეეხება ყუბანის ყაზახებს, მე გთხოვთ ნუ დაივიწყებთ, რომ მათი ოლქი ჯერ კიდევ (!) რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს.

გენერალი ლუდენდორფი: ჩვენ, გვჭირდება დონის ოლქი და უწინარეს ყოვლისა ბაქო. აქ აუცილებელია სამხედრო ღონისძიების მიღება.

ფონ როზენბერგი: სასურველია, რომ ეს აუცილებელი სამხედრო ღონისძიება, ასე ვსთქვათ, პოლიტიკური ხელისუფლების ზურგს უკან იქნას მიღებული.

გენერალი ლუდენდორფი: სრულიად გეთანხმებით.

ფონ როზენბერგი: ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია რუსების წინაშე გარკვეული ვალდებულება ვიკისროთ, რომ დონის ოლქში სრულს დაუინტერესებლობას გამოვიჩენთ.

გენერალი ლუდენდორფი: ამას მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. მე მხოლოდ არ მინდა ყაზახ რუსები დავაფრთხო.

ფონ როზენბერგი: უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო ჩვენი პოზიცია რუსების წინაშე ისე აგვეხსნა (!), რომ ფული უნდა დავხარჯოთ მრავალრიცხოვანი გერმანელების დასახმარებლად დონის ოლქში თქო....

გენერალი ლუდენდორფი: ყირიმის გამო მე გრძელი მიწერ-მოწერა მქონდა საგარეო საქმეთა უწყებასთან. მე იქ ვხელმძღვანელობ იმ თვალსაზრისით, რომ ისეთი მთავრობა უნდა მივიღოთ, რომელიც ამ ქვეყანაში წესრიგს დაამყარებს.

მაიორი ბრინკმანი: როცა ჩვენ ყირიმში შევიჭერით, ეს ქვეყანა უპატრონო იყო. ახლა ყირიმზე პრეტენზიას აცხადებს ველიკორუსეთიც და უკრაინაც. მათი შეთანხმება ამ საკითხში ისევე ძნელია, როგორც საზღვრების საკითხში, მაგრამ ყოველს შემთხვევაში წესიერება უნდა დამყარდეს. დამნაშავე ბოლშევიკური ელემენტები იქ თავისუფლად დათარეშობენ. ჩვენ (ჩვენ ხაზგასმულია თვით ოქმში — „როტე ფანე“-ს რედ.) არ შეგვიძლია სამართალი ვაწარმოოთ უკანა რიცხვით. თვით მოსახლეობას არ ძალუძს მთავრობა შეადგინოს. ამიტომ 52 კორპუსის სარდლობა და გენერალი სულკევიჩი შეთანხმდნენ, რომ ყირიმის მთავრობა შეადგინონ. იგი ამ ქვეყანას განაგებს გერმანული სამხედრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით...

ფონ როზენბერგი: მტკიცეთ და საიმედოთ მიმაჩნია ჩვენი ეკონომიური დამოკიდებულება საქართველოსთან. „დისკონტის საზოგადოებამ“ შეადგინა კაპიტალის მხრივ ღონიერი კონსორციუმი, რომელსაც სურს ამ ქვეყანას 50 — 80 მილიონი მარკა ასესხოს. ეს ჯერ-ჯერობით დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას კაპიტალზე. სესხი უზრუნველყოფილი იქნება ფოთის ნავთსადგურის შემოსავალით და მარგანეცის საექსპორტო ბაზით. ამ ღონისძიებით ჩვენ გავლენას მოვიპოვებთ საქართველოს ნედლეულობაზე, უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვან მარგანეცის მადანზე და აგრეთვე რკინის გზის სისტემაზე. მოლაპარაკება საქართველოსთან წარმატებით მიმდინარეობს.

გენერალ ლუდენდორფი: მე სრულიადაც არ მსურს მასთან კავშირის შეკვრა. მე მინდა მხოლოდ ფაქტიურად შევსძლო სამხედრო მუშაობის წარმოება საქართველოში. საქართველოს კარგი ჯარისკაცების (თუ ზარბაზნის. — რედ.) მასალა აქვს. ჩვენ იქ გამოსადეგი ქართული ჯარი უნდა შევადგინოთ. თუ ჩვენ ქართველები შევზღუდეთ, მე ჩემს მიზანს ვერ მივაღწევ. ჩვენ უნდა შევეგუოთ ადგილობრივ პირობებს. ეს საჭიროა ოსმალეთის მიმართაც. იგი მხოლოდ ამ შემთხვევაში წავა დათმობაზე. მოსალოდნელი არ არის, რომ რუმინიიდან ნავთის ექსპორტი იმატებს. ჩვენი სამხედრო ოპერაციებისთვის აუცილებლად საჭიროა ბაქოს ნავთი. საქართველოს ცნობა ერთად - ერთი გაკაფული გზაა ბაქოსაკენ. ჩვენ ამ გზას უნდა დავეპატრონოთ უყოყმანოთ. ჩვენს ფლოტს ნავთი ესაჭიროება. ნავთის საკითხს ძირითადი მნიშვნელობა აქვს.

ფონ როზენბერგი: კითხულობს მირბახის დეპეშას, რომ რუსეთის მთავრობას (საბჭოთა მთავრობა.—რედ.) სურს სურსათ-სანოვაგის მოწოდება იქონიოს ყუბანის ოლქიდან, თუ ჩვენ შევპირდებით, რომ წინ აღარ წავიწევთ. საგარეო საქმეთა უწყება შუამდგომლობს ამ წინადადების მიღებას.

გენერალი ლუდენდორფი: იოფფე მუდამ იმას ამტკიცებს, რომ გერმანელები განაგრძობენ წინმსვლელობას. ეს სრულიადაც არ არის მართალი. ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ, რომ ბოლშევიკებმა სურსათი მოგვაწოდონ...

მისი უდიდებულესობა: თუ დონის ყაზახები ბოლშევიკებისაკენ იხრებიან, ერთი დიდი პარტია მაინც არსებობს, რომელსაც სურს ჩვენ მოგვემხროს. როგორც სჩანს, მოლაპარაკება გენერალ კრასნოვთან სასურველად მიმდინარეობს.

გენერალი ლუდენდორფი: კრასნოვს სურს ჰერცოგი ლეიხტენბერგი გამოგზავნის ურთიერთობის დასამყარებლად. ყაზახრუსები მტკიცედ დარწმუნებულნი არიან, რომ ჩეხები მათ წინააღმდეგ მიდიან.

მისი უდიდებულესობა: ანტი-რუსული ცენტრის დაარსება მხოლოდ თბილისში შეიძლება. ამიტომ ყაზახრუსები უნდა დავაიმედოთ.

გენერალი ლუდენდორფი: მე ვთხოულობ, ხელშეკრულებას ყუბანის ყაზახრუსების ხარჯზე ნუ შეკრავთ.

მისი უდიდებულესობა: ეთანხმება ამ აზრს.

გენერალი ლუდენდორფი: მე ხელახლა აღვნიშნავ ხაზგასმით, რომ ომის წარმოების ინტერესებისათვის, ნავთის საკითხი განსაკუთრებით საგულისხმიეროა.

საზღვაო უწყების სახელმწიფო სეკრეტარი: წყალქვეშა ნავების ომი ნავთზეა დამოკიდებული. მეტად შეჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენ აუცილებლად გვჭირია შაქარი და ნავთი. წყალქვეშა ნავებისა და აეროპლანების წყალობით მოხმარება განუწყვეტლივ იზრდება. თვით ქვანახშირის ზეთიც გვაკლია.

იმპერიის კანცლერი: მე ვადასტურებ, რომ იმპერიის ხელისუფლებასა და ჯარის უმაღლეს სარდლობას შორის ფაქტიური სხვადასხვაობა აღარ არსებობს. საკითხი მხოლოდ ტემპს შეეხება. ამ საკითხის გარჩევა უნდა მოხდეს მის აღმატებულება კრიგესთან.

გენერალი ლუდენდორფი: მე კამათი მაქვს საგარეო საქმეთა უწყებასთან: იგი ეხება შავი ზღვის სამხედრო უწყებას. მათ ჩვენ წინააღმდეგ იერიში მოიტანეს და ამიტომ მე ამ გემებს სამხედრო დავლათ ვსთვლი. თუ ამ თვალსაზრისზე დავდგებით, შეიძლება გემები შემდეგ უკრაინასაც დავუთმოთ... მაგრამ საგარეო საქმეთა უწყება ბრესტის ზავის ნიადაგზე დადგა და გემები რუსეთს აღუთქვა. ბოლოს ვსცადე საგარეო საქმეთა უწყებას შევთანხმებოდი, რომ გემებს ტვირთის გადასაზიდავათ გამოვიყენებთ და საზოგადო ზავის ჩამოგდების შემდეგ უკან დავაბრუნებთ.

ფონ როზენბერგი: საგარეო საქმეთა უწყება დღესაც იმ აზრისაა, რომ ეს გემები სამხედრო დავლას არ წარმოადგენს, მათი გამოყენების წინააღმდეგ კი არაფერი აქვს სათქმელი.

მისი უდიდებულესობა: გემების გამოყენებას სამხედრო აუცილებლობა მოითხოვს. ჩვენ ვფიქრობთ ამ გემებს ომის დროის განმავლობაში გამოვიყენოთ.

ფონ როზენბერგი: ამით არ სწყდება საკუთრების საკითხი.

მისი უდიდებულესობა: მე ვადასტურებ აზრთა ერთობას ამ დარგში. ომის აუცილებლობა უწინარეს ყოვლისა.

გენერალი ლუდენდორფი: გერმანელი კოლონისტების საკითხის გარჩევის დროს მნიშვნელობა აქვს იმას, სურთ თუ არა ახალგაზრდებს სამხედრო სამსახური.

მაიორი ბრინკმანი: კოლონისტებს დიდი იმედები ჰქონდათ, ისინი ელოდებოდნენ, რომ გერმანიის ქვეშევრდომების უფლებებს მიიღებდნენ.

ფონ როზენბერგი: მე წინადადებას ვიძლევი, იმათ, ვინც მსახურობს, ქვეშევრდომის უფლებები მიეცეს.



Chef des Generalstabes
des Feldheeres.
Nr. 33458 P.

Gr. H. Qu., den 8. Juli 1918.

An das
Königliche Kriegsministerium,
durch Herrn Major Stieler v. Heydekampf,
Hochwohlgeboren

Anbei Ergebnis der Besprechungen in Spa am 2. und 3. Juli 1918.

Ludendorff.

გენერალ ლუდენდორფის წერილი

რომელიც თანდართული ჰქონდა „ოქმს“, როდესაც ის გაუგზავნეს ფრიად საიდუმლოდ მთავარი შტაბიდან (სპა) 1918 წლის 8 ივლისს, სპეციალური სამხედრო შიკრიკის ხელით, სამხედრო სამინისტროს, ბერლინში. წერილი ხელმოწერილია პირადათ ლუდენდორფის მიერ.

ა. სვანიძე

ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის პერსპექტივები

საბჭოთა მთავრობის დადგენილების თანახმად კონცესიონერი ჰარიმანის ადგილი შავიქვის გაზიდვის საქმეში სააქციო საზოგადოებამ „ექსპორტმარგანეცმა“ დაიჭირა, რომელსაც მიცემული აქვს მონოპოლიური უფლება როგორც შავი ქვის გაზიდვისა ჭიათურიდან და ნიკოპოლიდან, ისე რკინისა კრივოი როგიდან. გარდა მადნის ამომღები ტრესტებისა ამ ახალ საზოგადოებაში აქციონერებათ შედიან შინაგან და გარეშე ვაჭრობის კომისარიატები და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

როცა საბჭოთა მთავრობა 1924 წელს ჭიათურის რაიონს საკონცესიოთ სცემდა და კონცესიონერთან ხელშეკრულებას სდებდა, იგი იმ ფაქტით ხელმძღვანელობდა, რომ 1913 წელს ჭიათურის მარგანეცის ექსპორტმა თითქმის მსოფლიო მოთხოვნილების 50% დააკმაყოფილა: იმავე დროს ამ მადნის ერთეულის ფასი 10 პენსს უდრიდა, მისი ამოღება, გარეცხა, დატვირთვა და გაზიდვა კი მეტის მეტათ პრიმიტიულად ხდებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ საკონცესიო კაპიტალების შეტანას მადნის გარეცხის, დატვირთვის და გაზიდვის საქმეში იმდენად უნდა შეემცირებია მისი თვითღირებულება, რომ ჭიათურის მარგანეცს მეტი წარმატება მოეპოებია მსოფლიო ბაზარზე. ფაქტიურმა ვითარებამ სრულიადაც არ გაამართლა ეს მოლოდინი. მაშინ როცა 1913 წელს მსოფლიოში ფოლადის წარმოება 76 მილიონ ტონნას უდრიდა, ხოლო ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი 1 მილიონ ტონნას აღწევდა, ე. ი. მსოფლიო ექსპორტის 49,9%, 1924 წლის შემდეგ, ე. ი. ჭიათურის რაიონის საკონცესიო წესით გაცემის შემდეგ, აქაური მადნის ექსპორტი თითქმის მსოფლიო აღებმიცემობის 18%-დე დაეცა; იმავე დროს მარგანეცის ფასი დღეს დაახლოებით ორჯერ სჭარბობს ომის წინადროინდელ ფასს, ხოლო ფოლადის წარმოება 34% გაიზარდა (1927 წელს) ფოლადის წარმოებამ 100 მილიონ ტონნას მიაღწია), არაფერი გაკეთებულა იმ ტეხნიკური გაუმჯობესების დარგში, რასაც ხელი უნდა შეეწყო თვითღირებულების შემცირებისათვის. პირიქით ეს დრო უნაყოფოთ დაიკარგა, მის გამოყენებას კი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ომის წინადროინდელი მდგომარეობის აღსადგენად ჭიათურის ექსპორტის საქმეში.

ასეთია ის ბეჩავი მემკვიდრეობა, რომელიც საზოგადოება „ექსპორტმარგანეცმა“ მიიღო წარსულიდან. იმ დროს, როცა ჭიათურის წარმოება უმწეოთ გაიყინა პირველი ინფლიაციის წლების დონეზე, მისმა ძველმა კონკურენტებმა არა თუ შეინარჩუნეს თავიანთი როლი, არამედ კიდეც გააფართოვეს. ამას გარდა გაჩნდა მადნის ახალი წყაროები, რომელთაც ჭიათურის უკან დახევის ფაქტი დიდათ უადვილებს წარმოების განვითარების საქმეს. სულ ცოტა ხნის წინათ აფრიკის ეგრეთ წოდებული „ოქროს ნაპირიდან“ მხოლოდ რამდენიმე ათი ათასი ტონნა მარგანეცი გაჰქონდათ. დღეს ამ კუთხის ექსპორტი რამდენიმე ასი ათას ტონნას უდრის. ანატოლიასა, მაროკოსა, სამხრეთ აფრიკაში და სხვა ადგილებში მარგანეცის ახალი მადნებია აღმოჩენილი, მათი ექსპლოატაცია ან უკვე სწარმოებს ან მომზადების ხანაში იმყოფება. ამრიგად მარგანეცის მსოფლიო ბაზარი შესამჩნევად შევიწროვდა წინანდელთან შედარებით. ანგარიშ გასაწევია ის გარემოებაც, რომ ბაზრის დაპყრობა და დაკარგვა, როგორც ცნობილია, მარტო თვითღირებულების საკითხზე არ არის დამოკიდებული. ყოველი კონცენტრაციაქმნილი ინდუსტრია სცდილობს თავისთვის უზრუნველჰყოს აუცილებლად საჭირო ნედლი მასალის ბაზისი. ეს ითქმის, უწინარეს ყოვლისა, მარგანეცის მომხმარებლისა, ფოლადის ინდუსტრიის შესახებ. ამიტომ ფოლადის კონცერნებს ხშირათ ან თავიანთი მარგანეცის მიმწოდებელი წყაროები აქვთ, ან ცდილობენ გაიჩინონ ასეთი წყაროები. უსაფუძვლო ოცნება იქნებოდა, რომ ამ კონკურენტების სრული განადგურება გვეფიქრა. ამას გარდა მარგანეცის მწარმოებლებსა და ფოლადის კონცერნებს შორის მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი გრძელვადიანი ხელშეკრულებაა დადებული. გრძელვადიან არაპირდაპირ ხელშეკრულებათ ჩვენ მიგვაჩნია ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალით მარგანეცის მწარმოებლები ფერომანგანის მწარმოებლების მოგებაში იღებენ მონაწილეობას. რასაკვირველია, ასეთ პირობებში არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი საკონკურენციო ძალა ჩქარა გაიშლება. მაგრამ ამ დაბრკოლებათა მიუხედავად მარგანეცის საექსპორტო საზოგადოებას იმედი აქვს, რომ თავის ამოცანას ჩქარა შეასრულებს და ჭიათურის შავი ქვა ხელახლა ომის წინა დროინდელ პოზიციებს დაიპყრობს. ამ მხრივ სათანადო დახმარება უნდა გაგვიწიოს თვით მარგანეცის მოხმარების გაძლიერებამ, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრის გაფართოებისათვის. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ფოლადის წარმოებამ მსოფლიოში 1913 წლიდან 1928 წლამდე 34 პროც. მოიმატა. ძველი მიმწოდებელი ქვეყნები ინდოეთი და ბრაზილია — ვერ ახერხებდნენ თავიანთი წარმოების შესამჩნევათ გაფართოებას თვით იმ წლებში, როცა „მარგანეცის შიმშილი“ იყო და ფასებმა არაჩვეულებრივად აიწიეს. დღევანდელი ფასების დროს წარმოუდგენელია, რომ ამ ქვეყნებში წარმოება გაფართოვდეს. პირიქით, მოსალოდნელია, რომ თუ ფასები დღევანდელ დაბალ დონეზე შეჩერდა, ან, მით უმეტეს, დაეცა, მრავალი მაღარო, რომელიც ფინანსიურად სუსტი ჯგუფების ხელშია, ველარ იმუშავებს და დაიხურება. ჭიათურის მადანი კი, როგორც ცნობილია, საუცხოვო თვისებისაა. ადვილად დნება და მეტ ლითონს შეიცავს; ამიტომ თვით დღევანდელ პრიმიტიულ ამოღების, დატვირთვის და გადაზიდვის პირობებშიც შეიძლება მისი მიწოდება შედარებით იაფ ფასებში მოხდეს.

ჩვენი ცდა, რომ საბჭოთა მარგანეცს ომის წინადროინდელი მდგომარეობა მაინც მოუპოვოთ, წინააღმდეგობას ეჩეხება ძველ და ახალ კონკურენტების მხრივ. ყოველი ბრძოლა დამოკიდებულია იმ სარგებლობის ან უპირატესობის რაოდენობაზე, რომელსაც ბრძოლის მონაწილე ელის. მაგრამ ამ შემთხვევაში ხშირად ავიწყდებათ საყოველთაოთ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ბრძოლიდან ყველა მებრძოლი ვერ გამოვა მოგებული. მოგების მიღება შეუძლია მხოლოდ ზოგიერთ მონაწილეს; შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ყველა მონაწილე დაზარალდეს და მესამე პირებმა მოიგონ.

რამდენადაც მარგანეცის წარმოება მარგანეცის მომხმარებლებისაგან დამოუკიდებელია, შეიძლება მისი მრეწველების ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვდეს ფასების დაკლებას საექსპორტო მადანისთვის. მაგრამ კონკურენციის გაძლიერებას აუცილებლად ფასის დაცემა მოჰყვება, სანამ მარგანეცის მთავარი მწარმოებლები ერთმანეთში არ შეთანხმდებიან ხვედრის განაწილებაზე საერთო ექსპორტში. ასეთი შეთანხმების დრო ჯერ არ დამდგარა. შესაძლებელია იგი დადგეს, როცა სუსტი კონკურენტები ასპარეზს დასცლიან.

მაგრამ დავტოვოთ ჯერ-ჯერობით შორეული მომავლის საკითხები და მიუბრუნდეთ ჩვენი მარგანეცის ექსპორტის უახლოეს პერსპექტივებს. უკანასკნელ სამ წელიწადში მარგანეცის იმპორტი მომხმარებელ ქვეყნებში შემდეგ ციფრებში გამოიხატა (ათას ტონობით):

	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
შეერთებულ შტ.	610	625	695
ინგლისი	278	144	200
გერმანია	199	199	373
საფრანგეთი	470	613	696
ბელგია	213	269	269

საბჭოთა კავშირის მარგანეცის ნაწილი ამ ქვეყნების იმპორტში 1927 წელს შემდეგს უდრიდა:

შეერთებული შტატები დაახლოვებით	250,000 ტ.
გერმანია	263,000 ტ.
საფრანგეთი	78.000 ტ.
ინგლისი	32.000 ტ.
ბელგია	76.000 ტ.

მომხმარებელი ქვეყნების საერთო იმპორტიდან, რაიც დაახლოებით 2,2 მილიონ ტონას უდრის, ჩვენს ექსპორტზე მხოლოდ 750.000 ტონა ე. ი. დაახლოვებით 30 პროც. მოდიოდა. ომის დაწყებამდე კი ჩვენი წილი მსოფლიო ექსპორტში 52 პროც. უდრიდა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ამ დარგში მხოლოდ საბჭოთა კავშირის მთავარ ექსპორტერს, ჭიათურის რაიონს, ავიღებთ, ეს პროცენტი კიდევ უფრო შემცირდება. ეს აიხსნება იმით, რომ ნიკოპოლის მაღაროებმა, რომელიც არ შედიოდა ახლად გაუქმებულ კონცესიის ფარგლებში, შესძლო თავისი წარმოების გადიდება 100 პროც.

წარმოვიდგინოთ, რომ 1929 წელს მარგანეცის მოთხოვნილება უცვლელი დარჩა, ხოლო ფასები დღევანდელ დაბალ დონეზე შეჩერდა, ან კიდევ უფრო დაეცა. დიდათ საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი შავი ქვის მთავარმა კონკურენტმა, ინდოეთმა შესძლოს თავისი ექსპორტის შენარჩუნება. თითქმის უეჭველია, რომ იქ წარმოება შევიწროვდება, და ჩვენ შევეცდებით ამ შევიწროებული მიმწოდებლის ადგილი დავიჭიროთ.

ბოლოს ორიოდე სიტყვას ვიტყვით ჩვენი მარგანეცის გასაღების ფორმებსა და მეთოდებზე. ეკონომიური თვალსაზრისით საზარალოთ უნდა ჩაითვალოს გათიშვა ამ ნედლი მასალის მიწოდებასა და მოხმარებასა, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამისდამიუხედავად დღევანდელ პირობებში ყველგან ხდება ასეთი გათიშვა. და ამ გარემოებაზეა დაყრდნობილი იმ შუამავალი კრედიტების არსებობა, რომელნიც ომამდეც და ომის შემდეგაც მრავლად აღმოცენდნენ. თვით მაშინაც, როცა საქმე საზღვარგარეთის ნედლ მასალას ეხება, ორივე მხრის ინტერესი მოითხოვს, რომ ინდუსტრიული ნედლი მასალის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის უშუალო კავშირი არსებობდეს. და ჩვენი ბრალი არ არის, თუ ჩვენსა და ჩვენი მარგანეცის მომხმარებლებს შორის დღემდე ასეთი კავშირი არ დამყარდა ფართო მასშტაბით.

ჭიათურა

საკავშირო ს. მ. უ. ს. კომისია ჭიათურაში

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კომისიის ჩამოსვლა

22 ნოემბერს დილის 9 საათზე, ჭიათურაში ჩამოვიდა საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. არალოვი (საკავშ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი) ამხ. სვანიძე, (სააქციო საზოგადოება „ექსპორტ - მარგანეცის“ თავმჯდომარე), ინჟ. პოდოლუტსკი, (საკავშირო ს. მ. უ. ს.) და ინჟ. ალშიბაია, (საქართველოს საგეგმო კომისიის წარმომადგენელი). ამ დღეებში ჩამოვა საქ. ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების უფროსი ინჟ. კანდელაკი. კომისიას ჩამოყვა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მოდებაძე.

საუბარი ამხ. ა. სვანიძესთან

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში კომისიის წევრმა ამხ. ა. სვანიძემ განაცხადა:

— საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიაც შედიან საკავშირო და საქართველოს ს. მ. უ. საბჭოების და საგეგმო კომისიების წარმომადგენელნი მიზნად ისახავენ იმის გამოკვლევას, თუ რა საშუალებით შეიძლება შავი ქვის ამოღების მაქსიმალურად გადიდება. მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება კი მარგანეცზე ძალიან დიდია. დასახული ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილია ტეხნიკური ქვეკომისია, რომელიც თავის გამოკვლევის მასალებს წარუდგენს საუწყებათაშორისო კომისიას. ეს უკანასკნელი განიხილავს მათ და გაატარებს ცხოვრებაში.

ტეხნიკური ქვე - კომისია მუშაობას შეუდგება ხვალიდან.

ამხ. ლ. ქართველიშვილი ჭიათურაში

24 ნოემბერს ჭიათურაში ჩამოვა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლავრენტი ქართველიშვილი, რომელიც ამჟამად შორაპანში იმყოფება.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა, 22 ნოემბერი.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7-ე ყრილობა

ყრილობის დღიური

— მეორე დღის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება და დაიწყო კამათი პროფსაბჭოს მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაწერილია ასამდე დელეგატი.

— დილის სხდომის დასასრულ ყრილობამ მოისმინა მისალმების დეპეშები სომხეთის პროფკავშირთა ყრილობისა და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის კახეთის სამაზრო განყოფილებისაგან.

— ამავე სხდომაზე ყრილობამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმების დეპეშები სომხეთის პროფკავშირთა ყრილობას, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს, საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ა.კ. საოლქო კომიტეტს, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

— საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მაჩაიძის მოხსენების გარშემო. კამათი გაგრძელდება დღევანდელ სხდომაზეც.

მეორე დღე

მეორე დღის დილის სხდომაზე ამხ. მაჩაიძემ განიმეორა თავისი მოხსენება რუსულ ენაზე. შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სარევიზიო კომისიის ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. მიკირტუმოვი)

სარევიზიო კომისიამ,—ამბობს ამხ. მიკირტუმოვი—ერთი თვის განმავლობაში დაწვრილებით შეისწავლა და შეამოწმა პროფკავშირთა საბჭოს საქმიანობა ყველა დარგებში. აღმოჩნდა, რომ ფინანსიური ანგარიშები, როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, წესიერად იყო დაყენებული და რაიმე მნიშვნელოვან შეუსაბამობას ადგილი არ ჰქონია. სარევიზიო კომისიამ არანორმალურად მიაჩნია მხოლოდ ის გარემოება, რომ გამომცემლობა „შრომა"-ზე გაცემულ სესხის რაოდენობა 70.000 მანეთს აღწევს. კომისიამ მიიღო პრეზიდიუმისაგან დაპირება, რომ იანვრამდე „შრომის" მიერ დავალიანება დაფარულ იქნება და მომავლისათვის შეწყდება სესხის ასეთი რაოდენობით გაცემა. კომისიამ შეისწავლა და შეამოწმა აგრეთვე გაზ. „მუშა"-ს ფინანსიური მდგომარეობა და ანგარიშ-წარმოება და აღმოაჩინა, რომ პროვინციების საგენტოს დავალიანება გაზეთის კანტორისადმი 45.000 მანეთს უდრის. ამ თანხიდან, როგორც გამოირკვა, 20.000 მანეთი გაუნაღდებელი ვალია. კანტორას არ მიუღია ენერგიული ზომები ამ დავალიანების სალიკვიდაციოთ, რაც გაზეთს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში აყენებს. სარევიზიო კომისია საჭიროდ სცნობს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაზეთების ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღებას. სხვა რამ მნიშვნელოვანი დეფექტი კომისიას არ შეუმჩნევია. კომისიას პროფსაბჭოს მუშაობა მიაჩნია დამაკმაყოფილებლად და წინადადებას იძლევა ფინანსიური ანგარიში უცვლელად იქნეს დამტკიცებული.

კამათი პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ

სარევიზიო კომისიის ანგარიშის მოსმენის შემდეგ დაიწყო კამათი პროფსაბჭოს მუშაობის გარშემო.

პირველად სიტყვა ეძლევა ბორჯომის პროფორგანიზაციის წარმომადგენელს ამხ. ხარიძეს.

ამხ. ხარიძე

(ბორჯომი)

ბორჯომ-ხაშურის რაიონის პროფორგანიზაციები 4,000-მდე მუშა - მოსამსახურეს აერთიანებენ. აქედან 2.000-ზე მეტი მუშებია. ყოველწლიურად მუშათა რიცხვი წარმოების გაფართოებასთან ერთად მატულობს, რაც პროფმუშაობისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. დღემდე კი მდგომარეობა ამ მხრივ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. კოლხელშეკრულებები, რომელიც იკვრება საკურორტო სამმართველოსა და ბორჯომის ქარხნების მუშებს შორის, არ სრულდება. მოისუსტებს შრომის დაცვაც საწარმოებში. რაიონს არა ჰყავს თავისი შრომის ინსპექტორი. გორის მაზრის ფარგლებში მუშაობს მხოლოდ ერთი ინსპექტორი, რომელიც ერთხელაც არ ყოფილა ბორჯომში. საჭიროა ამ რაიონისათვის ინსპექტორი თუ არა, ერთი რწმუნებული მაინც დაინიშნოს. ჩვენს რაიონში ცუდია აგრეთვე მილიციელთა ნივთიერი მდგომარეობა. ადგილობრივი აღმასკომები მათ საკმარის ხელფასს ვერ აძლევენ, ვინაიდან ბიუჯეტი მათ ამის საშუალებას არ აძლევს. პროფმუშაობის გასაჯანსაღებლად საჭიროა გაძლიერდეს ერთის მხრით მუშათა წამოყენება პროფორგანიზაციებში, და მეორე მხრით მოეწყოს მოკლევადიანი კურსები პროფმუშაკთა მოსამზადებლად მუშათა წრიდან.

ამხ. გურგენიძე

(ახალციხე)

ახალციხის მაზრა კულტურულად ერთი ჩამორჩენილ კუთხეთაგანია. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები არც რიცხვით და არც მუშაობის ღირსებით არ არის დამაკმაყოფილებელი. მაზრა მომზადებულ მასწავლებლობის დიდ ნაკლებობას განიცდის. განსაკუთრებით მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში. ისინიც, ვისაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია აქვთ მინდობილი, მეტად დაბალი კვალიფიკაციის ხალხია. პროფსაბჭო უნდა დაეხმაროს ადგილობრივ პროფორგანიზაციებს კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრის შექმნაში, იმ მხრივ, რომ გავლენა იქონიოს ადგილობრივ საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოებზე, რომ მათ მეტი თანხა გაიღონ პროფგანათლების მუშაკთა მომზადებისა და, საერთოდ, კულტმუშაობისათვის.

ამხ. კაკულია

(კახეთის მაზრა)

მთელს კახეთში ცუდად არის დაყენებული მოჯამაგირეთა აღრიცხვა. მოჯამაგირეთა რაოდენობა მაზრაში იმდენად დიდია, რომ საეჭვოა სწორი იყოს ცნობა იმის შესახებ, თითქოს მიწა-ტყის კავშირში გაერთიანებული მოჯამაგირეთა რიცხვი მთელ მოჯამაგირეთა ნახევარს შეადგენდეს. ჩვეულებრივ დღემდე აღრიცხვა დაკისრებული ჰქონდათ თემ-საბჭოებს, რომელნიც ამ საქმისადმი მეტის მეტ გულგრილობას იჩენდნენ. მეტად სუსტია აგრეთვე მომრიგებელ კომისიების მუშაობა. პროფსაბჭომ იმდენი გავლენა უნდა იქონიოს, რომ ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერონ თავიანთი მუშაობა მოჯამაგირეთა აღრიცხვის და მათი მატერიალური მდგომარეობის დაცვის საქმეში. მაზრაში დიდი სამოქმედო ასპარეზია აგრეთვე კულტმუშაობისათვის. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი დიდ პროცენტს აღწევს. მიწა-ტყის კავშირი უძლურია დააკმაყოფილოს თავისი სახსრით თავის წევრთა კულტურული საჭიროებანი. საჭიროა ცენტრისა და სოფლად მომუშავე სხვა პროფორგანიზაციების დახმარება.

უკანასკნელ წლის განმავლობაში ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლად მომუშავე აგრონომებს. ერთი თვის ნაცვლად, ეხლა მათ ეძლევათ ორი კვირის შვებულება. ხელფასიც მცირეა. საცდელ ყანების და სხვა სამეურნეო დაწესებულებების მუშაკ-აგრონომთა თვიური ჯამაგირი 70—80 მანეთს არ აღემატება. ყურადღება არ ექცევა აგრეთვე სოფლად მომუშავე აგრონომთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მეურნეობის ახალი ფორმები კი მოითხოვენ მათ გადამზადებას.

ამხ. ზვიმრაძე

(ქუთაისი)

მაზრაში ახალგაზრდებს შორის მუშაობა გაუმჯობესდა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის. ზემდგომი პროფორგანოების ხელმძღვანელობა მოზარდთა შორის მუშაობაზე მაზრაში ძალიან სუსტია. მართალია, მაზრას ეწვია ცენტრის წარმომადგენელი, მაგრამ არავითარი დირექტივები და სახელმძღვანელო ხაზი არ მოუცია. ქუთაისი და მისი ახლო მდებარე მიდამოები უკვე მოზრდილ საწარმოო რაიონად გადაიქცა. მომზადებული კვალიფიციური მუშების რიცხვი აქ ძალიან ნაკლებია, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდთა გაწვრთნას, მათ პროფტეხნიკურ მომზადებას. საჭიროა გადიდებულ იქნეს საწარმოებში ჯავშნის რაოდენობა. კოლექტიური ხელშეკრულებები ხშირად ირღვევა. ადგილობრივი პროფორგანიზაციები ებრძვიან ამ მოვლენას, მაგრამ საკმაო დახმარებას ზემდგომ ორგანოების მხრივ ვერ ღებულობენ, როცა ისინი ამას საჭიროებენ. საჭიროა ყურადღება მიექცეს საბინაო მშენებლობას ქუთაისში, რადგან მუშათა რიცხვი თანდათან მატულობს.

ამხ. ბრელიძე

(აჭარისტანი)

პროფმუშაკნი იმდენად დატვირთულნი არიან, რომ მათ დრო არ რჩებათ სისრულით გაატარონ ყველა დირექტივები. ეს დატვირთვაა მიზეზი აგრეთვე იმისი, რომ სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას კულტმუშაობა. პროფმუშაკთა განტვირთვისათვის საჭიროა მომზადება პროფაქტივისა, რომელიც გაუადვილებს პროფმუშაკთ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას. მოჯამაგირეებისადმი მიდგომა ყველგან ერთი შაბლონით მიუღებელია. ხშირად მოჯამაგირეებსა და დამქირავებლებს შორის ხელშეკრულება ისეთ ენაზე იწერება, რომ არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ ესმის. ამიტომ ხშირად ადგილი აქვს ამ ხელშეკრულებათა დარღვევას. დაუშვებელია აგრეთვე წყლის ტრანსპორტის მუშაკთა შრომის ორგანოების დამოუკიდებელი, ქ. ბათომის პროფორგანიზაციებთან შეუთანხმებელი მუშაობა, რაც ხშირად პარალელიზმს ქმნის. ბათომის შრომისა და სოცდაზღვევის ორგანოებს შეუძლიათ სამსახური გაუწიონ წყლოსანთა კავშირის მუშაკებსაც. შემდეგ ორატორი აღნიშნავს ზოგიერთ წარმოებებში შრომის ნაყოფიერების ზრდის შემცირებას. მაშინ, როცა ხელფასი მატულობს, რასაც კავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ და ეცადონ შრომის ნაყოფიერების ზრდამ წინ გაუსწროს ხელფასს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეს. დღემდე მშენებელი ორგანიზაციები გაურბიან უმუშევართა კოლექტივების მოწყობას, ეს მაშინ, როცა უმუშევართა რიცხვი ბათომში 7 ათასს აღწევს.

ამხ. კაციტაძე

(თბილისი, მშენებელთა კავშირი)

სამეურნეო ორგანიზაციების დიდი ნაწილი დღემდე არ ასრულებს მე-15 პარტყრილობის დადგენილებას, რომლის თანახმად, მათ უნდა გაიღონ ანარიცხები მუშათა კულტურულ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. პროფორგანიზაციები თავის მცირე შემოსავლით ვერ შესძლებენ გააფართოონ კულტურული საგანმანათლებლო მუშაობა მასებს შორის იმდენად, რომ მთელი მასა ჩაებას კულტურული რევოლიუციის ფერხულში. პროფსაბჭომ უნდა მიიღოს ენერგიული ზომები, რომ დააინტერესოს სამეურნეო ორგანოები კულტურულ მუშაობის საკითხებით. პროფსაბჭომვე გავლენა უნდა მოახდინოს ადგილობრივ აღმასკომებზე. რომ მუშათა ზოგიერთ კატეგორიებზე გავრცელებულ იქნეს კომუნალური შეღავათები.

ამხ. ბალათურია

(ქუთაისი)

აღმშენებლობა ქუთაისში დიდი ტემპით მიმდინარეობს. ამჟამად მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ქალაქის ფარგლებში 14.000 აღწევს. პროფმუშაობა თანდათან უფრო რთულდება და ძნელდება. მიუხედავათ ამისა, ზემდგომი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ადგილებზე პროფმუშაობას. არ არსებობს ცოცხალი კავშირი ადგილებთან და არც დირექტივების მიწოდების საქმე არის მოგვარებული. ეს მაშინ, როცა პროფმუშაობა დაკისრებული აქვს გამოუცდელ ამხანაგებს. არასოდეს ჩვენ გამოცდილი პროფმუშაკები არ გვეყოლებიან, თუ ადგილი ექნა მუშაკთა ასეთ ხშირ გამოცვლას. ორი წლის განმავლობაში ჩვენს პროფორგანიზაციაში 20 მუშაკი გამოიცვალა. რა გამოცდილება უნდა მოვსთხოვოთ იმ ამხანაგს, რომელსაც ერთ საქმეზე ორი კვირა ან ერთი თვე უხდება მუშაობა. სამდივნოების მუშაობამ ადგილებზე დიდი ნაყოფი ვერ გამოიტანა. ალაგ ჩვენ იგი გავაუქმეთ. ქუთაისში ადგილი ჰქონდა წარმოებით პრინციპის დარღვევას პროფკავშირთა მშენებლობაში. პროფსაბჭომ, მუშები, რომლებიც კარიერებზე მუშაობდენ მიაკუთვნა არა მშენებელთა კავშირს, არამედ სამთა - მადნო მუშაკთა კავშირს, რაც აუცილებლად წარმოებითი პრინციპის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

ამხ. ბალკანსკი

(ბორჩალოს მაზრა)

საწარმოო თათბირებს სახალხო მამულებში დიდი მნიშვნელობა აქვს. მუშათა საქმიან წინადადებებს სახალხო მამულების ადმინისტრატორები ანგარიშს არ უწევენ, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ მამულს 20-30 ათასი მანეთი ზარალი აქვს წლიურად. ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა დაწინაურებას სახოფლო - სამეურნეო ორგანიზაციებში, მაგრამ ამავე დროს დაცული უნდა იქნეს სიფრთხილე. დაწინაურებული უნდა იქნეს არა ყოველი მუშა, ან მოჯამაგირე. არამედ ისეთი, რომელსაც საამისო ცოდნა და გამოცდილება მოეპოვება. მაზრაში მცირეა მუშათა კომიტეტების რიცხვი. 50 სოფელზე მოდის ერთი კომიტეტი, რომელიც, რასაკვირველია, ვერ სწვდება რაიონს, სადაც ათასობით გაფანტული მოჯამაგირე მუშაობს. მაზრა მომზადებულ პროფმუშაკთა სიმცირეს განიცდის. საჭიროა პროფორგანოებში ჩავაბათ მოჯამაგირეები, რაც შეიძლება, მეტი ვადით, რადგან მცირე ხნის განმავლობაში ისინი სათანადოთ ვერ იწვრთნებიან.

ამხ. ზველესიანი

(ფოთი)

ძირითად ორგანიზაციებში თვითკრიტიკას გაცხოველება დაეტყო. კავშირის წევრები თვითკრიტიკაში საკმაო თამამობას იჩენენ, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს ერთი მავნე გადახრა: ეს არის თვითკრიტიკის ლოზუნგის ყალბათ გაგება, ან მისი ყალბათ გამოყენება: ზოგიერთები თვითკრიტიკას მიმართავენ თავის კერძო ანგარიშების გასასწორებლად. საკლუბო მუშაობას პროვინციებში განსაკუთრებით ფართო ასპარეზი აქვს, მაგრამ იგი ვერ ვითარდება, რისი მიზეზიც არის არა მარტო მომზადებულ მუშაკთა კადრის უყოლობა, არამედ სახსარის უქონლობა. ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციები დიდ სიძუნწეს იჩენენ საკლუბო და, საერთოდ, კულტურული მუშაობისათვის თანხების გაღების დროს.

ამხ. ჭუბიანოვა

(თბილისი, მკერავთა კავშირი)

ის წესი, რომელსაც ამჟამად მიმართავენ პროფაქტივის აღსარიცხავად, უვარგისია. ხშირად, როცა სურთ პროფაქტივის რაოდენობის გამორკვევა, პროფორგანიზაციას ავალებენ შეატყობინოს, თუ რამდენი ყავს მას პროფაქტივი, პროფორგანიზაციებიც სწორ ცნობას ვერ აძლევენ, რადგან ისინი პროფაქტივის მოსამზადებლად სისტემატიურ მუშაობას არ აწარმოებენ და არც აღრიცხული ჰყავთ აქტივი. ამიტომაც ხშირად არასწორ, შემთხვევით ცნობებს აძლევენ. ანგარიშებში მოყვანილი ცნობა პროფაქტივის რაოდენობის შესახებ ნამდვილი არ არის, და საჭიროა იგი გამოირკვეს. კოლექტიური ხელშეკრულება წინასწარ არ მუშავდება, და თუ მუშავდება, მხოლოდ პროფორგანიზაციებში და არა საზოგადო კრებებზე. ხშირად საკავშირო მასას არც კი აცნობენ კოლხელშეკრულებათა შინაარს მანამდე, ვიდრე იგი დაიდებოდეს. ცუდათ არის აგრეთვე დაყენებული ახალგაზრდობის მომზადების საქმე. სამეურნეო ორგანიზაციები სამუშაოზე ახალგაზრდების მიღებას გაურბიან. არც ჯავშნის საკითხი არის მოწესრიგებული. იქ, სადაც ჯავშანი შემოღებულია, ხშირად ახალგაზრდობის მომზადებას გულგრილად ეკიდებიან და ამიტომ ახალგაზრდობა ვერ ღებულობს საკმაო კვალიფიკაციას. კერძო წარმოებებში დღემდე გრძელდება შეგირდების ექსპლოატაცია. კავშირი ვერ გამოდის მათი დამცველის როლში. ადგილებზე საკონფლიქტო კომისიებს სრული უმოქმედობა ემჩნევათ. ამა თუ იმ მუშის დაწინაურების დროს საჭიროა ანგარიში გაუწიოს არა მარტო,მუშის მომზადებას, არამედ იმასაც, სურს თუ არა იმ წრეს, სადაც იგი სამუშაოდ იგზავნება, მისი დაწინაურება. ძალიან ცუდათ არის ქალთა დაწინაურების საქმე. დღემდე მამაკაცები ვერ შეგუებიან ქალთა თანასწორ უფლებიანობას.

ამხ. ქურდოვანიძე

(თბ. რკ. გზ. საუბ. კომიტეტი)

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ხელმძღვანელობა წელს უვარგისი იყო, მან თავისი მუშაობა ამ დარგში კულტმუშაკთა რამდენიმე თათბირის მოწვევით განსაზღვრა. კულტგანყოფილებამ შეადგინა გეგმა საკლუბო მუშაობისა, მაგრამ ამ გეგმის შედგენის დროს არ გაითვალისწინა კლუბების ტეხნიკური პირობები და ქონებრივი მდგომარეობა, ამიტომ გეგმა მეტ წილათ განუხორციელებელი დარჩა. ასეთი ხელმძღვანელობით ჩვენი საკლუბო მუშაობა წინ ვერ წაიწევს.

ამხ. გოგინაშვილი

(კახეთის მაზრა, მოჯამაგირე)

კახეთის მწყემსების და მოჯამაგირეების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი და პოლიტიკურად და კულტურულად მოუმზადებელია. ძნელია მათ შორის პროფმუშაკთა შერჩევა. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმა და პროფსაბჭომ უნდა იზრუნონ პროფაქტივის მომზადებაზე და ამ მიზნით მწყემსებსა და მოჯამაგირეებისათვის მოაწყონ მოკლევადიანი კურსები. გარდა ამისა, უნდა გახშირდეს კავშირისა და პროფსაბჭოს ხელმძღვანელთა ჩასვლა ადგილებზე. ამ ზაფხულზე პროფსაბჭოს წარმომადგენელმა კახეთის მწყემს-მოჯამაგირეებს შორის ერთი კვირა დაჰყო და ადგილობრივ აწარმოვა მუშაობა, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ქონდა. ეს მოვლინებანი მომავალშიაც უნად განმეორდეს მოჯამაგირეების ინტერესების დაცვას აბრკოლებს შრომის ინსპექტორის უყოლობა. შეიძლება, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წევრთა 80 პროცენტი ჩვენს მაზრაში დაზღვეული იყოს, მაგრამ მწყემსები და მოჯამაგირეები დაზღვევით ვერ სარგებლობენ, რადგან საექიმო პუნქტებს დაშორებულნი არიან. საჭიროა გამრავლდეს აგრეთვე რწმუნებულთა რიცხვი.

ამხ. განგაძე

(ქუთაისის მაზრა)

პროფკავშირთა მოსამზადებლად აუცილებლად საჭიროა კურსების მოწყობა, მაგრამ ამავე დროს საჭიროა პროფაქტივის გაძლიერება თვითმოქმედების გაღვივების საშუალებით. დღეს-დღეობით კი ჩვენი პროფორგანიზაციები პროფაქტივის გაფართოებას ვერ ახერხებენ, ჩასციებიან ერთსა და იმავე პირს და ყოველგვარ საქმეს მას აკისრებენ. დანარჩენებს, რომელთაც მუშაობა სწყურიათ, ხშირად გვერდს უხვევენ. ერთი და იმავე პირის მუშაობით დატვირთვა ერთი მხრივ მოქმედობს თვით მუშაობის ხარისხზე და მეორე მხრივ პროფორგანიზაციას მასას აშორებს. ადგილებს ხშირად ევლინებიან მუშაკები ცენტრიდან, მედიდურად მიუთითებენ ნაკლოვანებებზე, უწუნებენ მუშაობას, მაგრამ იმას კი არ ეუბნებიან, თუ როგორ გამოასწორონ შეცდომები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცენტრიდან ჩამოსულ გამგეობის წევრს მოეწვიოს პროფმუშაკთა თათბირი საჭირბოროტო საკითხების დასამუშავებლად. მოჯამაგირეების მდგომარეობა ხშირად აუტანელია. ზოგან ხელშეკრულებით მათი მუშაობა განუსაზღვრელია, მათ არ იციან მოსვენება არც დღით, არც ღამით. ასეთი ხელშეკრულება დადებულია პროფკავშირის დასტურით. უკანასკნელ ხანებში კავშირები მოუტოვებელ გულგრილობას იჩენენ ახალგაზრდობის მომზადების საკითხისადმი. ზოგ საწარმოების ადმინისტრაციამ შესძლო ჯავშნის ნორმის შემცირება კავშირის ცენტრალურ გამგეობებთან შეთანხმებით.

ამხ. მგელაძე

(თბილისი, მილიცია)

ჩვენ მიერ პროფსაბჭოში აღძრულ საკითხების გადაწყვეტას დიდხანს აგვიანდება. საერთოდ მილიციელებისადმი დიდ უყურადღებობას აქვს ადგილი. მილიცია კი ჩამორჩენილია, როგორც ნივთიერად, ისე კულტურულად, და სხვა ჯგუფებზე ნაკლებ. არ საჭიროებს მზრუნველობას. თუ მილიციის მდგომარეობა ნივთიერად არ გაუმჯობესდა, კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობა მათ შორის წინ ვერ წაიწევს. ზოგიერთი ორგანოები არ იცავენ მილიციელთა უფლებრივ მდგომარეობას. მაგ., შემოღებულია მილიციელთა სიცოცხლის დაზღვევა. ერთი ჩვენი ამხანაგი მილიციელთაგანი დაიჭრა ბანდიტებთან ბრძოლაში და დაჰკარგა შრომის უნარი. როცა მან თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას მიმართა შუამდგომლობით თავის უზრუნველყოფის შესახებ (დაზღვევის წესების თანახმად), იგი უარით გამოისტუმრეს.

ამხ. ჯოჯუა

(სენაკი)

კოლექტიურ ხელშეკრულებებს დაგვიანებით სდებენ. მაგ., ჩვენს მაზრაში კოლხელშეკრულებათა დადებას აპრილ-მაისამდე დააგვიანდა. მიზეზი—ცენტრალური გამგეობებისაგან ცირკულიარებისა და დირექტივების დროზე მიუღებლობაა. ადგილობრივ ყურადღება არ ექცევა შრომის დაცვას. სენაკის მაზრისა და ფოთის რაიონისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი შრომის ინსპექტორი. აგვიანდება აგრეთვე ზოგიერთი ჯგუფების ხელფასს. მილიციის თანამშრომელნი ჯამაგირს ორი-სამი თვის დაგვიანებით ღებულობენ. პროფაქტივის მომზადებას აფერხებს ის გარემოება, რომ დღემდე ადგილობრივ პროფორგანიზაციებს არა აქვთ დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომზადდეს ეს პროფაქტივი.

ამხ. სარქისოვი

(ახალქალაქი)

მართალია, პროფკავშირთა წევრების რაოდენობა იზრდება, მაგრამ ამავე დროს იზრდება უმუშევართა რიცხვიც. კავშირებმა ამ უმუშევრობას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და უნდა მოაგვარონ უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი, უმუშევრები ადგილებზედაც ჩაბმულნი უნდა იქნენ შრომის კოლექტივებში და სხვადასხვა მოსამზადებელ კურსებში (მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად). პროვინციაში საკლუბო მუშაობა შეფერხებულია, რადგან კლუბებს არ მოეპოებათ რიგიანი შენობები. ბინების უქონლობა უშლის ხელს აგრეთვე საწრეო მუშაობის განვითარებას. აქ, თბილისში დიდი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა სამხედრო მომზადებას, პროვინციაში კი ამ მხრივ არაფერი არ კეთდება. ქვეყნის თავდაცვისათვის კი საკმაო არ არის, რომ მხოლოდ ქალაქის მშრომელნი იქნენ მომზადებულნი. აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს სოფლად მომუშავე ამხანაგების სამხედრო მომზადების საქმე.

ამხ. ლომიძე

(ჭიათურა)

კონცესიონერის წასვლის შემდეგ ჭიათურის შავი ქვის წარმოება ისევ აღორძინდა. წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი ომის წინადროინდელ დონეს უახლოვდება. მუშაობა დაიწყო ბევრ ისეთ ადგილებში, სადაც ქვის ამოღება რამდენიმე წლიწადი შეჩერებული იყო. ჭიათურას აწყდება სოფლებიდან მრავალი მუშა-ხელი. შემდეგში წარმოებას უფრო და უფრო მეტი მუშა-ხელი დასჭირდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ საწარმოო ადგილებში სახლები არ არის და საშინელი ბინის კრიზისი იქმნება. ეხლაც უბინაობის გამო შორიდან მოსული მუშები იძულებული არიან უკან დაბრუნდნენ. მუშათა უმრავლესობას კი 4—5 ვერსიდან უხდება სიარული. 8—10 ვერსის ყოველდღიურად გავლა მუშას ქანცავს და სცემს მის შრომის ნაყოფიერებას. ამიტომ პირველ რიგში კავშირმა უნდა იზრუნოს საბინაო მშენებლობის გაძლიერებაზე და ამ საკითხზე ამთავითვე შეუთანხმდეს წარმოებათა ადმინისტრაციას. მეორე მხრივ საჭიროა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ხორსათ-სანოვაგის და პირველ მოთხოვნილების საქონლის მომარაგება ჭიათურის სამრეწველო რაიონისათვის. პროფმუშაობის ხაზით ამიერიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო თათბირების ორგანიზაციას. ჭიათურის მუშებს დიდი გამოცდილება აქვთ, რომელიც წარმოებას დიდ სარგებლობას მოუტანს, თუ წესიერად იქნება მოწყობილი საწარმოო თათბირები. პროფმუშაკებმა მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ და წინასწარ მოამზადონ მუშები საწარმოო თათბირებისათვის. საჭიროა მოეწყოს კითხვა-პასუხის საღამოები საწარმოო თათბირების ამოცანებსა და დანიშნულებაზე.

ინჟ. კაკაბაძე

(თბ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექცია)

მომხსენებელმა აღნიშნა—ამბობს ორატორი—ინჟენერ-ტეხნიკოსთა ნაკლები აქტივობა პროფესიონალურ და საზოგადოებრივ მუშაობაში. ეს აიხსნება არა იმით, რომ ინჟენერ-ტეხნიკურ ძალებს საზოგადოებრივი მუშაობის სურვილი არ ქონდეს, არამედ იმით, რომ ისინი მეტისმეტად დატვირთულნი არიან. იმ დროს, როცა მუშის სამუშაო დრო 8 საათით, ხოლო კი ზოგან 7 საათით არის განსაზღვრული, ინჟენერს ყოველ დღიურად 12—14 საათი უხდება მუშაობა. თავის პირდაპირი საქმეების გარდა, ბევრი ინჟენერთაგანი ჩაწვეულია პროფტეხნიკურ კურსებზე. დიდი მომქანცველი მუშაობის შემდეგ, მას არ რჩება დრო და ენერგია, რომ საზოგადოებრივ პროფესიონალურ მუშაობას მოახმაროს. საქ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს 2.800 წევრი ჰყავს. წესდების ძალით ჩვენ შეგვეძლია გვყავდეს ერთი განთავისუფლებული მუშაკი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რადგან ბიუროს სახსარი არ მოეპოება. აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ინჟენერ-ტეხნიკოსთა განტვირთვისათვის, თუ გვსურს შევქმნათ მათ წრეში პროფაქტივი. მეორე მხრივ ეს განტვირთვა საჭიროა იმისათვის, რომ დავზოგოთ ჩვენი ძველი სპეცები, რომელიც დღეს უკვე საკმაოდ მოქანცული არიან. რაც შეეხება სპეციალისტების მონაწილეობას სამეურნეო მუშაობაში, მათ ამის დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ სამეურნეო ორგანოები ხშირად გაურბიან სპეციალისტებს და ისეთ საკითხებს, რომელიც მათი მონაწილეობით უნდა სწყდებოდეს, სწყვეტენ მათი მონაწილეობის გარეშე. ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ასეთი უნდობლობა სპეციალისტებისადმი საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსებს არ დაუმსახურებიათ. ჩვენში არ შეიძლება ექნეს ადგილი ისეთ მოვლენას, როგორც შახტის ამბები იყო, რადგან, როგორც უკვე გამოირკვა, შახტის შეთქმულების ინიციატორნი—ინჟენერ-სპეციალისტები თვით იყვნენ წარმოებათა მფლობელნი და როგორც ასეთნი, მოწადინებულნი ყვნენ აღედგინათ ძველი მდგომარეობა. ჩვენში მრეწველობა საერთოდ განუვითარებელი იყო და არც კერძო მწარმოებელი სპეციალისტები იყვნენ. მათ რევოლიუციის დროს არაფერი დაუკარგავთ და მისი დამარცხებით ვერაფერს შეიძენენ. საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსები მზათ არიან თავის ძალღონე შეალიონ თავის ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას. ჩვენ მოვითხოვთ, მუშათა კლასმა გამოიყენოს ჩვენი ცოდნა-გამოცდილება და ჩვენთან ერთად შექმნას პირობები ამ ცოდნის გამოსაყენებლად.

ამხ. რუმიანცევი

(სრ. საკ. პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს ინსტრუქტორი)

— ნება მიბოძეთ სრ. საკ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელით მივესალმო საქართველოს პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობას. სრ. საკავშირო პროფკავშირთა უკანასკნელი ყრილობის შემდეგ დაახლოვებით იმდენივე დრომ განვლო, რაც საქართველოს პროფკავშირთა უკანასკნელი ყრილობის შემდეგ. ეს დრო ორი წლით განისაზღვრება. ამ ხნის განმავლობაში საკავშირო პროფმოძრაობას უდიდესი მიღწევები აქვს. ჩვენ განვლეთ მეურნეობის აღდგენის პერიოდი და ეხლა ვიმყოფებით მისი გარდაქმნის პირველ საფეხურზე. ჩვენი მეურნეობის წინსვლას მოჰყვა მუშათა რიცხვის გადიდება. თუ 1926 წლის 1-ლ ივლისისათვის საბჭოთა კავშირში პროფორგანიზაციების მიერ შეკავშირებული იყო 9.270.000 მუშა-მოსამსახურე, 1928 წლის 1-ლ ივლისისათვის პროფკავშირები აერთიანებენ 11,050.000 მუშა-მოსამსახურეს. ეს ორი წლიწადი იყო არა მარტო მუშათა რიცხვობრივი ზრდის, არამედ ჩვენი პროფმუშაობის ხარისხის გაუმჯობესების პერიოდი. ჩვენმა პროფორგანიზაციებმა წარმატებით განახორციელეს საკ. პროფკავშირთა მე-7 ყრილობის დირექტივები აპარატის გაჯანსაღების, მისი მუშათა მასებთან დაახლოვების, მისი გამუშურების შესახებ. პროფორგანოებმა საფუძველი ჩაუყარეს ფართო საპროფკავშირო დემოკრატიას, რამაც ხელი შეუწყო საკავშირო მასის ამოქმედებას, მის გააქტივებას, მის მონაწილეობის გაცხოველებას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. საწარმოო თათბირების, დროებითი საკონტროლო კომისიების მოწყობას მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგები: შრომის ნაყოფიერებამ იმატა და წელს ჩვენ პირველად გვაქვს შემთხვევა, როცა ნაყოფიერების ზრდა 5 პროცენტით უსწრებს შრომის ხელფასის ზრდას. მუშათა კლასის ნივთიერმა მოღონიერებამ განამტკიცა თვით კავშირების ფინანსიური მდგომარეობა. საწევრო გადასახადის შეტანამ იმატა, ამავე დროს შემცირდა აპარატის შესანახი ხარჯები. თუ 1925 წელს საწევრო ანარიცხების ჯამი უდრიდა 62.200.000 მანეთს, 1927 წელს იგი აღწევდა 116 მილიონ მანეთს. ამ თანხის 65 პროცენტი მოხმარდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ეხლა ჩვენ ვდგევართ მე-8 ყრილობის წინაშე და ჩვენ წინაშე არ დგას ისეთი ახალი პრინციპიალური საკითხები, რომელსაც შეეძლოს შესცვალოს ჩვენი მუშაობის ძირითადი ხაზი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ ჩვენი საკავშირო მუშაობა შეუფარდოთ იმ ამოცანებს, რომელიც მუშათა სახელმწიფოს წინაშე სდგას. ეს არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის, წარმოებათა რაციონალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარების და გაძლიერების ამოცანები. ეს ამოცანები პროფკავშირისაგან მოითხოვს მთელი ძალების დაძაბვას, მათ ამ დიდ საქმეში უნდა ჩააბან მშრომელთა ფართე მასები, მათ უნდა შექმნან მუშათა ახალი კადრები ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის. მუშათა მომზადება, მათი დაწინაურება დღეს გადაუდებელი საჭირბოროტო საკითხია. საქართველოში, როგორც ვხედავთ, ამ საკითხს დიდი ყურადღება არ ექცევა. 160 ათასი მუშა-მოსამსახურედან დაწინაურებული ყოფილა მხოლოდ 80 კაცი, რაც მეტისმეტად უმნიშვნელოა. ამავე დროს მუშათა 50 პროცენტი დასაწინაურებელ კანდიდატთა სიაში ყოფილა შეტანილი, ეს კი გადაჭარბებაა, რადგან ამ უახლოეს წლებში არ შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მუშათა ასეთი დიდი პროცენტის დაწინაურება მოხერხდეს. ეს არ არის რეალური გეგმა. საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცევა სტუდენტთა შორის მუშაობას, რაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. პროლეტარულ სტუდენტობამ ჩვენ უნდა მოგვცეს ახალი სპეცები, ახალი მშენებლები. ისინი ამთავითვე უნდა შეეჩვიონ კულტურულ-საზოგადოებრივ მუშაობას, რადგან ჩვენ გვჭირია არა მარტო ვიწრო სპეციალისტები, არამედ საზოგადოებრივი მუშაკებიც. მეორე მხრივ პროფკავშირებს მართებთ უფრო მეტი ყურადღება ძველ სპეცებისადმი, უფრო მეტი ზრუნვა მათი ინტერესებისათვის.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც პროფკავშირებს უწარმოებიათ საქართველოში, საკმაო არ არის. 73 კლუბი მთელს საქართველოსთვის ძალიან მცირეა, განსაკუთრებით ეხლა, როცა ჩვენს წინაშე სდგას კულტურული რევოლიუციის ამოცანები.

კავშირებმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სასოფლო მუშაობას, რომელშიაც უნდა ჩააბან სოფლის ინტელიგენცია. ზოგიერთ სოფლის კულტ. მუშაკებს ემჩნევათ აპოლიტიკურობა. ბევრი მათგანი მზათ არის გლეხთა ფართო მასაში წაიკითხოს მოხსენება იმ დარგიდან, რომელიც მის სპეციალობას შეადგენს. იგივე პირები გაურბიან მოხსენების წაკითხვას პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებზე, რადგან მათ არ უნდათ აწყენინონ არც ღარიბს და არც მდიდარს, რადგან ასეთი ხასიათის მოხსენება გულისხმობს აუცილებლად კლასიური ხაზის გამოაშკარავებას. პროფკავშირებმა სოფლის ინტელიგენციას ხელი უნდა აალებინონ პოლიტიკის გარეშე დგომაზე და აამუშაონ ისინი არა მარტო როგორც ვიწრო სპეციალისტები, არამედ როგორც სოციალიზმის მშენებელი—საზოგადოებრივი მუშაკნი.

ამხ. ჯიჯაძე

(მედსანშრომის მუშაკთა კავშირი)

ჩვენი პროფაქტივი საზრდოობს მშრალი ცირკულიარებით და თათბირებით. მისთვის არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც მას გააცნობს პროფმოძრაობის და პროფმუშაობის პრაქტიკულ საკითხებს. კავშირების ხელმძღვანელობას აკლია სისტემა და სრულიად შემთხვევითი ხასიათს ატარებს. თუ ქალაქში არსებობს კურსები პროფმუშაკთა მოსამზადებლათ, მით უფრო ასეთი კურსები საჭიროა მაზრებისათვის. არ შეიძლება ჩვენი პროფმუშაობა დავამყაროთ დაქირავებულ პროფმუშაკებზე. სამაზრო პროფორგანოებში ყველა საქმეზე ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოლიოთ დაქირავებული მუშაკი. აქტივმა უსასყიდლოთ უნდა გაუწიოს სამსახური იმ მასას, რომელსაც ეკუთვნის. ჩვენ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ ჩვენს კავშირის წევრებს ასეთი სამსახური. ამავე დროს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, ავსწიოთ ჩვენი პროფორგანოების ავტორიტეტი ადგილებზე და გამოვესარჩლოთ მათ, როცა მათ უხდებათ ბრძოლა სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე იმის შემოწმებას—ტარდება თუ არა ჩვენი ყრილობების მიერ გამოტანილი დადგენილებები.

ამხ. პოპოვი

(ტრამვაი)

აქ ბევრი ლაპარაკია საკავშირო დემოკრატიაზე, მაგრამ იგი არ ტარდება. ამ პრინციპის დარღვევას ადგილი ჰქონდა ტრამვაის სახელოსნოებში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ადგილობრივ პროფორგანიზაციის შეცდომას გამოასწორებდა ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელი, მაგრამ მან კიდევ უფრო უარესად შელახა თავისუფალი არჩევნების პრინციპი. ტრამვაიში ამ ახლო ხანში ჩატარდა მუშათა შტატის შემცირება. მუშებისათვის ეს შემცირება დიდი გაჭირვების მომასწავებელია, მაგრამ ისინი ამას ურიგდებიან, რაკი მეურნეობის ინტერესები ამ შემცირებას მოითხოვს. მუშებში უკმაყოფილებას ბადებს არა ის, რომ ადმინისტრაციამ შემცირება მოახდინა, არამედ ის, რომ შემცირება უწესოთ და უსამართლოდ იქნა გატარებული. აქ საჭირო იყო კავშირების დახმარება, მისი მონაწილეობა ამ საქმეში, მაგრამ კავშირმა და პროფსაბჭომ ხელიც არ განძრიეს. იმავე ტრამვაის მეურნეობაში ადმინისტრაციამ მოახერხა იმდენი, რომ იქ მომუშავე მონტიორებს ხელფასი გაუნახევრა; მიმართეს კავშირს, მაგრამ კავშირმა ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა.

ამხ. მხეიძე

(აჭარისტანი)

დღემდე ახალგაზრდების დაწინაურების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია, რადგან ახალგაზრდობაზე ისეთი შეხედულებაა, თითქოს იგი მოკლებული იყოს საშუალებას ნაყოფიერად იმუშაოს და უხელმძღვანელოს ამა თუ იმ დიდ საქმეს. თუ მოხდა სასწაული და ახალგაზრდამ თავისი ინიციატივით, აქტივობით შესძლო წინ წაწევა, მას ამ საქმეზე დიდხანს არ აჩერებენ და უმუშევრად სტოვებენ. შემდეგ ორატორი მოითხოვს, რომ კოლხელშეკრულებები იკვრებოდეს ადგილზე, რომ ადმინისტრაციას ნება არ ქონდეს ადგილობრივ მუშების შესახებ კოლხელშეკრულება დასდოს ცენტრალურ გამგეობასთან, რომელიც ხშირად ადგილობრივ პირობების უცოდინარობის გამო მუშებისათვის საზარალო პირობებზე თანხმდება. ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ პროფუჯრედს საშუალება უნდა მიეცეს ასეთ ხელშეკრულებაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები.

ამხ. გავვა

(აფხაზეთი)

მოჯამაგირეების შეკავშირება აფხაზეთში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. საერთოდ შემჩნეულია საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიულ ორგანიზაციების გულგრილობა მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვის საკითხებისადმი. კოოპერატივები არ ასრულებენ დირექტივას მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების შესახებ. არავინ ზრუნავს მათი შრომის პირობების დაცვასა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. სამუშაო პუნქტებზე, სადაც ასობით მოჯამაგირე იყრის თავს, არ არსებობს საცხოვრებელი ბინები, არ არის მოჯამაგირეთა სახლი, რომელიც ფართო კულტურულ მუშაობას უნდა ეწეოდეს მათ შორის. სამუშაო პუნქტებზე უბრალო სამკითხველოებიც არ მოიპოვება. წითელ კუთხეებზე და კულტურულ მუშაობის სხვა მაღალ ფორმებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ამხ. ჩარკვიანი

(მედსანშრ. მუშ. კავშ. კულტგანყოფილება)

სხვაზე რომ არაფერი ვსთქვათ, პროფსაბჭოს ერთ-ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ მან ვერ მოახერხა ანგარიშების წინასწარ დაბეჭდვა და დაგზავნა ადგილებზე, რომ ყრილობაზე წამოსასვლელი დელეგატები წინასწარ გაცნობოდნენ პროფსაბჭოს საქმიანობას და მომზადებული გამოსულიყვნენ საკამათოდ. პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენება აღნიშნავს, რომ მას ცოცხალი კავშირი ჰქონდა ადგილებთან, მაგრამ როგორი ღირსების იყო ეს კავშირი, რას აკეთებდნენ ადგილებზე გაგზავნილი პროფმუშაკნი, ამის შესახებ ანგარიშში არაფერს გვეუბნება. ჩვენ კი ვიცით, რომ ცენტრის წარმომადგენელნი ადგილებზე ერთი-ორი დღით მიდიოდნენ და უმეტეს შემთხვევაში არაფერს არ აკეთებდნენ. კულტმუშაობის საკითხები, ამ დარგში შესრულებული მუშაობა, როგორც დაბეჭდილ ანგარიშში, ისე მომხსენებლის სიტყვაში, სრულიად მიიჩქმალა. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას არაფერი არ გაუკეთებიათ და სათქმელიც არაფერი აქვს. არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ საკლუბო მუშაობაში გამეფებულია ხალტურა, მაგრამ რა გააკეთა პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ამ ხალტურის აღმოსაფხვრელად? არაფერი. მეექვსე ყრილობაზე ბევრი ლაპარაკი იყო აგრეთვე იმის შესახებ, რომ აღმასკომები ჩვენს კლუბებს შენობის ქირაში ტყავს აძრობენ. პროფსაბჭოს დავალებული ჰქონდა ამ საკითხის მოწესრიგება, მაგრამ მან ხელიც არ გაანძრია და წელსაც ისე, როგორც შარშან, კლუბებს შენობების ქირაში ტყავი ძვრებოდათ, მომხსენებელს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, თუ როგორაა დაყენებული კულტმუშაობა მაზრებში. ჩვენ ვიცით, რომ ამ მხრივ მაზრებში საშინელი მდგომარეობაა. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას მაზრებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

მომხსენებელი აქ თავს იწონებდა, რომ საანგ. პერიოდში გაფართოვდა და გაძლიერდა ფიზკულტურა. ეს არაა მართალი, რადგან ფიზკულტურაში ჩაბმული არიან უმთავრესად ახალგაზრდები, ხოლო მოზრდილთა მთავარი მასა დღემდე მის გარეშეა დარჩენილი. არავითარი ხელმძღვანელობა არ გაუწევია პროფსაბჭოს მუშათა დაწინაურების საქმისათვის, დაწინაურება ხდებოდა უგეგმოთ, თავისთავად პროფკავშირების მონაწილეობის გარეშე.

ამხ. გარინგტონი

(კახეთის მაზრა)

ამხ. ჯიჯაძე სხვებს უკიჟინებს უმოქმედობას, მაგრამ დიდი აქტივობა არც თვითონ გამოუჩენია. მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობას ადგილებისათვის ცირკულიარების გზავნისა და უსარგებლო მიწერ-მოწერის მეტი არაფერი გაუკეთებია. მართალია, ჩვენს მაზრას ერთხელ ესტუმრა ამხ. ჯიჯაძე, მაგრამ თავისი მოვალეობა ადგილობრივ მუშაკების მიმართ იმით განსაზღვრა, რომ გამოუცხადა მათ საყვედური და დაავალა, რომ ეს საყვედური ოფიციალურად ეცნობებინათ ქვემდგომ ორგანიზაციებისა და კავშირის წევრებისათვის.

ამხ. გარინგტონის სიტყვით დამთავრდა მეორე დღის საღამოს სხდომა.

დაზღვეულთა საექიმო დახმარება*)

(პროფკავშირთა ყრილობის გამო)

ყველა იმ მასიურ კრებზე, სადაც სოციალური დაზღვევის ორგანოების ხელმძღვანელები გამოდიან მოხსენებებით დამზღვევ ორგანოების მუშაობის შესახებ, როგორც შეკითხვების, ისე კამათის ორი მესამედი დაზღვეულ მუშა - მოსამსახურეთა მხრივ — საექიმო დახმარების კითხვებს შეეხება. ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან დაზღვეულთა საექიმო დახმარება ამჟამად უამრავ დეფექტებს შეიცავს. არ არის თავის დროზე წამლები, ამბულატორიული დახმარება მოუწესრიგებელია, ბინაზე დახმარება არ ხდება თავის დროზე, სამკურნალო დაწესებულებებში არ მოიპოვება საკმაო ლოგინები და ავადმყოფ დაზღვეულთ მთელი თვეობით უხდებათ რიგში ლოდინი. ყველა ეს ფაქტები აღელვებენ დაზღვეულ მოსახლეობას და პასუხს ყოველივე აქ აღნიშნული ნაკლისათვის, — სოციალური დაზღვევის ორგანოების ხელმძღვანელებს სთხოვენ. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია უარყოფითად ახასიათებს დამზღვევი კასის მიერ ჩატარებულ მუშაობას, და ეს უამთავრესად იმიტომ, რომ საექიმო დახმარების საქმე კარგათ არ არის დაყენებული.

დაზღვეულ მოსახლეობის საყვედურები და მოთხოვნილებები საექიმო დახმარების შესახებ, ვიმეორებთ, სრულიად სამართლიანია, ხოლო ამ შემთხვევაში ეს საყვედურები შეეხება არსებითად არა დამზღვევ ორგანოებს, არამედ სრულიად სხვა უწყებას—ჯანმრთელობის კომისარიატს და მის ხელქვეით ორგანოებს.

იმ მოტივით, რომ ჩვენში დაცული ყოფილიყო პრინციპი საბჭოთა მთლიანი მედიცინის, კარგა ხანია, რაც დაზღვეულთა საექიმო დახმარების მთელი ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის ორგანოებს გადაეცა. დამზღვევი ორგანოების მოვალეობას შეადგენს გადასცენ კანონით წინასწარ განსაზღვრული თანხა ჯანმრთელობის ორგანოებს და იყოლიონ წარმომადგენელი იმ კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს ხარჯთაღრიცხვის შედგენა მომავალი წლისათვის. აქედან აშკარაა, რომ დამზღვევ ორგანოებს აღარ აქვთ საშუალება უშუალოდ ჩაერიონ დაზღვეულთა საექიმო დახმარების მოწესრიგების საქმეში და ებრძოლონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დეფექტებს.

თანახმად არსებული კანონმდებლობისა, დამზღვევი ორგანოების მიერ გადაცემული თანხა, ჯანმრთელობის ორგანოებმა უნდა გამოიყვანონ, როგორც დოტაცია, ანუ როგორც დამატება იმ ძირითად თანხაზე, რომელიც უნდა იხარჯებოდეს დაზღვეულ მოსახლეობის სამკურნალოდ ჯანმრთელობის ორგანოების საკუთარ წყაროებიდან. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. დამზღვევ ორგანოებიდან გადაცემული თანხა არა თუ დოტაციის ხასიათს არ ატარებს, წინააღმდეგ, ეს თანხა საექიმო დახმარების ძირითადი თანხა თითქმის ყველგან, ხოლო ზოგიერთ მაზრებში — ერთად ერთ წყაროს შეადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ჯანმრთელობის ორგანოების მთლიანი ანგარიშები იმის შესახებ, თუ საერთოდ რამდენი იხარჯება მოსახლეობის მკურნალობაზე, ვინაიდან ასეთი ანგარიშების მიღება ჯანმრთელობის ორგანოებიდან დღემდე ვერ მოხერხდა. მაშინ ჩვენ შევძლებდით გამოგვერკვია დამზღვევი ორგანოების მიერ გაღებული თანხის ხვედრითი წონა დაზღვეულთა მკურნელობის საქმეში.

რაც შეეხება იმ თანხას, რომელიც ჯანმრთელობის ორგანოებს გადაეცათ დამზღვევი ორგანოებიდან ის უდრის:

1924/25 საოპერაციო წელში	1.258.290 მ.	ანუ ერთ აქტ. დაზ.	15—44 კ.
1925/26	1.922.632 მ.		19—66 კ.
1926/27	2.270.221 მ.		21—24 კ.
1927/28	2.614.338 მ.		23—09 კ.

ამნაირად, გასულ საანგარიშო წელში დაზღვეულთა სამკურნალოდ ჯანმრთელობის ორგანოებმა მიიღეს 2.614.338 მანეთი. დაზღვეული მოსახლეობა (პენსიონერების, უმუშევრების და ოჯახის წევრების ჩათვლით) მოსახლეობის საერთო რიცხვთან შედარებით, 1926 წლის დეკემბრის აღწერის თანახმად, მხოლოდ 11—12 პროც.-მდე შეადგენს. დანარჩენი 88 პროც. არა დაზღვეული მოსახლეობაა. თუ მოსახლეობის 12 პროც.-ზე ჯანმრთელობის კომისარიატმა მარტო დამზღვევ ორგანოებიდან დოტაციის სახით — 2.614.000 მანეთი მიიღო, დამზღვევ ორგანოებს არ შეიძლება არ აინტერესებდეთ, თუ ამავე უწყებამ რამდენი დახარჯა თავის საკუთარ წყაროებიდან, როგორც დაზღვეულთა, ისე მოსახლეობის დანარჩენ 88 პროც.-ზე.

დამზღვევი ორგანოების კატეგორიული მოთხოვნილებაა, რომ ამ ორგანოებიდან გაღებული თანხა ითვლებოდეს არსებითად დოტაციად, იგი ემატებოდეს ჯანმრთელობის წყაროებიდან გაღებულ მთავარ თანხას და ამ ორი თანხის ჯამი ხმარდებოდეს მხოლოდ დაზღვეულთა მკურნალობას. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ჯანმრთელობის ორგანოები არ იქცევიან ასე. ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ჯანმრთელობის ორგანოები არა თუ არაფერს არ უმატებენ დამზღვევი ორგანოებიდან მიღებულ თანხას, ზოგიერთ მაზრებში ეს თანხა არა დაზღვეულებს ხმარდება.

შეიძლება ჩვენ ამ შემთხვევაში ვცდებით და ჩვენი ეჭვიანობა უსაფუძვლოა. მაგრამ ამ ეჭვიანობისათვის საბაბს გვაძლევს ერთის მხრივ დაზღვეულთა საექიმო დახმარების ამჟამად არსებული დონე, ხოლო მეორეს მხრივ ჯანმრთელობის ორგანოების ის სიჩუმე, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენს მრავალჯერ მიმართვაზე ანგარიშების მოწოდების შესახებ.

დამზღვევი ორგანოები ასე სვამენ კითხვას: — აი, თანხა, რომელიც გადმოგეცით, თქვენ, ჯანმრთელობის ორგანოებს, დაზღვეულთა სამკურნალოდ. გვიპასუხეთ, თუ რაზე დახარჯეთ ეს თანხა და თქვენის მხრივ რამდენი დაუმატეთ. თუ ტეხნიკურათ შეუძლებელია თქვენი წყაროებიდან დახარჯული თანხის იმ ნაწილის გამორკვევა, რომელიც დაზღვეულებზე დაიხარჯა, მოგვეცით ცნობები საერთო ხარჯებისა, რესპუბლიკის მასშტაბით და ჩვენ თვითონ გამოვიანგარიშებთ ჩვენი წვლილის ხვედრითი წონას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ეჭვები სინამდვილის ელფერს მიიღებენ.

ვიმეორებთ, ეს კითხვა დამზღვევი ორგანოებისათვის ერთი პირველ ხარისხოვანი კითხვათაგანია. ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არის იმდენად მდიდარი, რომ საექიმო დახმარების აღმოჩენის დროს არ მივიღოთ მხედველობაში მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიებისათვის ერთგვარი უპირატესობის პრინციპი. ჩვენი ნორჩი წარმოება, რომელიც ეხლა ხან შესდგა აღორძინების გზაზე, საღ და ჯანმრთელ მუშა - ხელს მოითხოვს. უამისოდ შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების გაზრდა. აქედან თავის თავად გამომდინარეობს მკურნალობით მუშა-მოსამსახურეთა პირველ რიგში დაკმაყოფების საჭიროება. როგორც დამზღვევი ორგანოები, ისე მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა არსებითად დაინტერესებულია დაზღვეულთა საექიმო დახმარების სათანადო სიმაღლეზე დაყენებით. ჩვენ კი არ გვევარგა ამბულატორიული დახმარება, უვარგისია ბინაზე ექიმობა, არა გვაქვს მედიკამენტები თავის დროზე, ვერ ვათავსებთ ავადმყოფებს სავადმყოფოში, ხოლო რაც შეეხება საექიმო პერსონალს, იგი კვალიფიკაციის მხრივ დაბლა სდგას.

ჯანმრთელობის ორგანოები თვითონვე აღიარებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა არსებობას. მაგრამ ისინი თავს იმით იმართლებენ, რომ ამ ნაკლთა გამოსწორება დიდ თანხას მოითხოვს, ხოლო ასეთი თანხა ჯანმრთელობის ორგანოებს არა აქვთ. ეს მართალია და ამიტომ მოითხოვენ დამზღვევი ორგანოები დაზღვეულთა მკურნალობის ფონდის ცალკე გამოყოფას, ამიტომ არიან დამზღვევ ორგანოები წინააღმდეგი იმის, რომ დაზღვეულთა სამკურნალო ფონდი საერთო ქვაბში ითქვიფებოდეს.

არსებული კანონმდებლობით, დაზღვეულთა სამკურნალო ფონდის შეთვალყურედ გამოყოფილია კომისია, რომელშიც დამზღვევი ორგანოების წარმომადგენელიც შედის, მაგრამ ვიდრე ჯანმრთელობის ორგაგენობის დამოკიდებულება არ შეიცვლება დაზღვეულთა სამკურნალო ფონდისადმი, კომისიის მუშაობა უნაყოფოთ დარჩება.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7-ე ყრილობამ თავისი ავტორიტეტული დადგენილებით ხელუხლებელი უნდა გახადოს დაზღვეულთა სამკურნალო ფონდი. ამ ფონდის მუდმივ მეთვალყურედ გამოყოფილ უნდა იქნეს, როგორც ცენტრში, ისე მაზრებში კომისიები, აღჭურვილი მუდმივი კონტროლის უფლებით, და ჯანმრთელობის ორგანოებისათვის მათი დადგენილება უნდა იყოს ყოველმხრივ სავალდებულო. ჯანმრთელობის ორგანოები ამ კომისიების მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში უნდა მოქმედობდენ და დანიშნულ ვადაზე ადგენდენ ანგარიშებს.

საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობა მიაქცევს ყურადღებას აგრეთვე იმ მწვავე ფინანსიურ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს დამზღვევი ორგანოები იმყოფებიან და რომელსაც კიდევ მეტი გამწვავება მოელის 1928-29 საოპერაციო წელში. ამ მდგომარეობის გამწვავება თუ შენელება, თუ მეტად არა, ნახევრად მაინც ჯანმრთელობის ორგანოების მუშაობაზეა დამოკიდებული. სოცდაზღვევის ორგანოების შემოსავლის საერთო ჯამიდან თითქმის ნახევარი მუშაობის უნარის დროებით დაკარგვაზე იხარჯება. დღეს, საქართველოს ნაავადმყოფარი დღების მაჩვენებელთა სიდიდის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს, თანასწორ მდგომარეობაში მყოფ სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. ხოლო ნაავადმყოფარი დღების მაჩვენებელთა გადიდება თუ დაკლება უშუალოდ დამოკიდებულია საექიმო დახმარების ღირსებაზე. და თუ 1928-29 წელში მაინც არ გაუმჯობესდა დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმე ჩვენი დამზღვევი ორგ.-ები კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან და ამავე დროს ჩვენი სახალხო მეურნეობაც დიდ ზარალს ნახავს.

საექიმო კონტროლის ახალი სისტემა ასუსტებს დამზღვევი ორგანოების შეთვალყურეობის როლს დაზღვეულთა ავადმყოფობის შემთხვევებში. და თუ მკურნავი ექიმები ასეთ დროს დიდი დაკვირვებითა და სიფრთხილით არ მოეკიდენ დაზღვეულთა ავადმყოფობის გამო სამუშაოდან განთავისუფლების საქმეს, ნაავადმყოფარი დღების მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდებიან.

ჯანმრთელობის ორგანოების მოვალეობას შეადგენს მკურნავ ექიმების თანამდებობაზე დანიშნონ გამოცდილი ექიმები, ვინაიდან დაზღვეულთა მკურნალობა თავისი ხასიათით განსხვავდება მოსახლეობის დანარჩენი ნაწილების მკურნალობისაგან. დაზღვეულის მკურნავ ექიმს ორი მოვალეობა აწევს. პირველი — მკურნალობა ავადმყოფის, ხოლო მეორე — გამორკვევა იმის, თუ მისი პაციენტის ავადმყოფობა არის თუ არა იმდენად გართულებული, რომ ის განთავისუფლებულ იქნეს სამუშაოდან. ეს უკანასკნელი ამოცანა ხშირათ უფრო ძნელი გადასაჭრელია, ვიდრე პირველი. იმ დროს, როდესაც ერთ მკურნავ ექიმს დღეში 30-50 ავადმყოფის გასინჯვა - შემოწმება უხდება, აშკარაა, ვერც ერთ ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებას ვერ შესძლებს, მით უმეტეს ახალგაზრდა გამოუცდელი ექიმი. ამით კი დიდათ ზარალობს, როგორც თვით დაზღვეული, ისე დამზღვევი ორგანოები და ჩვენი სახალხო მეურნეობა. ასეთ შემთხვევებში დანაშაული მარტო მკურნავ ექიმებს არ მიუძღვით, არ შეიძლება მკურნავი ექიმების იმ სახით დატვირთვა, როგორც ისინი დღეს არიან. 20-25 ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ექიმი იქანცება, ჰკარგავს მოსაზრების უნარს და შემდეგ გასინჯული ავადმყოფების ბედი და გაცემული ავადმყოფობის ფურცელი, რასაკვირველია ფრიად საეჭვო ღირსებისაა.

აი, კითხვები, რომლებზედაც უნდა შეაჩეროს თავისი ყურადღება სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობამ და შეიტანოს გარკვეულობა, როგორც დამზღ. ორგანოებსა და ჯანმრთელობის უწყებათა ურთიერთობაში, ისე საექიმო დახმარების გაუმჯობესების საქმეში.

ვ. ჟუმბურიძე.

---

*) კამათის წესით.

საქ. პროფსაბჭოს საქმიანობა

სატარიფო ეკონომიური მუშაობა

საანგარიშო პერიოდში სატარიფო ეკონომიურ მუშაობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენენ: მასიური ეკონომიური მუშაობის გაცხოველება, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში კავშირების მონაწილეობის გაძლიერება, კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარება, წარმოებებში შრომის ხელფასის რეფორმის გატარება, ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგებისა და საგანაკვეთო სისტემის ჩატარება, ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის შრომის ხელფასის მომატება, შრომის კონფლიქტების განხილვის გაჭიანურებასთან ბრძოლა და სხ.

კოლხელშეკრულებათა დადება

საანგარიშო პერიოდში კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიას წინ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა. ყველა ის საკითხები რომლებიც კოლხელშეკრულებათა დადებასთან იყო დაკავშირებული, დამუშავდა კავშირების ცენტ. გამგეობის წარმომადგენლების სატარიფო თათბირებზე და პროფსაბჭოს პლენუმზე. ამავე დროს კოლხელშეკრულებათა პროექტების განსახილველად მოწვეული იყო ტრესტებისა და სამეურნეო გაერთიანებათა საწარმოო კონფერენციები. შემდეგ მათ ამუშავებდნენ ფაბქარხადგილკომების გაფართოებულ სხდომებზე და მხოლოდ ამის შემდეგ პროექტები გადაქონდათ საზოგადო კრებებზე, რომელთაც საშუალოთ ესწრებოდა მუშა-მოსამსახურეთა 60—70 პროცენტი. კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია წელს გართულა ამ კამპანიასთან ერთად შრომის ხელფასის რეფორმის ჩატარებამ. წინასწარმა მუშაობამ მოამზადა ნიადაგი კოლხელშეკრულებათა დადების წარმატებით ჩატარებისათვის. მოლაპარაკება პროფკავშირთა და სამეურნეო ორგანიზაციებს შორის გრძელდებოდა არა უმეტეს ორი კვირისა, წინათ კი მოლაპარაკება ხშირად კონფლიქტს იწვევდა და თვეობით გრძელდებოდა. საანგარიშო წელში კონფლიქტების რაოდენობა კოლხელშეკრულებებთან დაკავშირებით თითქმის განახევრდა. წელს დადებული კოლექტიური ხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმება გავრცელდა სულ 115.630 მუშა-მოსამსახურეზე, (მთელი დაქირავებული შრომის 83,9 პროცენტზე).

ხელფასის ზრდა

კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს მთავარი ყურადღება მიექცა მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდებას. შრომის ხელფასის ფონდმა საქართველოში საშუალოდ 6 პროცენტამდე მოიმატა. ხელფასი გაუდიდდა ტყავეულობის, აბრეშუმის და ტყის მრეწველობის ტრესტების, კომუნალურ წარმოებების, სახალხო მამულების ტრესტის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ჩამორჩენილ ჯგუფებს. გაიზარდა საშუალო დღიური ხელფასი. თუ 1926—27 წელს იგი 2 მანეთსა და 64 კაპეიკს არ აღემატებოდა, 27—28 სამეურნეო წლებში საშუალო დღიური ხელფასი 2 მან. 78 კ-დე გადიდდა. ხელფასი გადიდდა თითქმის ყველა წარმოებაში. ზრდა აღემატება კოლხელშეკრულებით გათვალისწინებულ შრომის ხელფასის რაოდენობას.

1928 წლის მარტიდან სახელმწიფო დაწესებულებებში ჩატარდა ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება, რაშიაც პროფსაბჭომ უშუალო მონაწილეობა მიიღო. ამჟამად ხელფასის მოწესრიგება ტარდება ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებშიც. ამ რეფორმამდე დაწესებულებებში ერთ და იმავე თანამდებობისათვის სხვადასხვა შრომის ხელფასი იყო შემოღებული. ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგებამ ეს სხვადასხვაობა საგრძნობლად შეასუსტა. ჩამორჩენილ ჯგუფებს ხელფასი მოემატათ იმ მომუშავეთა ანგარიშზე, რომელთა ხელფასი ზომაზე მეტად იყო გადიდებული.

საანგარიშო პერიოდში ხელფასის გაცემის გაჭიანურებას, როგორც მასიურ მოვლენას, ადგილი არ ჰქონია. ადგილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე დავალიანების შემთხვევას.

მასიური ეკონომიური მუშაობა

პროფსაბჭოს მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა შემდეგ მასიური ეკონომიური მუშაობა საგრძნობლად გაძლიერდა. საწარმოო და ეკონომიურ თათბირებში მონაწილეთა რიცხვი 38.442 კაცამდე გადიდდა. ეს ზრდა გამოიწვია თათბირების რეგულიარულად მოწვევამ. 1927 წელს საწარმოო და ეკონომიურ თათბირზე დამუშავებულ იქნა სულ 4.933 საკითხი, აქედან 3.068 საკითხი (ესე იგი 61 პროცენტი) ცხოვრებაშია გატარებული, თუ გადაწყვეტილ საკითხების შესრულებას ავიღებთ, არა მარტო რაოდენობის, არამედ მათი მნიშვნელობის მიხედვით ირკვევა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ცხოვრებაში ტარდებოდა უმნიშვნელო წინადადებანი, მნიშვნელოვან წინადადებათა გაუტარებლობაში ბრალი მიუძღვის არა მარტო სამეურნეო მუშაკებს, არამედ თვით კავშირებსაც, რომელნიც არ ღებულობდნენ ზომებს დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. მოუგვარებელი იყო აგრეთვე საწარმოო თათბირების წინადადებათა განხორციელებაზე კონტროლის გაწევის საკითხი. ზოგიერთ კავშირებს სათანადოდ არ ჰქონდათ გათვალისწინებული საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მნიშვნელობა და ამ თათბირების დანიშნულებათ მიაჩნდათ მხოლოდ ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა. უკანასკნელ ხანებში საკითხების შერჩევა საწარმოო თათბირებისთვის გაუმჯობესდა, მაგრამ კიდევ აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა თათბირზე ფრიად მნიშვნელოვანი საწარმოო საკითხები არ ისმება. ცენტრალურ გამგეობების ხელმძღვანელობას საწარმოო თათბირების მუშაობაზე არა აქვს სისტემატიური ხასიათი და უმთავრესად ზერელე გამოკვლევებით ამოიწურება.

საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველებას წინა წლებთან შედარებით ხელი შეუწყო დროებითი საკონტროლო კომისიების მოწყობამ. ასეთი კომისია დაარსდა 7 საწარმოში. საკონტროლო კომისიების უმრავლესობამ გაამართლა თავის დანიშნულება, მათ ხელი შეუწყვეს მუშების აქტივობის ზრდას, საწარმოო თათბირების მუშაობის გაღრმავებას და მრავალ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას. 1928 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პროფსაბჭო შეუდგა საკონტროლო კომისიების ქსელის გაფართოვებას. ამჟამად კომისიები მუშაობენ 47 საწარმოში.

პ ა რ ტ ი ა შ ი

პარტიული ორგანიზაციები მედგრად უტევენ მემარჯვენე საფრთხეს

გამოზრძმედილ ბოლშევიკურ ცეკას სწორი ხელმძღვანელობით დავსძლევთ ჩვენს წინაშე მდგომ დაბრკოლებებს. — გავაძლიეროთ ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპი. — ფართოდ გავშალოთ საქმიანი თვითკრიტიკა.—პარტკონფერენციები ადგილებზე სასტიკად ჰგმობენ მემარჯვენე გადახრას.

დავიცავთ პარტიის ხაზს

(ლენრაიონის აქტივის რეზოლუცია ამხ. ქართველიშვილის მოხსენების გამო)

მოისმინა რა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება მემარჯვენე საფრთხის შესახებ პარტიაში, ლენრაიონის აქტივის კრება სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი.

ეხლანდელი პერიოდის სამეურნეო დაბრკოლებებმა, რომლებიც გამოიხატა საქონლის ნაკლებობაში, აგრეთვე პურის სიმცირეში ქალაქად, რამაც აიძულა პარტია წარსული წლის პურის დამზადების პერიოდში მიემართა საგანგებო ღონისძიებისათვის, მთელი თავისი სიგრძე - სიგანით დააყენა საკითხი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ სოფლად, კაპიტალისტურ ელემენტების აქტივობის გაძლიერებისა და იმ გზების შესახებ, რომლითაც უნდა წავიდეს პარტია ამ დაბრკოლებების ლიკვიდაციისათვის, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის შესახებ.

ჯერ კიდევ მეთოთხმეტე ყრილობის პერიოდში პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი გენერალური ხაზი არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხაზი, მძიმე ინდუსტრიის განვითარების ხაზი იმისთვის, რათა შენარჩუნებული იქნეს ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, განვითარდეს სოციალიზმი და გაძლიერებულ იქნას ბრძოლა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ.

პარტიის მეხუთმეტე ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიამ მომავალშიაც განაგრძოს კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, არ შეასუსტოს უკანასკნელის ტემპი, ებრძოლოს კულაკებს სოფლად და ნეპმანებს ქალაქში.

მიუხედავად ამისა, არსებული სამეურნეო დაბრკოლებები და ჩვენთვის უცხო კლასობრივ ელემენტების შემოტევა გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის ცალკე ყველაზე უფრო მერყევ ფენებზე, რომელნიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ერთად - ერთი ხსნის გზაა — ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება, ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებისათვის დათმობა. პარტია საჭიროდ სთვლის გადამწყვეტ ბრძოლას ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა და იდეოლოგთა წინააღმდეგ. მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლების წინააღმდეგ. საჭიროა, რათა სისტემატიურად გამოვამჟღავნოთ არა მარტო პარტიის მემარჯვენე ელემენტების, არამედ იმ შემარიგებლების მისწრაფებებიც, რომლებიც ცდილობენ მიჩქმალონ საკითხი უთანხმოებათა შესახებ და ხელს უშლიან პარტიას აწარმოოს ბრძოლა მემარჯვენე, ოპორტუნისტულ ელემენტების წინააღმდეგ.

აქტივის კრება აღნიშნავს, რომ ამ მემარჯვენე განწყობილებებს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, ვინაიდან ჩვენში ყოველგვარი გადახრა გადახლართულია ნაციონალისტურ ტენდენციებთან. გამოხატავს ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციის ზეგავლენას პარტიის ცალკე ფენებზე.

აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თბილისის კომიტეტის პლენუმმა სასტიკი პასუხი გასცა იმ ელემენტებს, რომელნიც ცდილობენ უკან დაახევინონ პარტიას მეხუთმეტე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. აქტივი პარტიის წევრთა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მემარჯვენე ელემენტების და შემარიგებელ განწყობილების წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლასთან ერთად საჭიროა განვაგრძოთ ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციის ნამსხვრევებთან, რომელნიც ამ ბოლო დროს გამოცოცხლდნენ და ცდილობენ საკუთარ მიზნებისათვის გამოიყენონ პარტიის ბრძოლა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ.

აქტივი დარწმუნებულია, რომ ლენრაიონის ორგანიზაცია მთელს პარტიასთან ერთად, ბოლშევიკურ ცეკას საიმედო ხელმძღვანელობით წარმატებით დასძლევს ზრდის დაბრკოლებებს, და ყოველთვის გამოააშკარავებს ანტილენინურ მიმდინარეობებს პარტიაში.

გავაძლიეროთ სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ტემპი.

განვამტკიცოთ შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატია!

გავაღრმავოთ და გავშალოთ თვითკრიტიკა!

მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ნიშან ქვეშ

(ჭიათურის სარაიონო პარტკონფერენცია)

ჭიათურის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელიც 7—8 ნოემბრის განმავლობაში მუშაობდა, ბოლშევიკური თვითკრიტიკისა და პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ ბრძოლის ნიშან ქვეშ ჩატარდა.

კონფერენციამ პირველ საკითხად მოისმინა ამხ. ლ. ქართველიშვილის მოხსენება ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ. შემდეგ კი განხილულ იქნა შორაპნის სამაზრო კომიტეტის ანგარიში (მომხს. ამხ. კირვალიძე) და რაიკომის საანგარიშო მოხსენება (მომხს. ამხ. თალაკვაძე).

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში, რომელიც მეტად გაცხოველებულად მიმდინარეობდა, აღინიშნა მრავალი დეფექტი:

— მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელ ორგანოში შემძვრალია რამოდენიმე საეჭვო პირი, საჭიროა მათი შეცვლა საბჭოთა ელემენტებით;

— ჩვენს რაიონში განსაკუთრებით ძლიერია ყოფ. თავად-აზნაურობა და კულაკები. ეს უკანასკნელნი ებრძვიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, ეწევიან აგიტაციას პარტიის ღონისძიებათა ჩასაშლელად, ცდილობენ ჩვენი მუშაობის უმნიშვნელო შეცდომებიც კი გამოიყენონ ჩვენს საზიანოდ. პარტიულმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ კლასიური მტრების წინააღმდეგ;

— მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბთა ორგანიზაციას, მათს ჩაბმას კოოპერაციაში, მათთვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენას.

— საჭიროა გაბედული, ერთსულოვანი შეტევა ვაწარმოოთ ყოველგვარ მერყეობის, განსაკუთრებით კი მემარჯვენე განწყობილებების წინააღმდეგ. არ უნდა დაუშვათ არავითარი უკან დახევა მე-15 პარტყრილობის დადგენილებათაგან. ღირსეული პასუხი გავსცეთ ყველას, ვინც იარაღს ჰყრის დროებით სამეურნეო დაბრკოლებების წინაშე.

დაახლოებით ასეთ ხასიათს ატარებდა მთელი კამათი. ორატორების სიტყვებიდან ნათლად გამოსჭვიოდა მათი კლასიური შეგნების სიმტკიცე, მრეწველობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა და მზად ყოფნა პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად.

რაიკომის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„კონფერენცია აღნიშნავს, რომ ჭიათურის რაიონის განსაკუთრებულმა პირობებმა წვრილ-ბურჟუაზიული გარემოცვის სიძლიერის მხრივ ქვეყნის სამეურნეო სიძნელეებთან დაკავშირებით გამოიწვია პარტიის მოწინააღმდეგე ძალთა გამოცოცხლება. ეს მტრულად განწყობილი ძალები პოულობენ თავის დასაყრდენს ზოგიერთ მერყევ ამხანაგებში, რომლებიც ეჭვით უყურებენ პარტიის საქმიანობას. მოწინააღმდეგე კლასისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად ასეთი ამხანაგები შემარიგებელ პოზიციას იჭერენ მის მიმართ და ამ რიგად სცდებიან სწორ ლენინურ ხაზს.

ჭიათურის პარტორგანიზაციამ გამოიჩინა ლენინური სიმტკიცე ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ლიკვიდაცია უყო მას. მაგრამ ტროცკიზმის ნაშთი ჯერ კიდევ არის დარჩენილი. კონფერენცია ავალებს რაიკომს არ შეასუსტოს ყურადღება ტროცკისტულ ოპოზიციის ნაშთის საბოლოო ლიკვიდაციისადმი და ამავე დროს დაუზოგავი ბრძოლა აწარმოოს მემარჯვენე საფრთხის და მისდამი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს მუშათა ფართო მასის უფრო მტკიცედ შეკავშირებისა და ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვის გზით.

პარტიის სიწმინდე და სიმტკიცე, მისი მთლიანობა—მომავალი გამარჯვების და ყველა დაბრკოლებათა გადალახვის საწინდარია. ამიტომაც კონფერენცია ავალებს რაიკომს მიიღოს ყოველგვარი ღონისძიებანი მერყევ—კლასობრივად უცხო იდეოლოგიის მატარებელთა წინააღმდეგ პარტიის რიგებში".

დავამარცხეთ ტროცკიზმი--დავსძლევთ მემარჯვენე საფრთხესაც

(ხაშური)

ამ დღეებში ჩატარდა ხაშურის სარაიონო პარტკონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა: გორის მაზრკომის ანგარიში, რაიკომის ანგარიში, რაიკომის მუშაობის გამომკვლევ კომისიას მოხსენება, საკონტროლო კომისიის გორის მაზრის სამეულის ანგარიში და არჩევნები.

პირველად მოსმენილ იქნა რაიკომის ანგარიში. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ, რაიკომის ყურადღება მიპყრობილი იყო მუშათა კულტურულ-ეკონომიური დონის გაუმჯობესებისა და წარმოების რაციონალურად მოწყობისაკენ. წარმოების საკითხებში ჯერ კიდევ არის დეფექტები, მოისუსტებს საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობა, ამ მუშაობაში სუსტად მონაწილეობს ადმინისტრაცია.

ხაშურის ორგანიზაციამ გასულ წელს შესძლო ტროცკისტულ ოპოზიციის სავსებით განადგურება, ამჟამად უფრო მეტის ენერგიით განაგრძობს ის ბრძოლას მემარჯვენე საფრთხისა და მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ.

სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში რაიკომმა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი მიიღო. ხაშურის რაიონში ჩამოყალიბებულია ორი ძლიერი კოლექტიური მეურნეობა, ერთი—სოფ. ოსიაურში და მეორეც სოფ. კლდის წყაროში. ჩამოყალიბებულია აგრეთვე სასოფლო სამეურნეო არტელი სოფ. ქვიშხეთში.

მომხსენებელი შეეხო აზნევთის სადგურის „ზაჰესის" ქვე-სადგურის და რკინის გზის კლუბის მშენებლობის საკითხს და აღნიშნა, რომ მათ მშენებლობაში ბევრი დეფექტია შემჩნეული.

მომხსენებელი შეეხო აზნეეთის სადგურის პროფკავშირების კოოპერაციის მუშაობას შინაპარტიულ მდგომარეობის საკითხებს და დაასკვნა რომ თვითკრიტიკის ფართო გაშლის საშუალებით პარტიულმა მასამ შესძლო მრავალი ნაკლის გამომჟღავნება და პრაქტიკულად შეუდგა მათ გამოსწორებას.

შემდეგ მოსმენილ იქნა კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება და განხილულ იქნა დღის წესრიგის სხვა საკითხები.

კამათში გამოსული ამხანაგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მემარჯვენე საფრთხისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე გორის სამაზრო პარტიული კომიტეტის ანგარიში.

რაიონული კომიტეტის წევრებისა და სამაზრო პარტკონფერენციის დელეგატების არჩევის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ა. ტ—ვი.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმი

ა. ლ. კ. კ. მუშაობის რაციონალიზაციის საკითხები

(ამხ. აზარაშვილის მოხსენება).

თბილისის ორგანიზაციის მუშაობის რაციონალიზაციის საკითხის განხილვასთან ერთად უნდა გადაისინჯოს მუშაობის ის მეთოდებიც, რომლითაც ვხელმძღვანელობდით დღემდე. მუშაობის რაციონალიზაციის აუცილებლობა გამოწვეულია ახალგაზრდობის კულტურულ-პოლიტიკური მოთხოვნილების ზრდით და ჩვენი ხელმძღვანელობის სისტემის შეუფარდებლობით ამ ზრდასთან. დღემდე ჩვენ ძირითად ორგანიზაციებს თავბრუს ვხვევთ აუარებელი ცირკულიარებისა და დირექტივების მიცემით, დამხმარე ძალა და ხელმძღვანელი კი დავალებების შესრულების საქმეში მათ არ მოეპოვებათ.

მომავალში ამას ბოლო უნდა მოეღოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სისტემა, დაწყებული თბილისის კომიტეტიდან, გათავებული უჯრედებით. მთლიანად უნდა შეიცვალოს. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას მაგალითით, რომელმაც საბჭოების გადარჩევის და კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიების ჩასატარებლად, დაგზავნა ადგილებზე გამოცდილი და მომზადებული ამხანაგები.

შემდეგი ნაკლი, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს, ეს არის კამპანიების სიმრავლე. არავითარი სერიოზული შედეგების მიღება კამპანიებისაგან არ შეიძლება.

კომკავშირის აქტივის გამოყენება სათანადოთ არა სწარმოებდა. უნდა გაუქმდეს ყოველგვარი კომისიები და კოლეგიები, რომელიც რაიონულ კომიტეტებთან არსებობს. რადგან აქტივი ადგილებზე მათ სხდომებს ანდომებს თითქმის მთელ დროს. ხელმძღვანელობის სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გაუქმდება აგიტპროპკომისიები, პიონერ-კომისიები. მათ ნაცვლად მუშაობაში უნდა გამოვიყენოთ ორგანიზატორთა ცალკე ჯგუფები.

სამუშაო გეგმა უნდა შესდგეს იმ საკითხების მიხედვით, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედების სხდომების რეგლამენტის საკითხსაც.

ამხ. ასრიბეკოვის და აზარაშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ჩუბინიძე—კომკავშირის ახალი აქტივი არ ეხმარება რაიკომს მუშაობაში, ძველი აქტივი კი მომეტებულად არის დატვირთული. რაიკომის აგიტპროპდარგში მუშაობა უძნელდება იმ მიზეზით, რომ არა გვყავს მომხსენებელთა სათანადო კადრი. ხშირად უჯრედებში გაგზავნილი მომხსენებლები არ ცხადდებიან ადგილებზე.

მამიევი—ამხ. ასრიბეკოვმა რაიკომებს დასდო ბრალი იმაში, რომ მეორე საფეხურის სკოლებში მუშის შვილების ნაკლები რიცხვია. ამის მიზეზია ის, რომ მუშის შვილები ნაკლებად ეტანებიან ცხრაწლედებს სპეცტეხნიკუმებში, და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში კი კონკურსის გამო მუშის შვილები ნაკლებად ხვდებიან.

კარგი იქნება ორგანიზაციების აპარატის მუშაობა გადატანილ იქნეს საღამოობით. ახალ აქტივის წამოწევას და მომზადებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. **კაჭკაჭაშვილმა, აბესაძემ, სპირიდონოვმა,** გიორგობიანმა და სხვ.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ დეპეშაში, რომელიც შეეხება მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლას აზერბეიჯანის კომპარტიაში, გაიპარა შეცდომა. დეპეშის სათაურში სწერია: „მემარცხენე საფრთხის წინააღმდეგ", უნდა იყოს: „მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ".

მიწით ვაჭრობას ბოლო უნდა მოუღოთ

კულაკები აქა-იქ კვლავ ახერხებენ მიწების ხელში ჩაგდებას. —მიწის კანონის დამრღვევნი „ნათლი-მამობით" და „პურ-მარილით" თავს აღწევენ პასუხისგებას.—მიწით მოვაჭრენი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

კულაკი მიწით ვერ ძღება

ქუთაისის მაზრა, სოფ. ჯიმაშტარო

ქუთაისის მაზრის სოფელ ჯიმაშტაროში ცხოვრობს კულაკი ვინმე ილიკო იაკობის ძე ფურცხვანიძე. მას აქვს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 40 ქცევა შემოსავლიანი ადგილ-მამული. ამათ ქონებასთან ერთად მასვე ჩაბარებული აქვს სახელმწიფო ტყე (ყოფ. ეპისკოპოსის) და ითვლება ამ ტყის მცველად, ღებულობს სათანადო ხელფასს. ამდენი მამული მას როდი აკმაყოფილებს! მან შარშან კიდევ შეისყიდა სერგო წულუკიძისაგან 8 ქცევა საყანე და სატყეო ადგილი 600 მანეთად.

ამ ადგილების ყიდვა-გაყიდვა მოხდა შინაური შეთანხმებით და შინაური ხელწერილით. აქამდე კულაკი ფურცხვანიძე გაიძახოდა, რომ მას თითქოს ეს მიწა იჯარით აქვს აღებული, მაგრამ დღეს უკვე გამომჟღავნდა ხელში ილიკოს ოინი. ფურცხვანიძეს მაინც არ ეშინია რადგან „მაღალ წრეებში" აქვს საქმე და ამიტომაც თამამად გაიძახის „ნაყიდი მაქვსო".

კიდევ გამოჩნდება სადმე ადგილები და ფურცხვანიძე ალბად იმასაც მიიტაცებს თავის მამულზე და მალე მემამულე გახდება.

ფურცხვანიძის ოჯახი სულ ორი სულისაგან შესდგება: ცოლი და თვითონ. რაშია საქმე? სად არის ნორმა? ვინ უწყობს ხელს კულაკს? ვისი იმედით ფახი-ფუხობს ფურცხვანიძე. ვფიქრობთ, რომ ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს სადგილ-მამულო ორგანო, და ბოლოს მოუღებს კულაკის მადააშლილობას.

თეთრამიწელი.

—:—

მიწით მოვაჭრე მასწავლებელი

(სენაკის მაზრა, მარტვილის თემი)

რომ არ შეიძლება მიწის ყიდვა-გაყიდვა, რომ ეს სასტიკად ისჯება საბჭოთა ხელისუფლების კანონით, ეს მგონი ბავშვმაც კი იცის ეხლა. ეს ვითომ არ ესმის სოფ. ინჩხურის ოთხწლედის მასწავლებელს კოსტა პიჭალუას, რომელმაც იყიდა მიწა კ. გაბისონიასაგან. აგრეთვე მან თავის ეზოს გაფართოების მიზნით თავისი მიწა გაუცვალა ხელიას ობლებს, რომლებმაც მისცეს მას ფული. ეს მასწავლებელი არა ერთხელ ყოფილა შენიშნული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწით ვაჭრობაში, მაგრამ იგი მაინც დაუსჯელი რჩება, რადგან მას სწყალობენ „ნათლიმამები".

განა ასეთი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს სოფლის მასწავლებელი? პირიქით, სოფლის მასწავლებელი საბჭოთა ხელისუფლების კანონებს უნდა უმარტავდეს ჩამორჩენილ გლეხობას. მასწავლებელი პიჭალუა კი მიწით ვაჭრობის მაგალითს უჩვენებს გლეხებს.

ასეთი მასწავლებელი მშრომელ გლეხებს შორის არ გამოდგება. საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ყურადღება ამას და მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის პასუხი მოსთხოვონ მასწავლებელ პიჭალუას.

ინჩხურელი.

—:—

კულაკები სპეკულიაციას ეწევიან

სოფ. ქილდა, ახალ-ქალაქის მაზრა

სოფ. ქილდაში ცხოვრობენ კულაკები: ძმები ონისიმე, სარდიონი და სანდრო მიქელაძეები, რომლებიც სისტემატიურად ეწევიან სპეკულიაციას მიწებით. საჭიროა მკითხველებმა გაიგოს მათი წარსულიც; ონისიმე არის ყოფილი „ურიადნიკი", რომელიც თვითმპყრობელობის დროს ტყავს აძრობდა მთელ ბარალეთის რაიონის მშრომელ ხალხს და მთელი რაიონი იცნობს მას, როგორც „მათრახისტს". მენშევიკების დროს ონისიმე ითვლებოდა გვარდიის შტაბის წევრად. მიქელაძეები დღეს მთელ ქილდაში ითვლებიან მდიდარ კულაკებად. სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან ყოველ წლიურად 300-მანეთამდე. რითი შეიძინეს მათ ამდენი სიმდიდრე?

ზემოდ აღნიშნულ კულაკებმა 1925 წ. ვითომ გაცვლის სახით არჩილ და ლავრენტი მიქელაძეებს მისცეს ნახევარი დესიატინა უვარგისი მიწა, სამაგიეროთ ხელში ჩაიგდეს საუკეთესო ადგილი და ზედმეტი ღირებულება პურის დამატებით აუნაზღაურეს; სანდრო იაკობის ძე მიქელაძისაგან იყიდეს საუკეთესო მიწის ნაჭერი, საფასურში სახლი მისცეს.

მიქელაძეებმა იციან ღარიბ და გაჭირვებულ გლეხების უმწეო მდგომარეობით ხელის მოთბობა. მათ ისარგებლეს მაშინ მურად-ოღლის მდგომარეობით და უკანასკნელს ხელიდან გამოგლიჯეს საუკეთესო მიწა „ჩალის ფასად".

მიქელაძეები ჰკუაზე უნდა მოვიყვანოთ.

არმიელი

„ნათლი-მამობა" აქაც სჭრის

ზუგდიდის მაზრა, აბასთუმნის თემი.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ დაწერილა პრესაში მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილებს სისტემატიურად მისდით ინსტრუქციები, როგორ უნდა იმოქმედონ მიწის კანონის დარღვევის შემთხვევათა აღმოსაფხვრელად, ჯერ-ჯერობით მაინც აქვს ადგილი მიწის ყიდვა-გაყიდვის აღმაშფოთებელ ფაქტებს.

აქ მინდა მოგახსენოთ აბასთუმნის თემში (ზუგდიდის მაზ.) მომხდარ ბოროტმოქმედებებზე.

1926 წელს მიწა იყიდა შეძლებულმა გლეხმა ნიკოლოზ ცხადაიამ სტეფანე და ჯაბა შეროზიებიდან. ამ გარემოებამ მიაღწია ადგილობრივ თემის ხელისუფლების ყურამდე, რომლის შემწეობით ეცნობა მაზრას. მაზრიდან მოვიდა გამომძიებელი, მაგრამ უკანასკნელი პირველად ესტუმრა მიწის მყიდველ ნ. ცხადაიას. მასპინძელმა მას გაუმართა კარგი ვახშამი და გაისტუმრა გამომძიებელი. თუ რა გამოარკვია გამომძიებელმა, ეს არ ვიცით, ის კი ვიცით, რომ ამ მშვენიერ ვახშმის შემდეგ მიწა, რომელიც ნამდვილად შეისყიდა ცხადაიამ, ხელუხლებლად დარჩა მას და მეორე დღეს მუქარა და ძებნა დაუწყო დამბეზღებელს.

მეორე ფაქტი: 1924 წელს ჯაბა შეროზია გადასახლდა ზობის თემში. მისი ეზო და სახლკარი შეისყიდეს ძმ. ერმილე და ამირან ხუხუნებმა და ჩასახლდნენ კიდეც შიგ. მათ გაავრცელეს ხმა, ვითომდა ადგილი არ უყიდიათ, იყიდეს მხოლოდ სამზარეულო, რომელიც დროებით, ხელისუფლების თვალის ასახვევად დასტოვა შეროზიამ; შემდეგ, როდესაც, როგორც მყიდველმა, ისე გამყიდველმა საქმე მოაწყვეს გავლენიან პირებთან და ღრმად დარწმუნდნენ, რომ ხელს არავინ შეუშლიდა, შეროზიამ თავისი სამზარეულო წაიღო.

კიდევ ერთი მაგალითი: შეძლებულ გლეხმა ბუხუტი ჩაკაბერიამ მიწა იყიდა მღვდელ ვ. გერსამიასაგან. ამ უკანასკნელს ძველი შერჩენილი მიწები მრავალი აქვს. ეს საქმე კიდევ საგამომძიებლო ორგანოებს აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგი არაფერი სჩანს.

მიწის ყიდვა-გაყიდვა ძლიერდება. სისტემატიურად ირღვევა მიწის კანონი. ადგილობრივი ხელისუფლება არ აქცევს ამას სათანადო ყურადღებას, სისუსტეს იჩენენ სასამართლოს ორგანოები. ზოგიერთი „გამომძიებელი" პურ-მარილით და „ნათლი-მამობით" სწყვეტს საკითხს.

საჭიროა ენერგიული ზომები. ბოროტ-მოქმედნი უნდა დაისაჯონ. სავაჭრო საგნათ გადაქცეული მიწები უნდა გადარიცხულ იქნენ ფონდში და დაურიგდეს ღარიბ გლეხობას.

მართალი.

—:—

სასამართლო საქმეს აგვიანებს

ხუჯუნის თემი, სენაკის მაზრა

სოფ. ეწერში (ხუჯუნის თემში) ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ხალხი, რომელიც სხვისი ნაშრომით სცხოვრობს და ბედნიერად გრძნობს თავს. საქმე შემდეგშია: სოფ. ეწერში არის ისეთი მიწები, რომლის პატრონები სოფლად არ იმყოფებიან, მაგრამ მათ ჰყავთ „ყმები" —ღარიბი გლეხები, რომლებიც ამ მიწებს ამუშავებენ და პატრონს „ღალას" უგზავნიან.

გიორგი კოსტას ძე გუგუშვილი ცხოვრობს ქალ. თბილისში, მოსამსახურეა, თვეში ღებულობს არა ნაკლებ 120 მანეთისა,—ს. ეწერში აქვს სამოსახლო მიწა 13 ქცევა მიწაზე უდგია სასიმინდე. ამ მიწას ამუშავებს ვინმე გუგუშვილი, რომელიც ავრცელებს ხმას გლეხობაში რომ ეს მიწა გიორგი გუგუშვილმა აჩუქა (!) მას და მისი ჩამორთმევა არავის შეუძლია.

თენგიზი კოსტას ძე მაღნარაძე ცხოვრობს ქალაქ გაგრაში (სამი წელია, რაც გავიდა სოფლიდან) „სპეციალობით" ვაჭარია. აღნიშნულ სოფელში აქვს სამოსახლო მიწა, ერთი ქცევა და 5—6 ქცევამდე საყანე ადგილები, რომლებსაც ამუშავებს გლეხობა და ვაჭარს „ღალას" უგზავნის.

აქსენტი როსტომის ძე ჰანტურია ცხოვრობს ქალაქ ახალ-სენაკში. ეწერში აქვს ორი სამოსახლო ეზო და რამდენიმე ქცევა საყანე ადგილები, რომლებსაც აგრეთვე ამუშავებს ღარიბი გლეხობა და ამ ვაჟბატონსაც „ღალას" უგზავნიან.

ასეთი ამბები ხდება იმ დროს, როდესაც გლეხობა სამოსახლო ეზოს მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდის. ზოგს სამოსახლო ეზო არა აქვს და ზოგს სახნავი მიწა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ (სათემო საბჭომ) ასეთ მოვლენას ყურადღება მიაქცია და დადგენილება გამოიტანა აღნიშნულ პიროვნებებს ჩამოერთმეოდათ მიწა, მაზ. სადგ.-მამულო განყოფილებამ საკითხი გასარჩევად გადასცა აბაშის უბნის სასამართლოს, რომელმაც გაარჩია ეს საქმე, მაგრამ შედეგი არ სჩანს. რატომ აგვიანებს სასამართლო საქმის მოგვარებას. საჭიროა სათანადო ორგანომ ასეთ მოვლენას მიაქციოს ყურადღება.

კალი.

საზ. „წერა-კითხვა"-ს მდგომარეობა

საზოგადოება „წერა-კითხვა" წარმოიშვა საზ-ბა „წერკომს"-იდან, რომელიც როგორც ფინანსიურად, ისე ორგანიზაციულად გაკოტრდა და მთელი მისი საქმეები აწეწილ-დაწეწილი გარდმოიბარა საზ-ბა „წერა-კითხვა"-მ. როგორც ცენტრში, ისე მაზრებში საზ-ბის წევრები დაქსაქსული იყვნენ. საჭირო იყო მუშაობის ხელახალი დაწყება და ორგანიზაციის ჩამოყალიბება. „წერკომს"-ს იმდენად გატეხილი ქონდა სახელი, რომ საქმეს სახელის გამოცვლამ ვერ უშველა, „წერა-კითხვა"-ს ისევე უნდობლად უყურებდნენ, როგორც საზ-ბა „წერკომს"-ს. ამასთან საზ-ბის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს საქმის ისე დაყენება. ამის გამო სულ რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოება „წერა-კითხვა"-შიც შეიქმნა მწვავე კრიზისი და საზოგადოება დაშლის კარზედ იყო მიმდგარი, მაგრამ პარტიამ გააცხოველა თავისი ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციაზე.

საზოგადოების უმთავრესი უბედურება იყო მისი საგრძნობი დავალიანება რიცხვით 32.000 მანეთზედ მეტი. აქედან 18.000 მანეთი მასწავლებლების ვალი, პარტიის და მთავრობის დახმარებით საზოგადოებას მთელი ეს დავალიანება ჩამოეწერა და მასწავლებლების დასაკმაყოფილებლად როგორც განათლების კომისარიატის, ისე საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს ახალ გამგეობის მიერ გამონახული იქნა საჭირო თანხა. დღეს საზოგადოებას აქვს უმნიშვნელო დავალიანება.

ორგანიზაციული მუშაობის დარგში საზოგადოების ახალმა გამგეობამ, რომელიც მუშაობს უკვე 7 თვეა, მოახდინა საზოგადოების წევრების ხელახალი რეგისტრაცია და შეუდგა მუშაობის გამოცოცხლებას. დღეს საზოგადოებას მთელ საქართველოში ავტონომიურ ოლქების გამოკლებით დაახლოვებით ჰყავს 21 ათასამდე წევრი, აქედან თბილისზედ მოდის 4 ათასამდე კაცი. თითქმის ყველა მაზრებში და რაიონებში ჩამოყალიბებულია საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს უჯრედები და სამაზრო გამგეობები.

გასულ სამოსწავლო წელში საზოგადოებას თავის ხარჯზედ ქონდა გახსნილი 320 სალიკვიდაციო სკოლა. ამ სკოლებმა დაახლოვებით წერა-კითხვა შეასწავლა 8—9 ათას კაცს. ცხადია, ეს რიცხვი ძალიან ცოტაა საქართველოსათვის, მაგრამ ეს ერთნაირ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დღემდის საზოგადოებას არ ჰქონია სამუშაო გეგმა. ეს დიდი ნაკლი იყო. ეხლა ჩვენ გვაქვს როგორც წლიური, ისე კვარტალური სამუშაო გეგმა. საზოგადოების მუშაობას არ ექნება შემთხვევითი ხასიათი.

ჩვენ ამჟამად გვაქვს ბიუჯეტი მთელი სამეურნეო წლისათვის, ჩვენი ბიუჯეტის გასავლის 80 პროც. შეადგენს ლიკ. სკოლების ხარჯი.

უმთავრესად საჭიროა საზოგადოებაში დაძლეულ იქნას წევრთა პასივობა. საზოგადოებას უნდა ჰყავდეს საკმაო აქტივი, აგრეთვე საჭიროა ადგილებზედ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ლიკვიდატორულ განწყობილებას ჩვენი საზოგადოებისადმი.

ჩვენი საზოგადოების მუშაობა ბევრ მაზრებში ძალზედ მოისუსტებს. ზოგიერთ მაზრებში კი სრულიად არაფერი კეთდება, არის ისეთი მაზრები და ავტონომიური რესპუბლიკები, სადაც საზოგადოება წერა-კითხვის სახელის გაგონებაზედ გაკვირვება გამოთქვეს, როგორ ასეთი საზოგადოებაც არსებობს-ო?

თუ ავიღებთ აფხაზეთს, აქ დღესაც არ არსებობს საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ იქ შეგვპირდნენ ასეთის დაარსებას. [illegible] ბა იქ, სადაც მოსახლეობა [illegible] წერა-კითხვის უცოდინარია. მაზრები, სადაც ექვს-ექვს თვეებით ერთხელაც არ იკრიბებიან ჩვენი სამაზრო გამგეობები, რომ ცენტრალური გამგეობის ცირკულიარი და იქმები მაინც განიხილონ ახალი წევრების მიღებასა და საწევრო გადასახადის აკრებაზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჩვენ გვქონდა ცნობა, რომ გორის მაზრაში გვყავს 3 ათასამდე წევრი, ამას წინად გვაცნობეს, რომ მოვახდინეთ ხელახალი აღრიცხვა და აღმოჩნდა 700 წევრით. ასეა, ალბად, სხვა მაზრებშიაც. სწორი აღრიცხვა, გეგმიანი მუშაობა ჯერ-ჯერობით არსად არის, შეიძლება ეს ცენტრალური გამგეობის ბრალიც იყოს, მით უფრო, რომ წარსულში რაღაც გამოურკვეველი მიზეზით ცენტრალური გამგეობა საჭიროდ არ სთვლიდა ავტონომიურ ოლქებში მუშაობის წარმოებას და არც მაზრების ხელმძღვანელობაზედ იწუხებდა მაინცდამაინც თავს. ზოგიერთ მაზრის ხელმძღვანელი ორგანო არასოდეს არ დაინტერესებულა, აკეთებს რამეს თუ არა საზოგადოება წერა-კითხვა მის მაზრაში, არც ერთხელ მათ ჩვენი სამაზრო გამგეობისათვის არ მოუთხოვიათ ანგარიში. ეს არის გულგრილობა წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლისადმი. ზოგჯერ დაცინვასაც აქვს ადგილი. მაგალითად, თბილისში რკინისგზის საავადმყოფოში ჩვენ გვყავს ექიმი ქავჯაია, რომელიც თავდადებულია საზოგადოებრივი მუშაობისათვის მას ადგილკომის თავმჯდომარე მასხარად იგდებს და, ნაცვლად დახმარებისა, თითით საჩვენებლად ხდის: „შეხედეთ, წერა-კითხვა მოდის"-ო!

მიუხედავად ამისა, ამჟამად საზ-ის მუშაობას ერთნაირი გამოცოცხლება ეტყობა, უფრო აქტიურად მუშაობს ცენტრალური გამგეობაც, ეხლა საზ-თა ავრცელებს სანიტარულ წიგნს რომლის ტირაჟი უდრის 20 ათას ეგზემპლიარს და რომელმა სულ ცოტა ხანში უკვე მოგვცა 9 ათასი მანეთი წმინდა მოგება.

საზ-ბის საარსებო წყაროები მეტად განსაზღვრულია. დღეს ჩვენ გვაქვს ერთი კინო, რომელიც დაახლოვებით თვეში იძლევა 300 მან, განზრახული გვაქვს მეორე კინოს გახსნა, რომელმაც უნდა მოგვცეს ჩვენი მინიმალური ვარაუდით 800—900 მან. გვქონდა აგრეთვე ლატარიის პუნქტები, რომელიც ზაფხულის სეზონში იძლეოდა თვეში 400—500 მან., მაგრამ ეხლა ეს პუნქტი იკეტება. ვმართავთ საღამოებს, სეირნობებს, რომლებიც ჯერ-ჯერობით საგრძნობ რეალურ შედეგს არ იძლევა, გავადიდეთ საწევრო გადასახადის რაოდენობა 25 კაპ. 60 კაპეიკამდე, თუ წევრთა რიცხვი გავზარდეთ, მაშინ საწევრო გადასახადიდან შემოსული თანხა დიდ დახმარებას გაგვიწევს, გვაქვს აგრეთვე სხვა შემოსავლის წყაროებიც როგორიცაა საკომისიო მაღაზია, სტეკლო-გრაფია პორტფიზიტის, ტაბელ კალენდარის გამოცემა და სხვა.

ჩვენ 24 ნოემბრიდან ჩავატარებთ საზ-ის კვირეულს, რომლის მიზანია საზ-ის მნიშვნელობის პოპულიარიზაცია, ახალი წევრების მიღება და ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორება.

ცხადია, საზოგადოებას თავის მუშაობაში დასჭირდება მაქსიმალური დახმარება, როგორც პარტიის, ისე პროფკავშირის და კომკავშირის მხრივ, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული საქმის წარმატებით დასრულება.

კ. ბოკერია.

ახალი საქმიანობის წინ სოფლად

(ხორბლეულის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით)

ცნობილია, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ხორბლეულთა შორის უმთავრესად ხმარობს სიმინდს. ამიტომ თავისთავად იგულისხმება, თუ რა გაჭირვებაში უნდა ჩავარდეს გლეხი იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ან არ იშოვება, ან და იშოვება, მაგრამ ძვირად ფასდება.

როგორც ვიცით, წელს პურის ნაწილობრივი კრიზისის გამო სიმინდზე მოთხოვნილება გაიზარდა და მასზე ფასებმაც საგრძნობლად მოიმატა. აშკარაა, რომ ასეთი მდგომარეობა იმ ღარიბ გლეხობის უმრავლესობისათვის, რომლებიც სისტემატიურად ყიდულობდენ ხორბლეულს ვერ იქნებოდა სასურველი,

ისმება საკითხი: სიმინდის ასეთი სიძვირე ცუდი მოსავლის ან სხვა სტიქიურ უბედურებათა შემთხვევების შედეგი იყო, თუ მას ჰქონდა რაიმე სხვა მიზეზებიც? ეს საკითხი აუცილებლათ მოითხოვს სერიოზულ პასუხს. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის მოსავლის დროს, ხორბლეულის ბაზარზე კერძო ვაჭრების მიერ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სპეკულიაციას. სხვადასხვა ოჯახური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ღარიბი გლეხების მიერ გასაყიდათ გამოტანილ სიმინდს კერძო ვაჭრები და სპეკულიანტები მუქთად იგდებენ ხელში.

გაზაფხულისათვის დიდი მოგების სურვილით გატაცებული კულაკები და სოფლის წურბელები ამ გარემოებამ ფეხზე დააყენა. სიმინდის ბაზრის კონიუნქტურა ერთიანად შეიცვალა. გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდში სიმინდზე მოთხოვნილებამ იმატა და გაიზარდა მასზე ფასებიც. ამ დროს კერძო შემსყიდველებმა დრო იხელთეს და გამოიტანეს ბაზარზე „შავი დღისათვის", შენახული სიმინდი. გადაისროლეს ექსპლოატაციის ბადე და გლეხობაც იძულებული გახდა თავისი იაფად გაყიდული სიმინდები, მათვე შესყიდათ გაორკეცებულ და გასამკეცებული ფასებში.

რასაკვირველია მთავრობა ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას უწევდა გლეხობას. მთელ რიგ სოფლებში ამოქმედდა ჩრდილო-კავკასიიდან შემოზიდულ სიმინდის მიმწოდებელი ქსელი. მაგრამ მიუხედავად ამისა სპეკულიანტების მოქმედებას მაინც თავისი გავლენა ჰქონდა.

სამწუხაროდ ხორბლეულის ასეთ „შემძენთა" რიცხვში, კომუნისტების და კომკავშირლების ოჯახებიც აღმოჩნდა, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ კომუნისტების და კომკავშირლებისათვის თავის დროზე არ იყო ახსნილი და განმარტებული ის, თუ რა ანტი-კომუნისტური საქმეს ჩადის ის ამ ხელობით, თუ როგორ ეწინააღმდეგება ასეთი მოქმედებით ხელისუფლების ინტერესებს. „სიმინდის ყიდვა და შემდეგ მისი გაყიდვა — ფიქრობენ ისინი ვაჭრობა და სპეკულიაცია კი არ არის, არამედ სოფლის მეურნეობის შინაური დარგია, რომელიც არა თუ დანაშაულად ჩაითვლება, არამედ ის აუმჯობესებს ზოგიერთ გლეხების მდგომარეობას", ასე ამტკიცებდა ამ „წმინდა" ხელობის მიმდევარი ლეჩხუმის მცხოვრები, ვინმე ლემკაშელი რომელიც პარტიის წევრია.

ლეჩხუმის გარდა ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქუთაისის და სხვა მაზრებშიც. ზოგიერთი კომკავშირელები ხელს უწყობდენ ხორბლეულის გასაყიდათ დაგროვების საქმეს. შარშანდელ მოსავლის დროს, იყო შემთხვევები ხორბლეულის კოლექტიურად შესყიდვისაც რასაკვირველია მოგებით გაყიდვის მიზნით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მოქმედება პარტიისა და კომკავშირის წევრებისათვის სოფლად, არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას, ვინაიდან ეს არის უდიდესი ბოროტება და ანტი-კომუნისტური მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში კულაკების და სოფლის წურბლების სპეკულიანტური მოქმედება არავისათვის არ არის გაუგონარი ამბავი. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ მოვექცეთ ასეთი სპეკულიანტების გავლენის ქვეშ, პირიქით, ჩვენ ასეთი მოქმედებისაგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება პარტიულ პოლიტიკას როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

ამჟამად ხორბლეულის და კერძოთ სიმინდის ყიდვა-გაყიდვის და განმეორებით მისი მომარაგების შესაფერი პირობები, დამდგარია. მალე დამთავრდება წლევანდელი ახალი მოსავლის აკრეფა. ბევრი ღარიბი გლეხი ეხლაც ჩვეულებრივათ გამოიტანს სიმინდს ბაზარზე. ამისათვის ემზადებიან ისევ კერძო ვაჭრები და სოფლის წურბელები. ცხადია, თუ მათი მოქმედება შარშანდებური გზით წარიმართა, ისინი ისევ მზად არიან ღარიბი გლეხობისათვის ტყავის გასაძრობად.

ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე სდგას ჩარჩ-სპეკულიანტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის ამოცანა. ამ ბრძოლის საწარმოებლად სოფლის შეგნებული ინტელიგენციასთან ერთად უნდა დაირაზმოს პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები. გლეხობას უნდა განემარტოს ვაჭრებთან ურთიერთობის და კულაკებთან დამოკიდებულების მავნებლობის ყოველგვარი პირობები.

საკითხი ამის შესახებ, გამყიდველ გლეხების უმრავლესობის თანდასწრებით საზოგადო კრებაზედაც კი უნდა ისმებოდეს. ამასთან დაკავშირებით უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შემსყიდველობითი უნარის გაძლიერებას. აუცილებელია, რომ გლეხობამ პრაქტიკულად დაინახოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უპირატესობა, კერძო ვაჭრებთან ხორბლეულის შესყიდვის დარგში. ამ საშუალებათა გარეშე შეუძლებელია სათანადო შედეგების მიღწევა. ეს საკითხი კი აუცილებლად მოითხოვს სერიოზულ ყურადღების მიქცევას, რათა თავიდან ავიცილოთ ის სპეკულიანტური მოვლენები რომელსაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის სიმინდეულში და რომელმაც საგრძნობლად გააუარესა ღარიბი გლეხობის მატერიალური მდგომარეობა.

ალ. ნუცუბიძე.

ქართული კოლონია მანჯურიაში

(წერილი ხარბინიდან)

ამჟამადაც ქალაქ ხარბინში, (ჩინეთშია) არსებობს „ქართველთა ურთიერთი დამხმარე საზოგადოება მანჯურიაში".

ამ საზოგადოების ისტორია მოკლედ ასეთია: საზოგადოება დაარსდა 1907 წელში. ძველი მთავრობის მიერ იგი რეგისტრაციაქმნილი იქნა როგორც ოფიციალური ორგანიზაცია. ეხლა კი რეგისტრაციაქმნილია ჩინეთის ხელისუფლების მიერ. საზოგადოების წევრებად ყოფნა შეუძლია მანჯურიაში მცხოვრებ ყველა სრულწლოვან ქართველს და მათი ოჯახის წევრს.

საზოგადოების მთავარ მიზანს შეადგენს დახმარების გაწევა გაჭირვებულ წევრებისათვის, დროებითი ფულადი დახმარების სახით, უმუშევარ წევრთათვის სამუშაოს გამონახვა, ღარიბ მოწაფეთათვის სტიპენდიის დანიშვნა, იურიდიული დახმარება და გარდა ამისა საზოგადოება, თავისი გამგეობის სახით, გამოდის შუამავლად საზოგადოების წევრთა შორის დავის და უთანხმოებათა ჩამოვარდნის შემთხვევაში (ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ჩინეთის სასამართლო ორგანოებში ძალზე რთულია და სასამართლოში საქმის გადაცემა დაკავშირებულია უამრავ ხარჯებთან, რაც ხელსაყრელი არ არის არც მომჩივანისათვის და არც მოპასუხისათვის). გარდა ამისა საზოგადოება მეურვეობს იმ მიცვალებულთა ქონებას, რომლებიც სიცოცხლის დროს შედიოდნენ საზოგადოების წევრებად. საზოგადოება ამ ქონების ჩასაბარებლად [illegible] სამშობლოში (ე. ი. საქართველოში) ეძებს [illegible].

საზოგადოება, გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა, ეწევა კულტურულ-განმანათლებელ ხასიათის მუშაობას. მას განკარგულებაში იმყოფება დიდი წიგნთსაცავი, რომელშიც 16.000 ტომამდე წიგნია (მათგან ბევრი ქართული), რომელთა გაცემაც სწარმოებს სრულიად უფასოთ.

გარდა ამისა საზოგადოებას აქვს საკუთარი მიწის ნაკვეთი ქალაქ ხარბინის ცენტრში. ამ ნაკვეთზე აშენებულ შენობაში მოთავსებულია საზოგადოების გამგეობა და წიგნთსაცავი, რის გამო ქუჩასაც მიეცა სახელწოდება „ქართული ქუჩა". ნაწილი შენობისა გაცემულია იჯარით, რაც წლიურად იძლევა შემოსავალს 2.000 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა წარმოადგენს საზოგადოების მთავარ საარსებო წყაროს.

საზოგადოება ამჟამად აერთიანებს 130-მდე წევრს. ამ რიცხვიდან 46 პროცენტამდე სცხოვრობს ქ. ხარბინში, დანარჩენი კი დაფანტულია მანჯურიის სხვადასხვა ადგილებში (მანჯურია თავის სიდიდით უდრის საქართველოს ტერიტორიას).

წელს ქ. ხარბინში დაარსებულ იქნა ქართული სკოლა. ჯერ-ჯერობით სკოლა შესდგება 2 ჯგუფისაგან. სკოლაში მეცადინეობას ყოველდღიური ხასიათი არა აქვს (მეცადინეობა სწარმოებს კვირაობით). სკოლისათვის საჭირო სასწავლო წიგნები შეძენილ იქნა თბილისში.

აღსანიშნავია, რომ თავისი საქმიანობით და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობით ქართველთა ამ კოლონიამ უცხოეთში ყურადღება მიიპყრო. მას ჩინეთის პოლიცია და თეთრ გვარდიელთა ორგანიზაციები მისჩერებიან, როგორც ბოლშევიკურ პროპაგანდის ლეგალურ დაწესებულებას და ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ ამის გამო. საზოგადოება საჭიროებს საქართველოს განათლების სახკომისარიატის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებას, რასაც დღემდე ადგილი არ ჰქონია.

ფ.

ახალი საარჩევნო ინსტრუქცია

ჩვენი პარტია და ხელისუფლება მომავალ საბჭოთა არჩევნებში მიზნად ისახავს მშრომელთა ფართე მასის ჩაბმას საარჩევნო კამპანიაში და მძლავრ შეტევას ჩვენს კლასობრივ მტრებზე. საარჩევნო კანონს და მის სწორად გატარებას აქვს დიდი მნიშვნელობა.

ახალი საარჩევნო ინსტრუქცია, რომელიც გუშინ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში (იხ. „კომუნისტი", № 270), ნათელსჰყოფს პარტიისა და ხელისუფლების ამოცანებს მომავალ არჩევნებში.

მოკლეთ განვმარტავთ ინსტრუქციის დედა აზრს და იმ ცვლილებებს, რომელიც შეტანილია მასში წელს.*)

საარჩევნო ინსტრუქციის პირველ თავში აღნიშნულია ის პრინციპები, რომელზედაც დაფუძნებულია საბჭოთა საარჩევნო უფლება და ჩამოთვლილია იმ პირთა და მოქალაქეთა ცალკე კატეგორიები, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებით, ან მოკლებული არიან ამ უფლებას.

ვის აქვს საარჩევნო უფლება. ჩვენს სახელმწიფოში ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელებს, რომლებიც თვითონ განაგებენ საბჭოთა ქვეყანას საბჭოების საშუალებით. ამისათვის მხოლოდ მშრომელებს შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და თვითონ იქნენ არჩეულნი საბჭოებში. ისინი, ვინც ცხოვრობენ სხვისი შრომით, არ სარგებლობენ საარჩევნო უფლებით.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭება ორივე სქესისა და ყველა ეროვნების მოქალაქეთ.

ინსტრუქციის 1, 2, 3, 6, 7, 8 მუხლებში გარკვეულად ჩამოთვლილია მოქალაქეთა ეს კატეგორიები.

ვის არა აქვს საარჩევნო უფლება. მდიდრები, რომლებიც აგროვებენ კაპიტალს სხვისი შრომით, არ შეიძლება იყვნენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მმართველნი, ჩვენს სახელმწიფოს კი განაგებენ საბჭოები და ცხადია, ეს ხალხი არ შეიძლება დაშვებულ იქნეს როგორც არჩევნებში ისე რასაკვირველია, საბჭოებში.

ასეთივე ვაჭრები, კულაკები, სასულიერო წოდება, ექსპლოატატორები, პოლიციელები და სხვადასხვა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელთა კატეგორიები ჩამოთვლილია ინსტრუქციის 4 და 5 მუხლში.

რა არის ახალი ინსტრუქციის ამ 1-ლი თავში?

1. მე-3 მუხლის შენიშვნის მიხედვით, **საარჩევნო უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ უცხოელებსაც, რომლებიც მუშათა კლასს ან გლეხობას არ ეკუთვნიან (როგორც ეს გათვალისწინებულია მე-3 მუხლში), უკეთუ დამტკიცდება მათი სრული ლოიალობა საბჭოთა მთავრობისადმი.** ამის გამორკვევა და უცხოელთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება საბჭოთა კავშირში მინიჭებული აქვს ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს.

ჩვენი ინსტრუქციით კი— ამ უფლებით სარგებლობს მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია და ეს იმიტომ, რომ ამ მხრივ ადგილებზე შეცდომებს არ ექნეს ადგილი.

2. მე-5 მუხლის „ზ" პუნქტში გათვალისწინებულ უფლება - წართმეულ თეთრი ჯარების ყოფილ ოფიცრებისა და სამხედრო მოხელეების კატეგორიას მიეკუთვნა აგრეთვე **ამ ჯარებში ნებაყოფლობით შესული ჯარისკაცები.**

ეს სავსებით გასაგებია და მისაღებია, ვინაიდან თეთრ ჯარში **ნებაყოფლობით** შედიოდა აშკარა კონტრ-რევოლუციონური ხროვა „მაღალი წოდების" და უსაქმურ რეაქციონურ თავად-აზნაურობის წრიდან, რომლებსაც დღესაც ახსოვთ (ვინც გადაურჩა ძლევამოსილ ოქტომბერს) მაშინდელი „ტკბილი" ცხოვრება და, აშკარაა, არ იქნებიან ლოიალურად განწყობილი საბჭოთა წესწყობილების მიმართ.

3. მე-6 მუხლის „ბ" პუნქტში დამატებულია შენიშვნა, რომლის მიხედვით, არ წაერთმევა საარჩევნო უფლება აგრეთვე **იმ მიწათმოქმედს, რომელიც გამოიყენებს დროებით დაქირავებულ მუშების შრომას ორ კაცზე უმეტესი რიცხვით ერთ დღეს, იმ პირობით, რომ მთელი სეზონის განმავლობაში დაქირავებული შრომა არ აღემატებოდეს ას სამუშაო დღეს.**

მაგრამ ეს შენიშვნა ვრცელდება **მხოლოდ აფხაზეთზე,** სადაც გლეხობა მისდევს მეთამბაქოებას და ღარიბი და საშუალო გლეხი იძულებულია მეთამბაქოებაში (როგორც შრომით ტევადიან კულტურაში) მიმართოს დაქირავებულ შრომას. დანარჩენ საქართველოში საკმარისად იქნა მიჩნეული დაქირავებულ მუშა-ხელის ის ნორმა, რომელიც გათვალისწინებულია „ბ" პუნქტში (არა უმეტეს ორი კაცისა) და ისიც მხოლოდ იმ სამუშაოსათვის და იმ პირობებში, რომელიც აღნიშნულია იმავე პუნქტში, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ადგილებზე, ვინაიდან კულაკ - ექსპლოატატორები შეეცდებიან გამოიყენონ პუნქტი „ბ" თავიანთი პირობებთან შესაფარდებლად.

4. მე-6 მუხლს დაემატა ახალი პუნქტი „ვ", რომლის მიხედვით საარჩევნო უფლება არ წაერთმევა იმ მუშის ოჯახის წევრებს, რომელიც მუშაობს ფაბრიკა - ქარხანაში და სოფლის მეურნეობასთან კავშირი არ გაუწყვეტია, მაგრამ იმ პირობით, თუ სარგებლობს მარტო ერთი მუდმივი დაქირავებული მუშა-ხელის შრომით და თუ მისი მეურნეობა არ გადასცდება შრომითი მეურნეობის ფარგლებს, ესე იგი დაქირავებულ შრომას აქვს დამხმარე მნიშვნელობა.

მხოლოდ დაზგის მუშა სარგებლობს ამ უპირატესობით, ვინაიდან იგი თავისი სოციალური ბუნებით პროლეტარული ხელისუფლების ერთგული დარაჯია და მშენებელი საბჭოთა სახელმწიფოსი.

5. მე-8 მუხლში გათვალისწინებულ საარჩევნო უფლებაწართმეულ პირთ შეიძლება მიენიჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება — იმავე მუხლში გათვალისწინებულ შრომის სტაჟის (3 წელი) გარეშეც, თუ ისინი შედიან პროფკავშირებში, მაგრამ საჭიროა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება მათი უფლებებში აღდგენის შესახებ.

ასეთი შეღავათი პროფკავშირის წევრებისათვის წელს დაშვებულია იმიტომ, რომ პროფკავშირის წევრებათ, როგორც ვიცით, არიან მუშა-მოსამსახურენი და დღეს კი, ჩვენს საბჭოთა წარმოება - დაწესებულებებიდან განდევნილი არიან (თითო-ოროლას გამოკლებით) ჩვენი აშკარა მოწინააღმდეგენი და ჩვენთან თანამშრომლობენ ლოიალურად განწყობილნი. მაგრამ ამ შენიშვნის შინაარსი სრულებით არ უნდა იქნეს გაგებული ადგილებზე ისე, რომ, თუ ვინმე მიუღებელი ელემენტი შერჩენილია რომელიმე დაწესებულებაში და პროფკავშირის წევრია (რომელიც ეკუთვნის მე-8 მუხლში აღნიშნულთა რომელიმე კატეგორიას) ის უსიტყვოთ იქნეს აღდგენილი საარჩევნო უფლებებში: პირიქით, თვითეულ ასეთ შემთხვევაში უნდა ვიყოთ ფრთხილად და ეს გამოვიყენოთ, თუ გვნებავთ იმისათვის, რომ გადავსინჯოთ ჩვენი დაწესებულებების თანამშრომელთა ამ კატეგორიების შემადგენლობა.

რასაკვირველია, ინსტრუქციაში შეუძლებელია სავსებით და მთლიანად გავითვალისწინოთ ყველა ის შემთხვევები, რომლების მიხედვით შეიძლება საარჩევნო ხმის მიცემა ან წართმევა.

საჭიროა, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებმა სწორად შეითვისონ ინსტრუქციის პოლიტიკური აზრი და გამოიყენონ ის ყველა ცალკე შემთხვევებში, რომელთაც ინსტრუქცია არ ითვალისწინებს. უმთავრესად აღსანიშნავია, რომ ადგილებზე არ იქნეს დაშვებული საარჩევნო კანონის გაფართოებულად განმარტება და არ მიენიჭოს ხმის უფლება ისეთ პირთ, რომლებიც მოკლებული არიან ასეთ უფლებას ინსტრუქციით და მისი სწორი გაგებით. ასეთი მაგალითებს აქაიქ ჰქონდა ადგილი გასულ არჩევნების დროს.

ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ არ წაერთვას საარჩევნო უფლება საშუალო გლეხობას, რომლის ცალკე შემთხვევებსაც წარსულ არჩევნებში ჰქონდა ადგილი. ეს იქნებოდა პოლიტიკური შეცდომა.

საარჩევნო ინსტრუქციის მე-2 თავი შეიცავს საარჩევნო კომისიების ორგანიზაციის და უფლება - მოვალეობას.

ახალი ამ თავში შემდეგია:

1. თუ წინა წლებში ქალაქებში (უმეტესად სამაზრო ქალაქებში) არჩევნებს ატარებდა სამაზრო- საარჩევნო კომისია, მომავალ არჩევნების დროს ქალაქებში არსდებიან ცალკე საარჩევნო კომისიები (მუხ. 15), რათა საბჭოთა არჩევნებს ქალაქებში საკუთარი სახე მიეცეს და ქალაქების საბჭოების როლი არჩევნების ხელმძღვანელობაში **უზრუნველყოფილ იქნეს.**

ეს მოგვცემს უსათუოდ უკეთეს შედეგებს და იგი გადაუხვევლად უნდა იქნეს გატარებული ადგილებზე.

2. სათემო და სასოფლო - საარჩევნო კომისიების საბოლოო შედგენა ახალი ინსტრუქციით დაკისრებული აქვს სათემო სასოფლო საბჭოებს მე-22 და 23 მუხლის თანახმად. ეს გამოწვეულია საბჭოების უფლებების გაფართოებით.

3. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალი ინსტრუქციაში დაწესებული საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, რომელშიდაც გაცილებით უფრო სრულად, ვინემ დღემდე, არიან შეყვანილი მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. **ყველა სათემო და სასოფლო კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნენ აგრეთვე ღარიბთა ჯგუფების და მოჯამაგირეთა წარმომადგენლები.**

ეს ერთის მხრით— უზრუნველყოფს მშრომელთა საარჩევნო ხმის უფლებას და საშუალებას მოუსპობს ასეთ უფლების მიღებას იმათ ვისაც ის არ შეიძლება მიეცეს, ხოლო, მეორეს მხრით — საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანების სწორად გაგებით უზრუნველყოფს პარტიისა და ხელისუფლების ხაზის და პოლიტიკის გატარებას.

საარჩევნო ინსტრუქციის მე-3 თავი აღნიშნავს იმ პირთა აღრიცხვის წესს, რომელთაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება, ან რომელნიც სარგებლობენ ასეთით. ხსენებული თავი განმარტავს აგრეთვე ამ პირთა სიების შედგენის და დამტკიცების და ამასთანავე უფლებამოკლებულ პირთა სიების გამოქვეყნების წესს. იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება, სწარმოებს დოკუმენტალური ხასიათის ცნობების საფუძველზე.

ამ თავში აღსანიშნავია ის, რომ საარჩევნო კომისიებმა საარჩევნო უფლებაწართმეულ პირთა სიები გამოაქვეყნონ ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოებში, გამოჰკიდონ თვალსაჩინო ადგილას, გამოაცხადონ საზოგადო კრებებზე და სხვ. 20 დღით ადრე არჩევნებამდე. ასეთი ვადა საჭიროა იმისათვის, რომ მოქალაქეს საშუალება მიეცეს გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის დადგენილება ხმის უფლების წართმევის შესახებ ზემდგომ კომისიაში.

რა არის ახალი ამ თავში.

1. ინსტრუქციის მე-30 მუხლს ემატება შენიშვნა, რომლის თანახმად **საარჩევნო უფლების მქონე და ასეთ უფლებას მოკლებულ პირთა სიები შედგენილ უნდა იქნენ თვითეულ ცალკე საარჩევნო უბნის მიხედვით.**

ეს აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ სწორად იქნეს დაყენებული გამოცხადებულ ამომრჩეველთა აღრიცხვა არჩევნების დროს.

ინსტრუქციის მე-4 თავში გარკვეულად არის აღნიშნული დაწვრილებითი წესი და ვადა, როგორც საარჩევნო უფლებასმოკლებულ პირთა მიერ საარჩევნო კომისიების დადგენილებათა გასაჩივრების, ისე საჩივრის განხილვისა.

მთავარი აზრი ინსტრუქციის ამ ნაწილისა გამოიხატება იმაში, რომ ყოველივე მოქალაქეს ეძლევა სრული საშუალება წართმეული ხმის უფლების აღდგენისა, თუ კი ადგილი ექნება საარჩევნო კომისიის მოქმედებაში რაიმე შეცდომას, ან გაუგებრობას.

ინსტრუქციის მე-5 თავი განმარტავს საარჩევნო კრებების მოწვევის წესს, როდის შეიძლება საარჩევნო კრებები ჩაითვალოს კანონიერად და რა წესით უნდა იქნენ არჩეულნი საბჭოს წევრები. ამ თავში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ **საარჩევნო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს ეცნობება სახელობითი უწყებების დაგზავნით,** აგრეთვე მესაფერი განცხადების თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებით და სხვ. გზით, **ხუთი დღით ადრე მაინც კრების გახსნამდე** (მუხ. 44).

ამ მუხლის დედა-აზრი გამოიხატება იმაში, რომ ყველა ამომრჩევლებს საშუალება მიეცეს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რის გამოც საარჩევნო უბანი უნდა იქნეს მაქსიმალურად დაახლოვებული ამომრჩევლებთან.

ახალი ამ თავში შემდეგია: 1. ინსტრუქციის მე-45 მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვით **საარჩევნო ერთეულები ქალაქებში ისეთი ანგარიშით უნდა იქნეს მოწყობილი, რომ თვითეული ერთეულიდან ასარჩევი იყოს არა უმეტეს 5 დეპუტატისა.**

ინსტრუქციის მე-6 თავი იძლევა განმარტებას არჩევნების გაუქმების, ხელახალი არჩევნების და დამატებითი არჩევნების წესის შესახებ.

უკანასკნელი მე-7-ე თავი ეხება საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების ორგანიზაციას.

ასეთია მოკლედ ახალი საარჩევნო ინსტრუქციის დედა-აზრი და ცვლილებები.

თუ საარჩევნო ინსტრუქციის ყველა მუხლები სწორად იქნება ადგილებზე გაგებული, შეიძლება თამამად ითქვას, რომ წელს აღარ ექნება ადგილი ძველ შეცდომებს, ვინაიდან ახალი ინსტრუქცია მაგრად უკეტავს კარებს პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხობისათვის უცხო ელემენტებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენი კლასიური ხაზის გადაუხრელად გატარებას.

ამისათვის საჭიროა საარჩევნო ინსტრუქცია ფართოდ იქნეს განმარტებული ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებში და ღარიბ გლეხობის ჯგუფებში და კრებებზე.

საარჩევნო ინსტრუქციის სწორად გატარება უდავოდ ხელს შეუწყობს საბჭოებში მშრომელთა რაც შეიძლება მეტი მასების ჩაბმას და საბჭოების შემდგომ გამოცოცხლებას.

დ. ქუჩულორია.

---

*) ამ წერილში მოგვყავს მხოლოდ ის ცვლილებები, რომელიც შეტანილია წელს ინსტრუქციაში იმ ინსტრუქციასთან შედარებით, რომელიც შარშან—1927 წელს გამოიცა, მაგრამ ხმარებაში არ ყოფილა, ვინაიდან არჩევნები გადაიდო. უკანასკნელ არჩევნების დროს, ე. ი. 1926 წელს გამოცემულ საარჩევნო ინსტრუქციასთან შედარებით წელს საგრძნობი ცვლილებებია.

დ. ქ.

ვებრძოლოთ უთავბოლო მუშაობას

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებებში ადგილი აქვს უთავბოლო მუშაობას.—დეპეშების მიღება ადგილებზე გვიანდება მთელი თვეობით.—პროფკავშირის ულირსი წევრი უნდა განიდევნოს კავშირიდან

საყურადღებო გაუგებრობა

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, დ. ბოლნისიდან მოქ. გ. შარაშენიძემ თბილისში ფოსტით მოწაფის სახელზე გამოგზავნა 5 მანეთი. 28 სექტემბერს იმავე მოწაფეს გადაუგზავნა კიდევ 15 მანეთი. მოწაფე მეტად ღარიბად ცხოვრობს თბილისში. ის ყოველდღე ელოდებოდა ფოსტით ფულს, მაგრამ რა მოხდა? ბოლნისიდან ფულის გამოგზავნის შემდეგ განვლო ორმა კვირამ და მოქ. შარაშენიძემ მიიღო ცნობა, რომ მიუხედავად გარკვეული მისამართისა და მიმღების მუდმივად სახლში ყოფნისა, ფული დანიშნულების ადგილზე არ გადაუციათ.

ამის შესახებ შარაშენიძემ შეიტანა განცხადება სალირო გამოსაღების გადახდით ადგილობრივ ფოსტის განყოფილებაში და სანამ მიიღებდა რაიმე პასუხს ფოსტიდან, მოვიდა ცნობა, რომ 21 სექტემბერს გაგზავნილი ფული, მიუღიათ 19 ოქტომბერს. ამის შემდეგ განვლო კვლავ ორმა კვირამ და გამგზავნელს აძლევენ პასუხს, რომ ფული ჩაბარდა მისამართით მეორე უწყების შემდეგო.

ეს არ არის მართალი. მშიერი მოწაფე ყოველდღე ელოდებოდა ფულის მიღებას და რა გაარჩევდა ფულს ფოსტაში, თუ კი ის მიიღებდა რაიმე ცნობას ამის შესახებ.

არ შეიძლება აღნიშნული შემთხვევა მიეწეროს უნებლიე გაუგებრობას. ეს დამახასიათებელია ფოსტა-ტელეგ. მოხელეთა უთავბოლო და გულგრილ მუშაობისა. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

გრ.

ურმით გაგზავნილი დეპეშა

22 სექტემბერს, თბილისიდან სოფ. ზემო-თელეთში, მოქ. ბელიაშვილმა გაგზავნა დეპეშა № 54, ქვითარი № 32 ბელიაშვილის სახელზე. დეპეშის გაგზავნაზე, გამგზავნელმა გადიხადა 3 მან 8 კაპ. მაგრამ ხსენებულმა დეპეშამ ერთი თვის შემდეგ ძლივს მიაღწია დანიშნულების ადგილზე. ამის გამო, დეპეშის გამგზავნელი; მოქ. ბელიაშვილი იძულებული გახდა გაეგზავნა კაცი სოფ. ზემო-თელეთში იმისათვის, რომ გაეგო მიზეზი, რატომ არ უპასუხებდენ დეპეშაზე.

ასე მუშაობს თურმე თბილისის მთავარი ტელეგრაფი. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

სათანადო ორგანომ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და დამნაშავეს მოსთხოვოს პასუხი.

კბუელი.

კავშირის ულირსი წევრი

სდ. თბილისში მეისრის თანამდებობაზე მსახურობს ვინმე ექვთიმესძე ნადარეიშვილი, რომელიც ცნობილია, როგორც კარგი გამოცდილი ვაჭარი და კომბინატორი. ეს ვაჭარტიპი არ კმაყოფილდება მარტო სამსახურით, მას თავის ბინაზე გახსნილი აქვს ფეხსაცმელების სოლცხოო სახელოსნო, სადაც მუშაობის შემდეგ კიდევ რამოდენიმე საათს მუშაობს და აწყობს მოზბილებასაც. მაგრამ ეს არაფერია. საქმე იმაშია, რომ ეს ვაჭარიტიპი ხშირად თავის შვებულების დროსაც ქ მუშაობს ანდომებს. იღებს შვებულებას და შემდეგ კი მუშაობს თავის სახელოსნოში

3 აგვისტოს, მოქ. ნადარეიშვილმა აიღო ერთი თვის უხელფასო შვებულება იმ მიზნით, რომ ემუშავა თავის სახელოსნოში. ამ ერთი თვის განმავლობაში დიდი სპეკულიაცია საქმე გააკეთა. წავიდა მოსკოვში, იყიდა რამოდენიმე ასი მანეთის ტყავი და სხვადასხვა სავაჭრო ნივთები და ჩამოიტანა თბილისში გასაყიდად. ეს საქონელი მოქ. ნადარეიშვილმა, კონტრაგენტების საშუალებით გაჰყიდა აბაშაში, სამტრედიაში, ეწერში და საქართველოს სხვა კუთხეებში. მაგრამ მოქ. ნადარეიშვილმა არ იკმარა მარტო საბჭოთა კავშირში დამზადებულ საქონლით სპეკულიანტობა. მან ხელი მიყო აგრეთვე კონტრაბანდულ ტყავების ყიდვა-გაყიდვასაც, რაც კავშირის წევრს არ ეპატიება.

ამას წინად თბილისის მთავარ საბაჟომ ვინმე ნადარეიშვილის სახლში აღმოაჩინა სამი ცალი კონტრაბანდული ტყავი, რის გამოც ნადარეიშვილი დაჯარიმებული იქნა 154 მ. კავშირის ასეთი წევრი ღირსი არ არის კავშირის წევრობის სახელწოდებისა. სადგ. თბილისის მოძრავის დარგის ადგილკომმა თავის დროზე მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და ადგილკომის 13 ნოემბრის პლენუმზე დასვა საკითხი მოქ. ვინმე ნადარეიშვილის კავშირიდან გამორიცხვის შესახებ. პლენუმმა დაადგინა მოქ. ნადარეიშვილი გამორიცხულ იქნეს კავშირიდან, როგორც ულირსი წევრი კავშირისა.

ი. არუსხპირელი.

საფოსტო ყუთი აფთიაქში

(წერილი გორიდან)

დილის 6 საათია, როგორც სხვა დაწესებულებები, გორის აფთიაქიც ჯერ დაკეტილია. მორიგე ფარმაცევტს ესმის ზარის რეკა, იღვიძებს, მართალია, დილის ძილი ტკბილია და ადგომა ეზარება, მაგრამ მოვალეობის შეგნება აიძულებს ადგეს,—ეგებ გაჭირვებულ ავადმყოფის რეცეპტი აქვს, უნდა თავის დროზე დაუმზადოს წამალი, მაგრამ ასე არ არის,

გაიღებს თუ არა კარს ფარმაცევტი, აფთიაქში შემოსული მოქალაქე, მიეშურება პირდაპირ წერილების ჩასაყრელ საფოსტო ყუთისაკენ, რომელიც აფთიაქის შენობის ფანჯარაზე სდგას, აგდებს წერილს ყუთში, უხდის მადლობას ფარმაცევტს და გადის აფთიაქიდან.

ეს საფოსტო ყუთი ეკიდა აფთიაქის შენობის კედელზე. აფთიაქის შენობის რემონტის დროს ყუთი ჩამოხსნეს და დროებით დასდვეს შენობის აფთიაქში, მაგრამ ორ თვეზე მეტია. რაც დამთავრდა შენობის შეკეთება და ყუთი ისევ აფთიაქში სდგას. ყუთის ჩამოკიდებას გორიდ არც ხელოსანი ესაჭიროება და არც დიდი დრო. საჭიროა მხოლოდ გორის ფოსტელების ყურადღება ამ მხრივ.

გორელი.

მეტი ყურადღება მგზავრებს

ყველა სადგურებში, განსაკუთრებით კი დიდ სადგურებში მოსული სახალხო მატარებლები სისტემატიურად ჩერდებიან ისე, რომ საბარგო და საფოსტო ვაგონები ხვდებიან სადგურის შუა ნაწილში, ხოლო სახალხო ვაგონები კი უმეტეს შემთხვევაში დაშორებული არიან, როგორც სადგურს, ისე ჩამოსასვლელ ბაქანსაც, ისე, რომ ბაქანი თავის დანიშნულებას ვერ ემსახურება. მგზავრები ბუნებრივ პირობებში, ვარდებიან, ამ ნიადაგზე ხშირია მარცხიც. მაგალითად ამას წინად სადგ. ხაშურში მატარებელმა ხელი გადასჭრა ერთ მგზავრ ქალს, რომელიც ჩამოდიოდა ვაგონიდან.

ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად საჭიროა სასტიკად იქნეს დაცული რკ. გზებზე არსებული წესები სახალხო მატარებლების სადგურებზე გაჩერების შესახებ. სახალხო ვაგონები უნდა ჩერდებოდნენ სადგურის ბაქნის პირდაპირ და არა სადღაც, შორს. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა სადგურის უფროსებმა.

ბას—ელი.

თბილისის შინა-მრეწველ ხელოსანთა ამხანაგობა

საკრედიტო კოოპერატიული ამხ-ბის წევრები სარგებლობენ ყველა კომუნალური შეღავათებით და გათანასწორებული არიან პროფკავშირის წევრებთან. თბილისში არსებობს შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოება, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. ამ საზ.-ბის წევრები აუცილებლად შევლენ, როგორც საკრედიტო ამხ.-ბაში, ისე სხვადასხვა კოოპერატიულ ამხანაგობებში. ამასთანავე თბილისში არსებობს შინამრეწველ ხელოსნებისათვის დამხმარე და ურთიერთ დამხმარე სალარო, სადაც ხელოსნები დაიზღვევიან იმავე პირობებში, როგორც მუშა-მოსამსახურენი. დამხმარე სალაროს წევრებად ჩაირიცხებიან მხოლოდ კოოპერატიულად შეკავშირებული ხელოსნები.

წარსულში საკრედიტო ამხანაგობა ვერ აკმაყოფილებდა წევრთა მოთხოვნილებებს, როგორც საქონლით, ისე ფულადი სესხითაც. ამ ბოლო ხანებში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა; დღეს ამხანაგობას საშუალება მიეცა დააკმაყოფილოს წევრები, როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი ფულადი სესხებით და მიმდინარე საქმით საქონლით.

დღემდის ამხ.-ბა რეგულარულად ვერ ღებულობდა სარეწკოოპკავშირიდან ნედლეულ მასალას მარავს და ნახევარ ფაბრიკატებს, ამჟამად ეს საკითხი მოგვარებულია. წევრებს საშუალება ეძლევათ თავისუფლად დაამზადონ ნაწარმოები და ამხ.-ბის საშუალებით ჩააბარონ მომხმარებელ კოოპერაციას. ამის გამო ხელოსნები ჩამოშორებული არიან კერძო ბაზარს.

კულტმუშაობაც ამხ.-ბის წევრთა შორის გაცხოველდა; გამგეობამ გახსნა კულტ-კუთხე, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ხელოსნებს კულტურულ განვითარებაში. ამ კუთხეშივე სწარმოებს მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

უკანასკნელ ხანებში ამხ.-ბის გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქცია წევრთა სოციალურ შემადგენლობას. ამხ.-ბაში შემოპარული იყვნენ შეუფერებელი და ამხ.-ბისათვის უცხო ელემენტები. ამის გამო ჩატარდა ამხ.-ბის წევრთა წმენდა. ამან საგრძნობლად გააჯანსაღა ორგანიზაცია და მასთან მოიპოვა დიდი ავტორიტეტი საერთოთ შინა-მრეწველ ხელოსნებს შორის.

გიგო თარხნოვი.

ბრძოლა ქალთა და მოზარდთა უმუშევრობასთან

ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ქალთა და მოზარდთა უმუშევრობასთან საბრძოლველად.

ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატის დადგენილებით თბილისსა, ბაქოსა და ერევანში მოზარდთათვის უნდა გაიხსნას საიდმშენებლო სასწავლებლები (ბაქოში—45 კაცისათვის, თბილისში—35 და ერევანში—20 კაცისათვის). ამ სასწავლებლებში ჩაბმულ უნდა იქნას დაზღვეულ უმუშევარ მოზარდების 80 პროც., თითოეული მოწაფის შენახვაზე თვიურად უნდა დაიხარჯოს 25 მან. ამ თანხაში შევა დახმარებაც უმუშევრობისათვის. სწავლა სასწავლებლებში უნდა დასრულდეს 6 თვის განმავლობაში, ამისათვის განზრახულია სასწავლებელი მოეწყოს არა უგვიანეს დეკემბრისა, რომ მოწაფეთა გამოშვება სასწავლებლიდან შეთანხმებული იქნეს 1929 წლის სამშენებლო სეზონის დასაწყისთან. სასწავლებლის კურსდამთავრებულნი მაშინვე ჩაბმულ უნდა იქნენ წარმოებაში, რისთვისაც სათანადო შრომის ორგანოებს ევალება ხელშეკრულებების დადება სამეურნეო ორგანიზაციებთან. სასწავლებლების მოსაწყობად საჭირო თანხები უნდა გამოიყოს უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან: საქართველოში—10.500 მანეთი, აზერბეიჯანში—13.500 მანეთი და სომხეთში—6.000 მანეთის რაოდენობით.

ამიერ-კავკ. კომისარიატმა ამასთანავე წინადადება მისცა რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებს მიიღონ ზომები, რათა შრომის კოლექტივებში ჩაბმულ იქნან მოზარდები, და 1928—29 წლის დასასრულისათვის მოზარდთა რიცხვი შრომის კოლექტივებში შეადგენდეს კოლექტ-ში გაერთიანებულ მშრომელების საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 10 პროცენტისა.

ქალთა უმუშევრობის შესანელებლად ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატის დადგენილებით საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში არსდება სპეციალური საფეიქრო კურსები. აზერბეიჯანში—30, საქართველოში—25 და სომხეთში—15 მსმენელისათვის. კურსების მსმენელთა არანაკლებ 50 პროც. უნდა შეადგენდენ უმუშევარი ქალები. კურსებზე სწავლა გაგრძელდება 6 თვე. სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებული იქნება ხელშეკრულება, რათა კურსდამთავრებული ქალები გამოყენებულ იქნან წარმოებებში. კურსების მოსაწყობად საჭირო თანხები უნდა გამოიყოს უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან და ამ საქმეზე უნდა დაიხარჯოს: აზერბეიჯანში—9.000 მანეთი, საქართველოში—7.500 მანეთი, სომხეთში—4.500 მანეთი.

სახდაზღვევა

საქონლის გადამალვის წინააღმდეგ

დიდად აფერხებს სახდაზღვევის წარმატებით მუშაობას საქონლის გადამალვა. მიუხედავად სათანადო ორგანოების მიერ მთელი რიგი ღონისძიებების გატარებისა საქონლის გადამალვის აღმოსაფხვრელად, სოფლის კულაკური და გაიძვერა ელემენტები მაინც მასიურათ აბრეხებენ საქონლის გადამალვას, ეს სრულიად ნათელყოფს საქონლის მიმდინარე წლის აღრიცხვამ: თუმცა ამ წელში საქონელთა ბლომად გაწყდა, წლანდელი აღწერა მაინც საქონლის გაცილებით მეტ რიცხვს გვიჩვენებს, ვიდრე წინანდელი აღრიცხვები.

გარდა საქონლის გადამალვის, კულაკები სოფლად ეწევიან კამპანიას ღარიბ და საშუალო გლეხობაში, საქონლის დაზღვევის წინააღმდეგ, და სახდაზღვევის მიერ დაწესებულ ანარიცხებს სოფლად ნათლავენ „ბეგარის“ სახელწოდებით. ისინი მოსახლეობას არწმუნებენ, რომ თითქო სახდაზღვევა არ აუნაზღაურებს ზარალს, მოუწოდებენ არ გადაიხადონ დასაზღვევო პრემიები და სხვა. ასეთ პროვოკაციას ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

განსაკუთრებით მასიურათ ახდენენ საქონლის გადამალვას მეჯოგეები, რომელთა საქონელი ხან ერთ მაზრის ტერიტორიაზეა და ხან მეორეზე. საქონლის გადამალვა დიდ ზარალს აყენებს სახდაზღვევას ვინაიდან კულაკები აბრეხებენ დაცემულ საქონელზე ჯილდოს მიღებას და შეუძლებელი ხდება იმის გამორკვევა, თუ რამდენი საქონელი ყავდათ და აქედან რამდენი იყო დაზღვეული ცნობილია, რომ მეტ წილად ასეთ შემთხვევებში ადგილობრივათ შემოწმების დროს გლეხი გვიჩვენებს იმდენს, რამდენიც დაზღვეული ყავს, დანარჩენს გადამალავს. კიდევ მეტი, ზოგიერთი კულაკი ერთ დაცემულ საქონელზე რამდენიმეჯერ იღებს ჯილდოს იმ დროს, როცა საქონელი ხორცათ მოიხმარეს და მისი საგალიკები არის, თავის თავად ცხადია ასეთი პირები ისჯებიან, თუ მათი ბოროტმოქმედება გაგებულ იქმნა, უფრო ხშირად ამას ვერ ვიგებთ: სათემო საბჭოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაცემულ საქონელზე აქტის შედგენის საქმეს, ჯერდებიან მარტო საბჭოს წევრის ან რომელიმე მოქალაქის ხელის მოწერას, ხშირად კი ეს ხელისმოწერა სიყალბეა აგებული. საჭიროა იმის გამორკვევა, ქონდა თუ არა ადგილი მართლაც საქონლის დაცემას. მარტო სახდაზღვევის აგენტი, რა ღონისძიებები არ უნდა გაატაროს მან, ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, მაინც ვერ აღმოფხვრის მას. საჭიროა აგენტს ამ შემთხვევებში დაეხმარონ: საბჭო, კომუჯრედი, კომკავშირი, მოჯამაგირეები, გლეხკომი; ღარიბთა აქტივი და სხვა. შესაძლებელი გახდება საქონლის გადამალვისა და უკანონოთ ჯილდოს მიღების აღმოფხვრა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაცემულ საქონელზე დროულათ აქტის შედგენას. ყველაფერი ის, რაც იქვს იწვევს, აუცილებლად შემოწმებული უნდა იქნეს ადგილობრივ. საქონლის დაცემის დასადასტურებლად მოწმეთ გამოყენებულ უნდა იქმნეს სოფლად მომუშავე ავტორიტეტის მქონე და კეთილ-სინდისი პირები. ასეთი გზით შესაძლებელი გახდება საქონლის გადამალვის და უკანონოდ ჯილდოს მიღების აღმოფხვრა.

გარდა იმისა, რომ საქონლის გადამალვა დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, თვით გლეხობაში იწვევს უკმაყოფილებას, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, რომ სახდაზღვევა უარს უებზება გლეხს ზარალის ანაზღაურებაზე საქონლის გადამალვის შემთხვევებში, რადგანაც კანონით ჯილდო არ შეიძლება გაიცემულ იქნეს იმ მეურნეზე, ვინც საქონელს გადამალავს, გინდ ნაწილი მეურნეობაში მყოფ საქონლისა დაზღვეული ჰყავდა, ვინაიდან ძნელია გამორკვევა დაზღვეული თუ დაუზღვეველი საქონელი მოკვდა.

მ. პაიჭაძე.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

თათბირი საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში

პოლიტგანისა და სახკინმრეწვის მონაწილეობა არჩევნებში

გუშინ დილის 10 საათზე საქართველოს ცაკში ამხ. დ. ქუჩულორიას თავმჯდომარეობით შესდგა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა მომავალ საბჭოთა არჩევნებში სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მუშა-გლეხკორთა მონაწილეობის საკითხი.

თათბირის დადგენილებით სახელმწიფო კინო-მრეწველობას და პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას დაევალა მიაწოდოს მაზრებს შესაფერი შინაარსის კინო-სურათები. სურათები ისეთი ხასიათის უნდა იყვეს, რომ მოსახლეობას საშუალება ექნეს ნათელი წარმოდგენა იქონიოს საბჭოთა აღმშენებლობის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე, სურათები უნდა გამოხატავდეს აგრეთვე იმ ღონისძიებებს, რომელთაც იღებს საბჭოთა ხელისუფლება ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სახკინმრეწვს ევალება კინო-ლენტებზე გამოუშვას არჩევნების ლოზუნგები და გადაიღოს ისეთი შინაარსის სურათი, რომელშიაც გამოხატული იქნება კლასობრივი ბრძოლის მომენტები. მასვე წინადადება მიეცა გამოუშვას კინო-ლენტები, რომლებზედაც ახახული უნდა იქნეს ისეთი ტიპები, რომლებსაც წართმეული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობას დაევალა წესრიგში მოიყვანოს ადგილებზე არსებული რადიო-მიმღებები სადგურებში და სისტემატიურად მოაწყოს არჩევნების შესახებ შესაფერი მოხსენებების გადაცემა ნაციონალურ ენებზე.

გარდა ამისა, პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას ევალება მიაწოდოს ადგილებს შესაფერი შინაარსის პიესები და ადგილობრივ ძალებით მოაწყოს არჩევნების დამახასიათებელი საღამო-წარმოდგენები. ამასთანავე პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას დაევალა მაზრებში მის განკარგულებაში მყოფი კინო-აპარატები გადასცეს ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს არჩევნების განმავლობაში გამოსაყენებლად.

სახკინმრეწვს და პოლიტგანათლების მთავარმმართველობას დაევალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მორიგ სხდომისათვის წარმოადგინონ არჩევნებში თავიანთი მონაწილეობის წერილობითი გეგმები.

მუშ. გლეხკორთა მონაწილეობა არჩევნებში

არჩევნებში მუშა და გლეხ-კორესპონდენტების მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ვარძიელმა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო მომავალ საბჭოთა არჩევნებში მუშკორთა და გლეხკორთა მონაწილეობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მუშკორებმა და გლეხკორებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხების დამუშავებაში. მუშკორებმა და გლეხკორებმა გაზეთის ფურცლებზე უნდა გააშუქონ საბჭოების მუშაობა, აშკარათ აღნიშნონ საბჭოების მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებები და დაურიდებლად ამხილონ ის მუშაკები, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები. მუშკორებმა და გლეხკორებმა უნდა გამოამჟღავნონ ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელთაც არსებულ კანონის მიხედვით არ უნდა ჰქონდეს საარჩევნო ხმის უფლება, ან რომელთაც უკანონოდ აქვს წართმეული არჩევნებში მონაწილეობის საშუალება და სხვ.

მუშკორებმა და გლეხკორებმა განსაკუთრებით სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ გაზეთებს ადგილებზე არჩევნების დროს შექმნილ განწყობილების შესახებ და საერთოდ ფხიზლად ადევნონ თვალყური იმ გარემოებას, რომ საბჭოებში არ მოხვდნენ კულაკები და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. მათ აგრეთვე ევალებათ სათანადოთ გააშუქონ არჩევნებში ქალების, მოჯამაგირეების და ახალგაზრდობის მონაწილეობა, საერთოდ საარჩევნო კომისიების საქმიანობა, მოსამზადებელი მუშაობა. საანგარიშო და საარჩევნო კრებების შედეგები და ყველა ის საკითხები და ფაქტები, რომლებსაც უშუალო კავშირი ექნება არჩევნებთან.

ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს რედაქციების წარმომადგენლებმა, რის შემდეგ თათბირმა დაადგინა, დაევალოს რედაქციებს მოიწვიონ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, თავიანთ მუშკორთა და გლეხკორთა სამაზრო, რაიონული და საქალაქო კონფერენციები, რომლებზედაც განმარტებული იქნება საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა და მუშ-გლეხკორთა როლი არჩევნებში, თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა საქართველოს ცაკმა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოუშვას მოწოდება მუშკორთა და გლეხკორთა მიმართ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე, რომ რედაქციებს დაევალოს შესაფერი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება მუშკორთა და გლეხკორთა შორის.

არჩევნები წითელ არმიაში

დასასრულ თათბირმა განიხილა წითელ არმიაში არჩევნების ჩატარების საკითხი და გადასწყვიტა წითელ-არმიელთა შორის არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით ცენტრ. საარჩევნო კომისიასთან დაარსებული იქნეს წითელ-არმიაში არჩევნების ჩამტარებელი ცენტრ. ქვე-კომისია.

თბილისის მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეების და თემკომების მდივნების თათბირი

მეორე სხდომა

კამათი ამხ. ბოლქვაძის და თხილავას მოხსენებების გარშემო

თათბირის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ვ. ბოლქვაძის და თხილავას მოხსენებების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კეკელიძემ, ნაზარევმა, ხუმაროვმა, კობალაძემ და სხ.

გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ მომავალი საარჩევნო კამპანიის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წარსული არჩევნების დროს დაშვებული შეცდომები და ის პირობა ზომების მიღება, რომ ეს შეცდომები არ განმეორდეს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხების შეკავშირებას და მათი აქტივობის მაქსიმ. გაზრდას. ამ გლეხების კავშირი უნდა დაუპირდაპირდეს კულაკურ ელემენტებს, რომლებიც აშკარად თუ ფარულად ცდილობენ საბჭოთა ორგანიზაციებში გაძვრომას. ღარიბი და საშუალო გლეხობის შეკავშირება და დარაზმვა მით უფრო საჭირო ეხლა, რომ ამჟამად სოფლებში გაჩაღებულია კლასთა ბრძოლა.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ თემსაბჭოებში არჩეულ უნდა იქნან მხოლოდ აქტიური მუშაკები, რომლებმაც წარსულში დაამტკიცეს თავიანთი აქტივობა. მიღებული უნდა იქნეს ზომები ქალების მეტი რაოდენობით ჩასაბმელად საბჭოებში. წინანდელ მუშაობაში მაქსიმალურად უნდა იქნან ჩაბმული სოფლად მომუშავე როგორც პარტიული, აგრეთვე საბჭოთა კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გაღრმავებული უნდა იქნეს თვითკრიტიკა და სხ.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ვ. ბოლქვაძე და თხილავა.

მესამე სხდომა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილი იქნა თბილისის აღმასკომის სასოფლო-სამ. გადასახადის განყოფილების წარმომადგენელ ამხ. უაველაშვილის საინფორმაციო მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ თემებში ჯერ-ჯერობით აკრეფილია იმ რაოდენობის მხოლოდ 80 პროცენტი, რაც აკრეფილ უნდა იქნეს 1 დეკემბრამდე. არის თემები, სადაც გადასახადის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს. (ზოგან აკრეფილია 90 პროცენტამდე), მაგრამ საერთოდ გადასახადის აკრეფა ნელის ტემპით მიმდინარეობს და თუ გადამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული, შესაძლებელია დასახული გეგმა ვერ შესრულდეს უკლებლივ.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია

სესხების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა საფინანსო განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. კაკაურიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კამპანია სოფლებში გაიშალა უკანასკნელი თვის განმავლობაში და ამჟამად უკვე წარმატებით მიმდინარეობს. მაგრამ არის თემები, სადაც ჯერ-ჯერობით გასაღებულია სავარაუდო თანხის მხოლოდ 50 პროცენტი და ზოგან კიდევ უფრო ნაკლები. ამ თემებში მიღებული უნდა იქნეს ზომები კამპანიის წარმატებით დასამთავრებლად.

კოლმეურნეობათა მშენებლობა

კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ ყოველი მოხსენება გააკეთა ამხ. ბედილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობას გეგმიანი ხასიათი მიეცა მხოლოდ მეთუთხმეტე პარტყრილობის შემდეგ.

მეთუთხმეტე პარტყრილობის მიერ შემუშავებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნათ ისახავენ ჩვენი სოფლის მეურნეობის განმტკიცებას, ამავე ღონისძიებებით გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლიერებაც. ხელისუფლება იღებს ზომებს საერთოდ სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად, მისი შემოსავლიანობის გასადიდებლად, მაგრამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის გარდაქმნა სოციალურ საფუძველზე, ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლიერებას.

ეს საქმე ადვილი არ არის, ვინაიდან ჩვენი გლეხობა ვერ იცნობს კოლექტიურ მეურნეობას, საჭიროა შევაგებინოთ, თუ რა უპირატესობა აქვს კოლმეურნეობას ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე.

ჩვენი ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა თანდათანობით რწმუნდება კოლმეურნეობათა დიდ უპირატესობაში და კოლექტივიზაციის იდეა სოფლად თანდათან მაგრად იკიდებს ფეხს.

თუ გასულ წელს თბილისის მაზრაში ირიცხებოდა მხოლოდ 10 კოლმეურნეობა და 12 სამანქანო ამხანაგობა, ეხლა მაზრაში უკვე გვაქვს 61 კოლმეურნეობა და 28 სამანქანო ამხანაგობა, რომლებშიაც გაერთიანებულია—1.854 გლეხური მეურნეობა, ესე იგი მოსახლეობის 4,2 პროცენტი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კოლექტ. მეურნეობებში მთელი ასი პროცენტით უნდა იქნან ჩაბმული პარტიული გლეხები და კომკავშირელები, ამასთანავე გაძლიერებული უნდა იქნეს ბრძოლა კულაკურ ელემენტების აგიტაციის წინააღმდეგ.

კოლექტიურ მეურნეობებში დაცული ვერ არის გეგმიანი მუშაობა, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან უგეგმო მუშაობა ვერ მოგვცემს ჯეროვან ნაყოფს.

1927—28 წელში თბილისის მაზრის კოლმეურნეობებს მიღებული აქვთ 69.794 მან. გრძელვადიანი და 2.795 მანეთი მოკლე ვადიანი სესხი, ესე იგი მეურნეობის თითო წევრს სესხად მიუღია 176 მანეთი.

ამ თანხიდან 8.000 მანეთი გამოუყენებელია სრულიად, ხოლო კრედიტების მეტი ნაწილი დახარჯულია არაპირდაპირ დანიშნულებისამებრ. კონტროლი კრედიტების გამოყენებაზე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

კოლმეურნეობათა მშენებლობას აფერხებს მიწების გაფანტულობა. საჭიროა კოლმეურნეობებს მიწები მიეცეთ ერთ ფარგალში და გაერთიანებული იქნან წვრილი ამხანაგობები.

—:—

მოხსენების გარშემო გამართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კაკაურიძემ (მცხეთიდან), მამედოვმა (ყარაიაზიდან), დათუაშვილმა (წილკანი), ნათელაძემ (საგარეჯო), მენაბდემ (ნორიო), მიგაძემ და სხ.

მეოთხე სხდომა

თათბირის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. შოგირაძის მოხსენება ღარიბი გლეხების შორის მუშაობის შესახებ.

ჩვენი სამეურნეო განვითარების პერიოდი, განაცხადა მომხსენებელმა, ხასიათდება სოფლის და ქალაქის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის ბრძოლის გამწვავებით.

ჩვენს ძირითად ამოცანას ამ პერიოდში შეადგენს ღარიბი და საშუალო გლეხობის შეკავშირება, დარაზმვა და მათი მთლიანი ფრონტით იერიშის მიტანა კულაკურ ელემენტზე. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხებს შორის მუშაობას იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნეს სოფლად პროლეტარიატის გავლენა და სწორად იქნეს გატარებული პარტიული და კლასიური პოლიტიკა.

ჩვენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში ჩვენ უმთავრესად უნდა დავეყრდნოთ ღარიბ გლეხობას და მოჯამაგირეებს, რომლების საშუალებითაც უმთავრესად უნდა განხორციელდეს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს მიღწევები, როგორიც მაგ. ღარიბი გლეხობის აქტივობის ზრდა და ღარიბი და საშუალო გლეხებს შორის კავშირის განმტკიცება. მაგრამ ადგილი აქვს დეფექტებსაც: შემჩნეულია კლასიური ხაზის ზოგიერთი დამახინჯება: არის შემთხვევები, რომ ღარიბთა შორის მუშაობას არ ჰქცევა სათანადო ყურადღება; ზოგან კულაკურ საფრთხეს არ აფასებენ სრულიად და სხვა.

ყველა ამ გადახრების წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კულაკურ საფრთხეს. ამასთანავე მთელი ენერგიით უნდა ვეცადოთ ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით გაძლიერებული უნდა იქნეს ღარიბი გლეხობისათვის მატერიალური საწარმოო დახმარება; გადიდებული უნდა იქნეს მათთვის გასაცემი მიზნობრივი სესხები; გაუმჯობესებული უნდა იქნეს ღარიბი გლეხობის მანქანა-იარაღებით მომარაგების საქმე და სხვა.

ამხ. შოგირაძეს მოხსენების გარშემო გამართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ხუციბერიძემ, ოგანოვმა, მენაბდემ, მუზეიშვილმა, ულენბმა, მამედოვმა, კეკელიძემ და ბატიაშვილმა. კამათში გამოსული ამხანაგები საჭიროდ სცნობენ, რომ ღარიბ გლეხებს სესხი შესძლებისდაგვარად მიეცეთ ნატურის სახით; მიწათმოწყობის ჩატარების დროს დაშვებული იყო შეცდომები; ზოგან მიწები მიეცათ მსხვილ მესაქონლე გლეხებს, რომლებიც ამ მიწებს სამოვრებად აქირავებენ ღარიბ გლეხებზე. საჭიროა, რომ ეს მიწები ჩამოერთვას კულაკებს და გადაეცეს ღარიბ გლეხობას.

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა რეზოლუციები. შემდეგ თათბირმა განიხილა საარჩევნო ინსტრუქცია, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

ა. კ. სახკომსაბჭოში

ა.-კ. წყალთა მეურნეობის გეგმა

ა.-კ. წყალთა მეურნეობის საერთო გეგმის დამმუშავებელ სამმართველოს შტატების და დებულების პროექტების განსახილველათ ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ გამოყო კომისია ამხ. ბაგიროვის, კვანტალიანის, ხუმარიანის, გაბიევის, სმირნოვის, იაშვილის და ვ. ხტურუას შემადგენლობით.

თბილისის და ბაქოს ტელეფონის სადგურები

ა.-კ. სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო, რომ თბილისის და ბაქოს ტელეფონის სადგურები დაჩქარებით იქნეს გადაყვანილი ავტომატიურ სისტემაზე. თბილისის სადგურისათვის შეძენილი უნდა იქნეს 10.000 ნომრიანი, ხოლო ბაქოსათვის 14.000 ნომრიანი მოწყობილობა.

ტელეფონის სადგურების გადასაკეთებლათ თბილისის საბჭომ უნდა გაიღოს 1.000.000 მ და ბაქოს საბჭომ—1.500.000 მან. აღნიშნული თანხები საბჭოებმა უნდა გადასცენ სესხათ ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველოს, რომელიც ვალდებულია ეს სესხი დაუბრუნოს საბჭოებს სადგურების ექსპლოატაციის დაწყებიდან სამი წლის განმავლობაში.

პერსონალური პენსიები

პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ შემოსულ შუამდგომლობათა განსახილველათ ა.-კ. სახკომსაბჭოსთან შექმნილია სპეციალური კომისია. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ა.-კ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი, ხოლო წევრებათ ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის, ა.-კ. პროფსაბჭოს, ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის და კავკასიის წითელდროშოვან არმიის წარმომადგენლები.

საქ. სახკომსაბჭოში

დელფინის ტყავისა და ქონის დამზადება

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ განიხილა საკითხი 1928-29 წ. საქართველოს ტერიტორიაზე დელფინის (ზღვის ღორი) ტყავისა და ქონის დამზადების წესის შესახებ.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით საქართველოს შავი ზღვის ნაპირებზე შესაძლებელია ფართოდ განვითარდეს დელფინის ტყავისა და ქონის დამზადება.

შეკრებილი ცნობებით. საქართველოში შავი ზღვის ნაპირებზე შესაძლებელია დამზადდეს წლიურად 700 ტონა გადამუშავებული ქონი და 50.000 ცალი დელფინის ტყავი, რომელთა ღირებულება დაახლოებით შეადგენს 600.000 მან. დელფინის ტყავისა და ქონის დამზადების საქმე, საქართველოს ტერიტორიაზე, გადაეცა ტყავეულობის საკავშირო სინდიკატს, რომელიც სათანადო ხელშეკრულებით იქნება დაკავშირებული დელფინის დამჭერ და გადამამუშავებელ ორგანიზაციებთან. სინდიკატი ვალდებულია მიიღოს ხსენებულ ორგანიზაციისაგან დამზადებული ქონი და ტყავი ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს მიერ დადგენილ ფასებში.

სინდიკატი ვალდებულია ექსპორტის საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ, პირველ რიგში დააკმაყოფილოს საქართველოს ტყავისა და საპნის მრეწველობა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის გეგმის მიხედვით და მხოლოდ დანარჩენი გაიტანოს საქართველოს გარეთ.

გარდა ამისა სინდიკატი კისრულობს მოვალეობას მის მიერ დამზადებულ დელფინის ქონის და ტყავის რაოდენობიდან გამოყოს ექსპორტისათვის სანიმუშო პარტია.

ს. მ. უ. საბჭოს დაევალა გამოარკვიოს, რა მდგომარეობაშია ამჟამად დელფინების დაჭერის და გადამუშავების საქმე და ამ საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად წარმოადგინოს ეკონომიურ საბჭოს ღონისძიებათა პროექტი.

კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება და უმუშევართა გადამზადების საქმე ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია გაეცნო უმუშევართა გადამზადების და კვალიფიკაციის აწევის საქმის გამოკვლევის მასალებს.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ 1927—28 წ. განმავლობაში ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მუშაობა უმუშევართა კვალიფიკაციის აწევისა და გადამზადების საქმეში არ იყო სათანადოთ განვითარებული, ამასთანავე კვალიფიციურ მუშების მომზადების მეთოდებიც არ ყოფილა წინასწარ შესწავლილი და დამუშავებული. ამის გამო უმუშევართა გადამზადების საქმეში ადგილი ჰქონდა მრავალ დეფექტებს.

სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ნამდვილ საჭიროებას და მზადდებოდა ისეთი კატეგორიის მუშები, რომლების ნაკლებობას სახალხო მეურნეობა არ განიცდიდა, ამის გამო გადამზადებული მუშები ისევ ბრუნდებოდნენ შრომის ბირჟაში.

უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან თანხები იძლეოდა სხვადასხვა პროფტექნიკურ კურსებს, რომლებსაც აარსებდნენ პროფკავშირები და შრომის კომისარიატები, სამეურნეო ორგანოებთან არ იდებოდა სათანადო ხელშეკრულება მომზადებულ და გადამზადებულ უმუშევართა კადრების გამოყენების შესახებ წარმოებაში, რის გამო უკვე მომზადებულ მუშებს უძნელდებოდა სამუშაოს შოვნა. იყო შემთხვევები, როდესაც უმუშევრობასთან საბრძოლველად გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები მთლიანად არ ტარდებოდა ცხოვრებაში, უმუშევრების მომზადების და გადამზადების გეგმები ხშირად მეტად არარეალურად იყო შედგენილი და გადადებული თანხებიც მთლიანად არ იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ. (საქართველოში მშენებელ მუშების მოსამზადებლად გადადებული 25.000 მანეთიდან დანიშნულებისამებრ დაიხარჯა მხოლოდ—14.000 მან. აზერბეიჯანში—90.000 მანეთიდან—38.000 მან. და სომხეთში—53.000 მანეთიდან, მხოლოდ—16.000 მან.) უკვე მომზადებულ მუშების კვალიფიკაცია ნაწილობრივ მეტად დაბალი აღმოჩნდა და საჭირო შეიქნა მათი დამატებითი მომზადება. გადასამზადებელ კურსებზე მუშების მიღება უსისტემოდ ხდებოდა.

ამიერ-კავკ. შრომის სახკომისარიატის კოლეგიამ აღმოჩენილი დეფექტების აღმოსაფხვრელად და უმუშევართა გადამზადების საქმის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროთ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება:

კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებაზე უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან 1928—29 წ. უნდა დაიხარჯოს მთელი თანხის არანაკლებ 30 პროცენტისა. მომზადებულ უნდა იქნეს ისეთი პროფესიის მუშები, რომლებზედაც სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების განვითარების გამო 1928—29 წ. მოსალოდნელია გადიდდეს მოთხოვნილება (ფეიქრები, მშენებლები, სამთო მრეწველობის მუშები, ხის დამუშავებელნი, საკონსერვო მრეწველობის მუშები და სხვ.). შრომის სახკომისარიატის გეგმაში უნდა იქნეს შეტანილი ხარჯები კურსანტების დასაკმაყოფილებლად ხელფასით და კურსების პედაგოგიური პერსონალისათვის ხელფასის მისაცემად. კურსების შესანახად საჭირო სხვა ხარჯებს გაიღებენ დაინტერესებული სამეურნეო ორგანოები.

მუშა-ხელის მომზადების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი გამოყენება წარმოებაში, მომზადებისა და სათანადოთ გამოცდის შემდეგ. გადასამზადებელ კურსებზე პირველ რიგში უნდა იქნენ ჩარიცხულნი ის უმუშევრები, რომლებსაც უკვე უმუშავნია იმ პროფესიაში, რომელსაც ასწავლიან კურსებზე, შემდეგ კი ყველა ის, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის უმუშევრები, რომლებიც უმუშევრობას, მათი პროფესიის გამო, ხანგრძლივი ხასიათი აქვს. კურსანტების ხელფასს გაიღებენ დამხმარე ორგანოები, მომზადების მთელი ხნის განმავლობაში პირველი კატეგორიის უმუშევრებისათვის არსებულ დახმარების რაოდენობის ფარგლებში. კურსებზე მისაღებ ქალების და მცირე-წლოვანთა რაოდენობის საკითხი წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებასა და ა. ლ. კ. კავშირთან. უმუშევართა მიღება კურსებზე უნდა სწარმოებდეს კურსების გამგის და შრომის ბირჟის სათანადო სექციების მოთხოვნილებებით. კურსებზე შესვლელებმა უნდა გაიარონ სამედიცინო შემოწმება და ფსიქოტექნიკური კაბინეტები და კურსებზე ჩარიცხული იქნებიან მხოლოდ ისინი, ვინც სამედ. შემოწმებისა და ფსიქო-ტექნიკურ გამოცდის შემდეგ შესაფერისი იქნება ცნობილი. იმ ქალაქებში, სადაც იარსებებენ უმუშევართა გადასამზადებელი კურსები, შექმნილი იქნება სათანადო აპარატი, რომელიც უხელმძღვანელებს კურსებს. ამასთანავე ამიერ-კავკ. შრომის სახკომისარიატს დაევალა 1 თვის ვადაში შეიმუშაოს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების და უმუშევართა გადამზადების სოციალური და რაციონალური მეთოდი და გამოარკვიოს [illegible] კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების და უმუშევართა გადამზადების საქმეში.

თბილისის მაზრის კეთილმოწყობა

თბილისის მაზრის კეთილმოწყობის შესახებ თბილისის აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილების მთავარმა ინჟინერმა ქურდიანმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

გზები

თბილისის მაზრაში შედის ისეთი ჩამორჩენილი თემები, როგორიც არის თიანეთის თემი და წალკის რაიონი. 68 კაცზე საშუალოდ უნდა მოდიოდეს ერთი კილომეტრი გზა-ტკეცილი, თიანეთის და წალკის რაიონებში არც ერთი კილომეტრი გზა არ არის გაყვანილი, რის გამო ამ ადგილებში შეფერხებულია ყოველგვარი კულტურული და ეკონომიური მუშაობა. საერთოდ გზების მხრივ თბილ. მაზრა საჭიროებს დიდ დახმარებას.

ვინაიდან სოფლის კულტურულად და ეკონომიურად წინსვლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმოსვლის მოწესრიგებას, ამიტომ თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს საგზაო მშენებლობა თბილისის მაზრაში ამ მიზნით შედგენილი იქნება 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა. რომლის მიხედვით ხუთი წლის განმავლობაში თბილისის მაზრაში საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯება — 1.222.000 მანეთი.

წყალსადენი

სათბობ მასალაზე დიდი მოთხოვნილების გამო თბილისის მაზრაში თითქმის სავსებით გაჩეხილია ტყეები. ტყეების გაჩეხვას მოჰყვა წყაროების დაშრობა და ის სოფლები, რომლებიც წინედ უზრუნველყოფილნი იყვნენ მდიდარი წყაროებით, ამჟამად უწყლობას განიცდიან და წყალს 4—5 კილომეტრის მანძილიდან ეზიდებიან.

ისეთი რაიონიც კი, როგორიცაა მანგლისი, სადაც წინედ უხვად იყო საუკეთესო [illegible] წყაროები, ამჟამად უწყლოდაა დარჩენილი.

თბილისის აღმასკომმა დღემდე წყალსადენი გაიყვანა ბევრ სოფლებში, უახლოეს 5 წლის განმავლობაში წყალსადენი გაყვანილი იქნება 70 სოფელში, რისთვისაც გადადებულია — 594.500 მანეთი.

აბანოები

თბილისის მაზრაში სულ რამოდენიმე აბანოა. დიდ სოფლებში, სადაც 1.500—2.000 სული მცხოვრებია, დღემდე არ არის მოწყობილი აბანო. გადაწყვეტილია პირველ რიგში აბანოები მოეწყოს ხაშმში, საგარეჯოში, მანავში, მარტყოფში, აღბულაღში, წყნეთში, თიონეთში, ავჭალაში და მცხეთაში. თვითეულ სოფელში აბანოს აგება დაჯდება 15.000 მანეთი; სულ 135.000 მანეთი.

ელექტროფიკაცია

თბილისის მაზრის ელექტროფიკაციის მიზნით უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნება შემდეგი მუშაობა: იმ თემებში, სადაც ეს მიზანშეწონილი და მოსახერხებელი იქნება, გაყვანილი იქნება ზაჰესის ენერგია,—ხოლო დანარჩენ თემებში აგებული იქნება პატარა ელექტრო სადგურები.

მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

21 ნოემბერს შესდგა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მორიგი საერთო კრება. განსახილველად დასმული იყო შემდეგი საკითხები: თბილისის ხორცის ბაზრის მდგომარეობა, დეფიციტური საქონლის ორდერებით განაწილების სისტემის გაუქმება და პურის საკითხი.

მთელი სხდომა, რომელიც გაგრძელდა ღამის 11 საათამდე მოუნდა საქონლის ორდერებით განაწილების სისტემის გაუქმების საკითხის განხილვას.

მოხსენებებით ამ საკითხზე გამოვიდნენ მუშკოოპის გამგეობის წევრები ამხ. ავეტისოვი და ძაგანია.

ამხ. ავეტისოვი საორდერო სისტემის გაუქმების მომხრეა. ის აღნიშნავს, რომ ორდერების სისტემა რთულია და აფერხებს აპარატის მუშაობას. ორდერებს ამჟამად ანაწილებს საორგანიზაციო განყოფილება. ორდერების განაწილება მას ხელს უშლის მისი უშუალო საქმის შესრულებაში, რადგან მთელი სამუშაო დრო უნდება ორდერების განაწილებას და საორგანიზაციო მუშაობისათვის დრო აღარ რჩება.

ორდერების გაუქმების საჭიროებას მომხსენებელი კიდევ იმით ასაბუთებს, რომ ორდერების გაცემის პერიოდში საქონელი უმოძრაოდ აწყვია საწყობში, რაც გავლენას ახდენს მუშკოოპის ფინანსიურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა კოოპერატივის წევრები ბევრ დროს კარგავენ ჯერ ორდერების მიღებაზე და შემდეგ ამ ორდერებით მაღაზიებიდან საქონლის გამოტანაზე.

ამხ. ავეტისოვი წინადადებას იძლევა, რომ დეფიციტური საქონლის განაწილება მოხდეს კოოპერატიული საწევრო წიგნაკებით. სახელდობრ. განსაზღვრულ პერიოდში მომხმარებელს მიეცემა განსაზღვრული რაოდენობა საქონლისა და ეს აღნიშნული იქნება წიგნაკში.

ამხ. ძაგანია არ ეთანხმება ამხ. ავეტისოვს. ის ამბობს, რომ ორდერების გაუქმებით ყველაზე მეტს დაჰკარგავენ მუშა-მოსამსახურეები, რადგან მათ არ ექნებათ საშუალება თავის დროზე მიიღონ საქონელი, ვინაიდან ისინი ვაჭრობის საათებში მუშაობენ. თავისუფალ დროს კი მათ მაღაზიებში აღარაფერი დახვდება.

ამხ. ძაგანია საორდერო სისტემის დატოვების მომხრეა.

მუშკოოპის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. სეხნიაშვილი არ უარყოფს, რომ ორდერების გაცემა დიდ დროს ართმევს საორგანიზაციო განყოფილებას. მაგრამ ის მომხრეა საორდერო სისტემის დატოვების იმ პირობით, რათა საორგანიზაციო განყოფილება განთავისუფლდეს ამ მუშაობისაგან, მოითხოვს გამოიყოს სპეციალური პირი, რომელიც გაანაწილებს ამ ორდერებს კოოპერატიულ კომისიებს შორის და თვალ-ყურს ადევნებს ორდერების წესიერად განაწილებას.

მოხსენებების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, კამათში მონაწილეობა მიიღო 30-მდე კაცმა.

დასასრულ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: დატოვებულ იქნეს დეფიციტურ საქონლის გაცემის საორდერო სისტემა. საორგანიზაციო განყოფილების განსატვირთავად ორდერების გაცემისაგან გამოიყოს სპეციალური პირი, რომელსაც დაევალება ეს საქმე.

საორგანიზაციო განყოფილება თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს გაუწევს, ორდერების წესიერად განაწილებას.

განუხილველად დარჩენილი საკითხები დასმული იქნება მორიგ კრებაზე.

საბიუჯეტო თანხის განაწილება

ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან მიიღო მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალის საბიუჯეტო თანხა 580.000 მანეთის რაოდენობით.

ეს თანხა ბანკმა შემდეგნაირად გაანაწილა: საბჭოთა მეურნეობებს—120.000 მანეთი, (აქედან საქართველოს—54.000 მანეთი); გლეხებისათვის სახლების ასაგებად საჭირო სესხების მისაწოდებლად—120.000 მან. (22.000 მანეთი საქართველოს); სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატიულ ორგანიზაციების ძირითად კაპიტალის გასაძლიერებლად—50.000 მან. (საქართველოს—20.000 მანეთი), ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად—160.000 მანეთი (საქართველოს—65.000 მანეთი).

მასწავლებელთა ხელფასის მოწესრიგება

შრომის და განათლების სახალხო კომისარიატებმა გამოიმუშავეს დადგენილება არდადეგებისა და შვებულების დროს განათლების მუშაკთა ხელფასით დაკმაყოფილების შესახებ.

არდადეგების დროს განათლების მუშაკები შეიძლება ჩაბმულ იქნან მუშაობაში მხოლოდ მათი სპეციალობის და თანამდებობის მიხედვით. ასეთებია: მომავალ სამოსწავლო წლისათვის მზადება, სამოსწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა, კვალიფიკაციის აწევა და სხვა.

საზაფხულო არდადეგების განმავლობაში განათლების მუშაკებს ეძლევა ხელფასი, რომელიც გამოიანგარიშება სწავლის შეწყვეტის წინა სამი თვის საშუალო ხელფასის მიხედვით.

არდადეგების დროს არ დაიშვება პედაგოგიურ და მოსამსახურე პერსონალის დათხოვნა. მასწავლებლებს, რომლებსაც დაითხოვენ არდადეგების ორი თვით წინ, მიეცემა არდადეგების მთელი პერიოდის ხელფასიც. დათხოვნის დროს განათლების მუშაკებს მიეცემა გამოუყენებელ მორიგ შვებულების ფულადი კომპენსაცია.

თუ განათლების მუშაკი არდადეგების დროს ავად გახდა, ან ტერიტორიალურ ნაწილებში იქნა გაწვეული, შვებულების გამოუყენებელი ნაწილი მას აუნაზღაურდება ან დამატებითი შვებულებით, ან ფულით.

საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს ხელფასში უნდა იქნას შეტანილი როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სამუშაოთა ყველა გასამრჯელო.

არდადეგების ხანგრძლივობის ვადას ყოველ წლიურად აწესებს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი, განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით, არა უგვიანეს 1 მაისისა.

ეს დადგენილება ვრცელდება ყველა სასწავლებლების მუშაკებზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ უზრუნველყოფს ფინანსიურად ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებას.

დადგენილება ვრცელდება აგრეთვე განათლების იმ მუშაკებზე, რომლებიც სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლებლებში იმუშავებენ ადმინისტრაციის განკარგულებით.

მუშების მომზადება საფეიქრო მრეწველობისათვის

საქართველოს საფეიქრო სამრეწველოებისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების საქმეს ხელმძღვანელობს ს.მ.უ. შრომის ეკონომიკის განყოფილება, რომლის ინიციატივითაც გასულ წელს რუსეთის ზოგიერთ საფეიქრო ფაბრიკებში მოსამზადებლად გაიგზავნა 90 კაცი.

შრომის ეკონომიკის განყოფილებაში მიღებული ცნობებით გაგზავნილმა მუშებმა უკვე მიიღეს შესაფერი ცოდნა და თავისუფლად შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა.

მომავალი წლის თებერვალში რუსეთის საფეიქრო ცენტრებში სასწავლად კვლავ გაიგზავნება მუშების მეორე პარტია—70 კაცის შემადგენლობით.

გარდა ამისა საფეიქრო მუშათა მომზადება იწარმოებს ადგილობრივაც. 15 ნოემბერს ამ მიზნით ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში სამუშაოდ გაიგზავნა 29 მუშა, მათი დაბრუნებისთანავე იმავე ფაბრიკაში გაგზავნილი იქნება მუშათა მეორე პარტია—30 კაცის შემადგენლობით.

რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებში მომზადებული 90 მუშას თბილისში მოელიან ამა წ. დეკემბერში, ჩამოსული მუშები დაიწყებენ მუშაობას თბილისის მაუდის ფაბრიკის მოწყობილობათა დადგმაზე.

შემოდგომის თესვა

ახალციხის მაზრაში

თესვის ჩამტარებელ კომისიის ცნობით ახალციხის მაზრისათვის „სოფლის კავშირიდან“ მიიღეს სულ 2000 ფ. ხორბალი და 1000 ფ. ქერი, რომელიც განაწილებული იქნა კოლმეურნეობათა და ღარიბის გლეხებს შორის. გაგზავნილი ხორბლეული გამოუსადეგარი იყო სათესლეთ და, როგორც გამოირკვა ის, გადაგზავნილი იყო ადგილობრივ სათესლე მასალაზე გადასაცვლელად.

სას.-სამ. მანქანების ნაწილიც დაგვიანებით იქნა მიღებული. დათესილ მიწების რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული.

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრაში გლეხების მცირე ნაწილი აწარმოებს მარცვლეულის თესვას შემოდგომაზე, ვინაიდან მაზრაში უმთავრესად სიმინდი მოჰყავთ.

მაგრამ წელს, იმის გამო, რომ სიმინდის მოსავალს ცუდი პირი უჩანდა, გლეხებმა გადასწყვიტეს დაეთესათ ხორბლეული და ამიტომ გად წელს განსაკუთრებით დიდი იყო მოთხოვნილება სათესლე ხორბალზე.

მარტო 33 თემიდან მოთხოვნილება აღემატება 16.200 ფუთს.

ასეთი დიდი მოთხოვნილების მიუხედავად, ქუთაისისათვის გამოთხოვნილი იქნა მხოლოდ 5000 ფუთი სათესლე ხორბალი. აქედან (ცენტრიდან) მიღებული იქნა მხოლოდ 2000 ფუთი. გარდა ამისა ადგილობრივ კოოპერაციის საშუალებით შეძენილი იქნა კიდევ 1000 ფ. ხორბალი. ამრიგად დაგროვილი 3000 ფ. თესლი განაწილებული იქნა მაზრაში არსებულ საკრედიტო ამხანაგობებს შორის გლეხებისათვის დასარიგებლად.

მუშა-საქონლის შესაძენად ინდივიდუალურ სესხის სახით საერთოთ გაცემული იქნა 5100 მ. საკვები ბალახის თესლის შესაძენად—4000 მ. და მკვდარი ინვენტარის შესაძენათ—1323 მანეთი. მაზრაში წელს განაწილებული იქნა 35 გუთანი და რამდენიმე ფარცხი.

სამკურნალო დახმარება სტუდენტებს

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ შესდგა სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი სტიპენდიანტთა და ღარიბ სტუდენტთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის წესის შესამუშავებლად. თათბირს დაესწრნენ—განათლების კომისარიატის, პროფესიონალური განათლების მთავარ მმართველობის, პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენლები.

თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომ ყველა სტიპენდიანტი სტუდენტები და უმაღლეს სასწავლებელთა ღარიბი მოსწავლეები სამკურნალო დახმარების აღმოჩენის მხრივ გათანასწორებულ იქნენ დაზღვეულებთან. თათბირმა დაავალა პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს შეკრიბოს ყველა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სტიპენდიანტი ირიცხება თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, რამდენია ღარიბი სტუდენტების რიცხვი, რამდენია მათგან პროფესიონალური კავშირების წევრი და სხვ.

ცნობები წარდგენილი იქნება თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში, რომელიც თავის დასკვნებს გადასცემს ჯანმრთ. სახალხო კომისარიატს.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა კოოპერატიულ საქმეთა სამმართველომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი ახალი კოოპერატივები: სენაკის მაზრის სოფ. უინეთის სას.-სამ. არტელი „ცხოვრება“; სენაკის მაზრის სოფ. ლეძაძამის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „პირველი მაისი“; სენაკის მაზრის სოფ. ლეგოგონების სას.-სამ. არტელი „ახალგაზრდა კომკავშირელთა ინტერნაციონალი“; სენაკის მაზრის სოფ. ლეგოგონის სას.-სამ. არტელი „ლექაბურხანი“; სენაკის მაზრის სოფ. ლედგებიეშის სას.-სამ. არტელი „პირველი მაისი“; სენაკის მაზრის სოფ. ლედგებიეშის სას.-სამ. არტელი „პიონერი“; სენაკის მაზ. სოფ. ლედგებიეშის სას.-სამ. არტელი „პარიზის კომუნა“; სენაკის მაზრის სოფ. თამაკონის სას.-სამ. არტელი „ჩვენი იმედი“; სენაკის მაზრის სოფ. თარგამეულის სას.-სამ. არტელი „წითელი დროშა“; სენაკის მაზრის სოფ. პირველი ნამიკოლოვის სას.-სამ. არტელი „წითელი სხივი“; სენაკის მაზრის მეორე ნამიკოლოვის სას.-სამ. არტელი „ოქტომბრის მონაპოვარი“; სენაკის მაზრის სოფ. შუა-ეკის სას.-სამ. არტელი „ჩვენი შრომა“; სენაკის მაზრის სოფ. შუა-ეკის სას.-სამ. არტელი „ჩვენი მარჯვენა“; სენაკის მაზრის სოფ. გადოგანის სას.-სამ. არტელი „აღმშენებლობა“; სენაკის მაზრის სოფ. დიდი ხორშის სას.-სამ. არტელი „ჩაის ბუჩქი“; სენაკის მაზრის სოფ. დიდი სალხინოს სას.-სამ. არტელი „წითელი სალხინო“; სენაკის მაზრის სოფ. პატარა ზანის სას.-სამ. არტელი „შრომის ცენტრი“; სენაკის მაზრის სოფ. პატარა ზანის „კარლ მარქსის სახელობის სას.-სამ. არტელი“; სენაკის მაზრის სოფ. დიდი ზანის სას.-სამ. არტელი „თვითმოქმედება“; სენაკის მაზრის სოფელ დიდი ზანის სას.-სამ. არტელი „პირველი ნაბიჯი“; სენაკის მაზრის სოფ. ოჩეს სას.-სამ. არტელი „სოციალიზმის ნაბიჯი“; სენაკის მაზრის სოფ. ბეთლემის სას.-სამ. არტელი „ულორტი“; სენაკის მაზრის სოფ. ბეთლემის სას.-სამ. არტელი „წითელი ოქტომბერი“; სენაკის მაზრის სეფიეთის სას.-სამ. არტელი „მუშური“; სენაკის მაზრის სოფ. გეზათ-გულუხეთის თემის სამანქანო ამხ-ბა „წინსვლა“; კახეთის მაზრის სოფ. ანაგას სას.-სამ. არტელი „წითელი ანაგა“; თბილისის მაზრის სოფ. ნაზარლოს სას.-სამ. არტელი „ღარიბთა გაერთიანება“; ქალ. თბილისის სას.-სამ. არტელი „ქალაქის მეურნე“; სენაკის მაზრის სოფ. ლედგებეშის სას.-სამ. არტელი „ახალი სოფელი“, გორის მაზრის სოფ. ახალსოფლის სას.-სამ. არტელი „პირველი მაისი“; კახეთის მაზრის სოფ. ნუკრიანის სას.-სამ. არტელი „წითელი გოგინაური“; კახეთის მაზრის სოფ. ბოდბის ხევის „ბორის ძნელაძის სახელობის სას.-სამ. არტელი“; თბილისის მაზრის სოფ. ნინოწმინდის „შალვა მათიკაშვილის სახელობის სას.-სამ. არტელი“; თბილისის მაზრის სოფ. ანთოკის და მარიამჯვარის სას.-სამ. კომუნა „ახალი გზა“; ახალციხის მაზრის სოფ. ზველის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „ზველი“; ახალციხის მაზრის სოფ. ულეს „ამხ. ფ. მახარაძის სახელობის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა“; ახალციხის მაზრის სოფელ ასპინძის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „წითელი მხვნელი“; ახალციხის მაზრის სოფ. ორფოლას „უჩენ შაბანოვის სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ა-ბა“; ახალციხის მაზრის სოფ. ტამალას „კარლ მარქსის სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ა-ბა“; ახალციხის მაზრის სოფ. ავანის სას.-სამ. არტელი „ტრაქტორი“; ახალქალაქის მაზრის სოფ. ალავერდის სას.-სამ. არტელი „ახალი გზა“; ახალქალაქის მაზრის სოფ. გომანის „ს. ორჯონიკიძის სახელობის სას.-სამ. არტელი“; ახალქალაქის მაზრის სოფ. ეშტიას „ამხ. მიხა კახიანის სახელობის სას.-სამ. არტელი“; ახალქალაქის მაზრის სოფ. პატარა კონდუროს „ამხ. სტალინის სახელობის სას.-სამ. არტელი“; ახალქალაქის მაზრის სოფ. ალასტანის „ლენინის სახელობის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ა-ბა“; თბილისის მაზრის ავჭალის მერძევეთა არტელი „წითელი ოქტომბერი“; თბილისის მაზრის სოფ. ნარიყვავის მეფრინველეთა არტელი „ალიონი“; ქუთაისის პარიკმახერთა სარეწ. კოოპ. არტელი „წითელი ვარსკვლავი“; სოფ. ბაღდათის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „პირველი ნაბიჯი“; ქუთაისის მზარეულთა სარეწ. კოოპ. არტელი „კვება“; ქუთაისის მეჩოთქეთა სარეწ. კოოპ. არტელი „ჩოთქი“; ოზურგეთის მაზრის სოფ. კონჭკათის ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „კლდე“; ოზურგეთის ლითონის დამმუშავებელი სარეწ. კოოპ. არტელი „გრდემლი“; ლაგოდეხის მეჩექმეთა სარეწ. კოოპ. არტელი „სიმართლე“; თბილისის ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „კოლხეთი“; თბილისის ყავის, კაკაოს და ბულკების დამამზ. სარეწ. კოოპ. არტელი „კვება“; თბილისის მექუდეთა სარეწ. კოპ. არტელი „უოკე“; თბილისის ხარაზთა სარეწ. კოოპ. არტელი „ისკრა“; კახეთის მაზრის სოფ. კალაურის ხარაზთა სარეწ. კოოპ. არტელი „სამბლო“; კახეთის მაზრის სოფ. ენისელის ხარაზთა და მეჩექმეთა სარეწ. კოოპ. არტელი „შრომა“; ზუგდიდის მაზრის სოფ. ხაბუმეს ფეხსაცმელის მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ჩაქუჩი“; თბილისის მუსიკალური და ქირურგიულ ძაფების მკეთებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „სოლ-დო“; ქუთაისის ძეხვების მკეთებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „ჩვენი შრომა“; ქუთაისის ფეხსაცმელის მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „ბეჯითი“; ქუთაისის ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „მუშის ხმა“; ბორჩალოს მაზრის სოფ. კოტლიარის სას.-სამ. არტელი „ილიჩი“; ლიბკნეხტდორფის მერძევეთა არტელი „ინტერნაციონალი“; კახეთის მაზრის სოფ. ქვედა ქედის სას.-სამ. არტელი „შირაქი“; კახეთის მაზრის სოფ. კოლაგის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ა-ბა „ახალი ცხოვრება“ და თბილისის ძაფსართავის, ფართლეულების საქსოვის და სალებავების სარეწ. კოოპ. არტელი „ჩელნოკი“.

ნავთის გადასამუშავებელი ქარხნების აგება ბათომში



ჯებირის აგება მდ. ყოროლის-წყალზე, საიდანაც გაყვანილი იქნება წყალსადენი წყლის მისაწოდებლად ნავთის გადასამუშავებელი ქარხნებისათვის, რომლებიც შენდება თამარახთან (ოთხი ვერსის მანძილზე ბათომიდან)

ქრონიკა

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის გამოკვლევა

თბილისიდან ჭიათურაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის გამოკვლევა.

კომისიაში შედიან: საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. არალოვი, სამხრეთის მადნეულების ტრესტის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი, საკავშირო სააქციო საზ-ბა „ექსპორტ-მარგანეც"-ის თავმჯდომარე ამხ. სვანიძე, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის თავმჯდომარე ამხ. მოდებაძე, და მარგანეცის საქმის სპეციალისტები პროფ. ანდრეევი და ინჟ. პოპლულეტკი.

კომისიის მუშაობა გაგრძელდება ორი კვირა.

ლითონის ნამტვრევების შეგროვება

ს.მ.უ. საბჭომ წინადადება მისცა ყველა ტრესტებს და წარმოებებს სწრაფი ტემპით აწარმოონ ლითონის ნამტვრევების შეკრება.

შეგროვილი ლითონის ნამტვრევებიდან თუჯის ნამტვრევები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს ლითონის ტრესტს, რომელსაც აქვს სპეციალური მოწყობილობები თუჯის გადასადნობათ.

დანარჩენი ლითონის ნამტვრევები უნდა გადაეცეს „რუდმეტალტორგის" თბილისის განყოფილებას.

საყურადღებოა ცნობილი, რომ ლითონის ნამტვრევების შესაკრებათ წარმოებებში მოეწყოს შაბათობა.

თათბირი სუბტროპიკულ მცენარეთა მეურნეობის შესახებ

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, 1 დეკემბერს ბათომში გაიხსნება საკავშირო თათბირი სუბტროპიკულ მცენარეთა მეურნეობის შესახებ. თათბირს დაესწრებიან საბჭოთა კავშირის შემავალ ყველა რესპუბლიკების წარმომადგენლები.

თბილისის აღმასკომში

◆ **აბანო ნაძალადევში.** კომუნალური განყოფილება შეუდგა აბანოს აგებას ნაძალადევში.

◆ **სესხით დახმარება სტუდენტებს.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადაწყვიტა მოახდინოს სტუდენტებისათვის სესხით დახმარების საქმის რეორგანიზაცია.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.** ნიგოითში (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

◆ **ახალი სკოლა და სამკითხველო.** განათლების კომისარიატის ცნობით ზეგანში (ქუთ. მაზრა) გაიხსნა სკოლა და სამკითხველო.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **აფთიაქი.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა სოფ. ლოლოეთში (თბ. მაზრა) გახსნა აფთიაქი.

◆ **ახალი საავადმყოფოები.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მოზრდილ თემებში გახსნა პატარა საავადმყოფოები.

სხვადასხვა

◆ **საბჭოთა მიღწევების გამოფენა** ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში.

◆ **ამხ. სტალინის სახ. კლუბი.** სოფ. ჭორველში (შორ. მაზრა) გაიხსნა ამხ. სტალინის სახელობის კლუბი.

◆ **ახალი კოლექტიური მეურნეობები.** „საქართველოს ჩაი"-ს ცნობით მიქელგაბრიელში (ოზურგეთის მაზრა) დაარსდა ჩაის მეურნეთა 3 კოლექტივი.

◆ **ებრაელების მიწაზე მომუშავე საზოგადოების** რესპუბლიკური ყრილობა მოწვეული იქნება 1929 წლის იანვრის მეორე ნახევარში

◆ **რესტორან-სამიკიტნოების რიცხვი თბილისში.** თბილისის აღმასკომმა ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების ცნობით, ამჟამად თბილისში არსებობს 119 სამიკიტნო, 168 ღვინით სავაჭრო, 129 სარდაფი და რესტორანი, 95 სახაზე, სადაც სწარმოებს ღვინის გაყიდვა და 43 კოოპერატიული სასადილო.

მუშკოოპს დაევალა გააძლიეროს კოოპერატიულ სასადილოების ქსელი.

სასამართლო

საიდუმლოებით მოცული მკვლელობა

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით შეუდგა მოქ. ისაკო დავითის ძე შაფთოშვილის საქმის გარჩევას.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, შაფთოშვილმა ამა წლის 2 სექტემბერს დანით მოჰკლა ვაჭარი რაფაელ ბოთურაშვილი.

შაფთოშვილი ნოქრად მუშაობდა მოქალაქე მეკინულოვის ჭურჭეულობის მაღაზიაში.

ერთ დღეს შაფთოშვილი თავის დამქირავებელ მეკინულოვს შესჩივლა, რომ მას ჰქონდა ბრილიანტის თვლებიანი საყურეები და ოქროს მძივი, რომლებიც მისგან შეიძინა რაფაელ ბოთურაშვილმა და ფული არ გადაუხადა. ბოთურაშვილს უნდა მიეცა მისთვის 1662 მანეთი. მისცა მხოლოდ 12 მანეთი (!) და როცა დანარჩენ ფულს მოკითხა, ბოთურაშვილმა დაპირებულ თანხის მიცემაზე უარი უთხრა, შეიძლია 600 მანეთი და თან განუცხადა: მეტი არ ღირს, რადგან ბრილიანტის მაგიერ საყურეებს ციმბირის ქვის თვლები აღმოაჩნდაო.

შაფთოშვილს ეტყობოდა დიდი მღელვარება. ჩამოდგნენ შუა კაცები, რომლებმაც შაფთოშვილს აღუთქვეს საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარება. მაგრამ შაფთოშვილმა შუაკაცების მიერ მოსალაპარაკებლად მოყვანილ ბოთურაშვილს დაუწყო ყვირილი: „ეხლავე ანგარიში გამისწორე, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო".

„რა მოგივია, რას მთხოვ, შენ ავღრისტო" —უპასუხებს ბოთურაშვილი, ამ დროს შაფთოშვილი დანით რამდენიმე ჭრილობას აყენებს ბოთურაშვილს და ჰკლავს მას.

გამოძიებით ვერ არის დადასტურებული, მართლაც ჰქონდა თუ არა შაფთოშვილს ძვირფასი ნივთები. ეჭვს ჰბადებს შემდეგი გარემოება: როგორ ანდო უბრალო ნოქარმა შაფთოშვილმა 1662 მანეთად ღირებული ნივთები [illegible] პირს, რომელსაც შორიდან იცნობდა მხოლოდ. გაკვირვებას იწვევს აგრეთვე 12 მანეთის მიღება 1662 მანეთის ანგარიშში.

საქმის გარჩევა დიდ ინტერესს იწვევს.

სასამართლოს მიერ დაკითხული მოწმეები მხოლოდ მკვლელობის მომენტს და უმნიშვნელო ცალკეულ ამბებს ეხებიან. არ მოიპოვება არც ერთი მოწმე, რომელსაც შეეძლოს ბრილიანტის ისტორიის გარშემო რაიმეს დაბეჯითებით თქმა.

ბრალდებული სასამართლოშიაც იმეორებს, რომ მკვლელობის ჩადენის მიზეზი ბრილიანტის თვლებიანი საყურეების მითვისებაა ბოთურაშვილის მიერ.

საქმის გარჩევა გრძელდება.

მიზეზი ცეცხლის გაჩენა

გასული წლის დეკემბერში საღამო ხანს შორაპნის მაზრის ერთ-ერთ სოფლის მცხოვრებს გრიგოლ გარსიასძე მოდებაძეს უბედურება დაატყდა თავს. ცეცხლი გაუჩნდა მის სახლს.

ცეცხლი პირველად მეზობლებმა შენიშნეს, რომლებმაც ასტეხეს ყვირილი: „უშველოთ! ცეცხლი! ცეცხლი!"

მოდებაძე გამოვარდა ეზოში. მეზობლები უკვე ცეცხლის ქრობას შესდგომოდნენ. მოდებაძემაც წამოავლო ხელი ხის ნიჩაბს. რომლითაც დაიწყო თოვლის ჩაყრა ცეცხლში.

ყველანი დაუზარებლად და განსაკუთრებული სისწრაფით მუშაობდნენ.

ამ დროს მათ ჩაუარა ახლოს მოდებაძის ერთ-ერთმა მეზობელმა იოსებ ხვედელიძემ, რომელთანაც კარგს დამოკიდებულებაში არ იყო მოდებაძე.

ხვედელიძემ, მიუახლოვდა თუ არა ცეცხლის მქრობელ ხალხს, გაიხუმრა: „პაჟარნი კამანდას გაუმარჯოს!"

ეს იწყინა მოდებაძემ, შემოტრიალდა, მოარტყა ხელში ნიჩაბი და თავში სტკიცა ხვედელიძეს.

ცოცხალ-მკვდარი ხვედელიძე წაიყვანეს თავის სახლში. სადაც მან რამდენიმე დღე იკვნესა და შემდეგ გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო.

გიორგი მოდებაძე გაასამართლა შორაპნის მაზრის სასამართლომ. ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

გერ.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინწინ ღამით ლიდა გიორგის ასულმა მარშუესმა (მცხ. დასავლეთის ქ., 5). „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერით მოჰკლა თავისი ყოფილი ქმარი—ლეონიდე მარტინისძე მარგუესი. მკვლელობის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა. მკვლელი დაპატიმრებულია.

დაჭრა

11 ნოემბერს სოფ. იფნარში (აბულაქის სამილიციო რაიონი), ვიღაც უცნობმა კაცმა დაჭრა გრიგოლ მიხეილისძე თიბილაშვილი.

ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა სოსო თიბილაშვილი.

შეპყრობა

დაპატიმრებულია დავით მიხეილისძე ტოტოლაშვილი, რომელსაც ბრალდება ვასო გოგინოვის მოკვლა წინასწარი განზრახვით.

გამოტყუება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სიმონ ავაქისძე მატეროვი, რომელმაც საავშენებლო კომიტეტის მუშებს ავღრისტული გზით გამოსტყუა სახაზინო ფული.

მოკვლის განზრახვა

ვანო გიორგისძე კუჭუაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა თავისი მამა. კუჭუაშვილი პასუხისგებაშია მიცემული.

ქურდობა

გაქურდეს არუთინ ტოროსიანცის ბინა (წერეთლის ქ., 18), წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ნადია ბონდარენკოს ბინა (რიყის ქ., 21);—მოპარულია 336 მანეთის საოჯახო ნივთები;—გაქურდეს კონსტანტინე ზაუტოვის ბინა (ახალ არსენალის ქ., 7), წაიღეს 60 მანეთის ნივთები;—დავით სტურუას ბინიდან (მალაქის ქ., 32) მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.

ასანთი

1928—29 წლისათვის

ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირისა („ზაკოოპი") და ასანთის სინდიკატს შორის დადებულია გენერალური ხელშეკრულება ა.-კ. კოოპერაციისათვის ასანთის მიწოდებაზე 1928-29 წლისათვის.

ხელშეკრულების თანახმად, ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაცია 1928-29 წელში მიიღებს 149 ვაგონ (122.180 ყუთ) ასანთს.

ასანთის ეს რაოდენობა რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად იქნება განაწილებული: საქართველო მიიღებს—52.275 ყუთს, აზერბეიჯანი—44.485 ყუთს და სომხეთი—25.420 ყუთს.

რკინის გზებზე

ახალი ცდები სურამის უღელტეხილზე

ა.-კ. რკინის გზების გამგეობაში მიღებული ცნობით, გზათა-მიმოსვლის სახ. კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს ჩაატაროს სურამის უღელტეხილზე ცდები იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია ა.-კ. რკ. გზების საუღელტეხილო უბანზე მძიმე მატარებლების გატარება.

ცდები მოეწყობა ოთხი ორთქმავლით ისე, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩაბმული იქნება შემადგენლობის შუა ნაწილში.

მატარებლების გატარება საუღელტეხილო უბანზე ამჟამად მეტად გაძნელებულია და გზათა - მიმოსვლის კომისარიატი ფიქრობს, რომ მატარებლების წაყვანის ახალი წესის (მატარებლის წაყვანა ოთხი ორთქმავლით), შემოღება ხელს შეუწყობს საუღელტეხილო უბანზე მატარებლების გატარების გაძლიერებას.

რკინის გზების ცენტრალური სამმართველოს მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედის გზათა კომისარიატის სამი ინჟენერი და ა.-კ. რკ. გზების ერთი წარმომადგენელი. ეს კომისია უხელმძღვანელებს ცდებს.

ცდების მოსახდენად გზათა კომისარიატი ა.-კ. რკ. გზებზე გზავნის ოთხ მძლავრ სერიის ორთქმავალს.

კომისიას თბილისში მოელიან ამ დღეებში. ცდები დაიწყება დეკემბრის პირველ რიცხვებში და გასტანს ორ კვირას.

მეცნიერება და ტეხნიკა

საავტომობილო გამოფენა ბერლინში

ამ რამდენიმე ხნის წინად ბერლინში გაიხსნა საერთაშორისო საავტომობილო გამოფენა. ეს არის პირველი გამოფენა (მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასრულების შემდეგ), რომელზედაც წარმოდგენილია ყველა ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი საავტომობილო ფირმები. სულ გამოფენაზე წარმოდგენილია 600 ფირმა, რომელთა ექსპონატებს უჭირავს 72.000 კვ. მეტრზე მეტი სივრცე.

გამოფენა ნათლად ასურათხატებს საავტომობილო მრეწველობის უდიდეს მიღწევებს უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში. წარმოების რაციონალიზაციამ გამოხატულება პოვა ავტომობილების ფასის შემცირებაში, ტეხნიკის გაუმჯობესებამ კი ავტომობილის შინაგანი მოწყობის გაუმჯობესებაში, მანქანების საიმედობის, გამძლეობისა და სიმძლავრის გადიდებაში.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ახალი კონსტრუქცია. ყველაზე დიდ სენსაციას წარმოადგენს ავტომობილის მოდელი, რომელსაც არა აქვს ე. წ. „სისწრაფეთა" კოლოფი და მანქ. მართვა ხდება სპეციალური მექანიკური მოწყობილობის საშუალებით. ამის გამო სრულიად ზედმეტი ხდება ყველა ის ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია სისწრაფეთა შეცვლასთან და ასე აძნელებს ავტომობილის მართვას, განსაკუთრებით ქალაქის ქუჩებში „სისწრაფეთა კოლოფის" მოხსნა საშუალებას აძლევს შოფერს მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს გზას მანქანის წინ და ეს, ეჭვს გარეშეა, ძლიერ ადიდებს მოძრაობის უშიშროებას.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე რვაცილინდრიანი მოტორების გავრცელება. რვაცილინდრიანი მოტორები ვრცელდება არა მარტო დიდ და საშუალო ავტო-მანქანებზე, არამედ პატარა მანქანებშიც. აიხსნება ეს იმით, რომ ავტომობილები, რომელზედაც დადგმულია 8 ცილინდრიანი მოტორები, გაირჩევიან „რბილი სვლით (მისრიალებენ გზაზე), სვლის საიმედობით (თუ გაჩერდა ერთი ან რამდენიმე ცილინდრი, მუშაობენ დანარჩენები) და სხვ.

დასურათებული ენციკლოპედია

ძმ. ბერრის საგაზეთო ტრესტი (ინგლისში) ახლო ხანში უშვებს ორიგინალურ ენციკლოპედიას, რომელიც მთლიანად შედგენილი იქნება სურათებიდან, მოკლე განმარტებითი ტექსტით. ენციკლოპედია, რომელსაც ჰქვია „მე ყველაფერს ვხედავ", რამდენიმე ტომათ გამოვა და მასში მოთავსებული იქნება 100.000 ცალკე სურათი.

სიმაღლეზე გაფრენის ახალი რეკორდი

იმის შემდეგ, რაც გერმანელმა მფრინავმა გაოდერმა აეროპლანით „იუნკერს 34", რომელზეც მოთავსებული იყო 500 კილოგრამი ტვირთი, მიაღწია სარეკორდო სიმაღლეს—7.300 მეტრს, მეორე გერმანელმა მფრინავმა კნეერმა იმავე აეროპლანით დაამყარა სიმაღლეზე გაფრენის ახალი რეკორდი: 1000 კილოგრამ ტვირთით ის აფრინდა 6.300 მეტრის სიმაღლეზე. რეკორდი დასამტკიცებლად წარდგენილია საერთაშორისო საავიაციო ასოციაციაში.

ნარევი

რამდენხანს მიდის წერილი ადრესის გარეშე

ხარბინის (ჩინეთი) ერთმა მცხოვრებმა საინტერესო ცდა მოახდინა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ხანს ივლის წერილი გამოგონილი მისამართით და კონვერტზე აღნიშნა მეორე გამოგონილი მისამართი საფრანგეთში, სადაც უნდა გადაეგზავნა წერილი, თუ ამერიკელ „ადრესატს" ვერ იპოვნიდნენ. ამერიკიდან წერილი მართლაც გაგზავნეს საფრანგეთში, იქიდან კი—გერმანიით საბჭოთა კავშირში—ხარბინში დასაბრუნებლად. ამ „მოგზაურობას" წერილმა მოანდომა 4 თვე და 11 დღე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 23 ნოემბერი

დღეს, 23 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება

საუბარი—„მიკრობები, როგორც მტრები და მეგობრები ადამიანისა"; თურქული რადიოგაზეთი; მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ; მუსიკალური დასვენება; ტეხნიკური კონსულტაცია; კონცერტი სტუდიიდან, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 22

საქართველოს ს. ს. რ. შრომის და განათლების სახ. კომისარიატებისა

1928 წლის ნოემბრის 2

„არდადეგების და შვებულების დროს განათლების მუშაკთა შრომის ხელფასით დაკმაყოფილების წესის შესახებ"

საქართველოს ს.ს.რ. შრომისა და განათლების სახალხო კომისარიატების მიერ „განათლების მუშაკთა საზაფხულო არდადეგების დროს ხელფასის გაცემის წესის შესახებ" 1925 წ. ივლისის 6-ს თარიღით და № 36 გამოცემულ დადგენილების გასაუქმებლად (შრომის კომისარიატის კანონმდებლობა 1926 წ., გვ. 164—165), საქართველოს ს.ს.რ. შრომისა და განათლების სახ. კომისარიატები ადგენენ:

1. არდადეგები წარმოადგენენ სასწავლო მუშაობის შეწყვეტას მისი განსაკუთრებულ პირობების გამო.

შენიშვნა: არდადეგების დროის განმავლობაში (შვებულების პერიოდის გარდა) განათლების მუშაკი შეიძლება ჩაბმულ იქნეს მუშაობაში (მომავალი სასწავლო წლისათვის მომზადება, სასწავლო და საწარმოო გეგმების და პროგრამების შედგენა, კვალიფიკაციის აწევა და სხ.) მხოლოდ მათი სპეციალობის და თანამდებობის მიხედვით.

2. საზაფხულო არდადეგების მთელი დროის განმავლობაში განათლების მუშაკებს ენახებათ შრომის ხელფასი, რომელიც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს სწავლის შეწყვეტის წინა 3 თვის საშუალო ხელფასის მიხედვით.

შენიშვნა: იმ პირთ, რომელნიც სხვადასხვა სკოლებში მუდმივ მუშაკების დროებით წასვლის გამო ასრულებენ უკანასკნელთა მოვალეობას, უფლება აქვთ მიიღონ არდადეგების მთელი დროის განმავლობაში შრომის ხელფასი, უკეთუ მათ უმუშავნიათ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

3. არდადეგების დროის მეცადინეობის შეწყვეტა არ შეიძლება ჩათვლილ იქნეს, როგორც შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ბ" წერტილით გათვალისწინებული მუშაობის შეჩერება და როგორც შტატების შემცირების საბაბი, რის გამო არდადეგების დაწყების მიზეზით პედაგოგიურ და მოსამსახურე პერსონალის (მათ შორის სკოლის დარაჯების) დათხოვნა არ დაიშვება.

4. პედაგოგიურ შრომის პირთ, რომელნიც დათხოვნილი იქნებიან შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „ა" და „გ" წერტილებში აღნიშნულ მიზეზებით საზაფხულო არდადეგების დაწყების წინ ორი თვის ან და თვით ამ არდადეგების განმავლობაში, უფლება აქვთ მიიღონ საზაფხულო არდადეგების მთელი დროის ხელფასი, რომელიც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს დათხოვნის წინა სამი თვის საშუალო ხელფასის მიხედვით.

შენიშვნა 1: ამ დადგენილების მეოთხე მუხ. დათხოვნილთა გამოსასვლელი დახმარება შ.კ.კ. 88 მუხ. წესის მიხედვით ეძლევათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათხოვნა მოხდა ორი კვირის განმავლობაში არდადეგების დამთავრებამდე.

შენიშვნა 2: აღნიშნული მუხლი ვრცელდება სასწავლო დაწესებულებათა ყველა მუშაკზე, გარდა ტეხნიკურ, კანცელარიის და დამხმარე მოსამსახურეთა პერსონალისა.

5. განათლების მუშაკთა მორიგი შვებულება, როგორც საერთო წესი, ეძლევათ საზაფხულო არდადეგების პერიოდში. მორიგი შვებულების ხანგრძლივობა წესდება მომქმედ კანონმდებლობასთან შეფარდებით, თუ კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული რაიმე სხვა პირობები. მორიგ შვებულებაში ყოფნის დროს განათლების მუშაკთ არ შეიძლება დაევალოთ რაიმე მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

6. განათლების მუშაკთა დათხოვნის დროს, უკეთუ მათ არ უსარგებლიათ მორიგი შვებულებით, უნდა მიეცეთ გამოუყენებელ მორიგ შვებულების ფულადი კომპენსაცია შემდეგი ოდენობით:

ა) თუ დათხოვნისას უკვე მოპოვებულია შვებულების უფლება კუთვნილი შვებულების მთელი დროისა, ბ) თუ დათხოვნისას მოპოვებული არ არის შვებულების უფლება—ნამუშევარ დროის პროპორციონალურად (ორი კვირის შვებულების დროს. თვითეულ ნამუშევარ თვის 1 მეოცდაოთხედი, ერთი თვის შვებულების დროს 1 მეთორმეტ., ორი თვის შვებულების დროს 1 მეექვს. და სხ.).

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც დათხოვნილი იქნენ ამ დადგენილების მეოთხე მუხ. გათვალისწინებულ წესით.

7. თუ განათლების მუშაკი მორიგ შვებულებაში ყოფნის დროს ავად გახდება და საექიმო საკონტროლო კომისიის დადგენილებით განთავისუფლებულ უნდა იქნეს სამუშაოდან ამა თუ იმ ხნით ან მორიგ შვებულების დროს მიეცა შვებულება ფეხმძიმობის გამო, ან იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მორიგი შვებულება-ტერიტორიალურ ჯარის შეკრებულებაში გაწვევის გამო, შვებულების გამოუყენებელი ნაწილი გამოყენებული უნდა იქნეს განკურნების ან შეკრებულებიდან დაბრუნების შემდეგ, ან უნდა შეუერთდეს შემდეგი წლის შვებულებას, ან შეიძლება გაიცეს მისი ფულადი კომპენსაცია შემ. საკ. კომისიის თანხმობით. მორიგ შვებულებაში და აგრეთვე არდადეგებში ყოფნის დროს ავადმყოფობის ან ფეხმძიმობის გამო შვებულების მიღების შემთხვევაში ხელფასით დაკმაყოფილება სწარმოებს სოციალურ დაზღვევის ორგანოების მიერ.

8. საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს (მუხ. 2—4) ხელფასში შეტანილი უნდა იქნეს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სამუშაოთა ყველა სახის გასამრჯელო.

9. არდადეგების ხანგრძლივობას და ვადას ყოველწლიურად აწესებს ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატი განათლების მუშაკთა კავშირთან შეთანხმებით არა უგვიანეს მაისის პირველისა.

10. დადგენილება ესე ვრცელდება ყველა სასწავლებლების მუშაკებზე მიუხედავათ იმისა, თუ ვის უზრუნველჰყოფს ამ დაწესებულებებს, ფინანსიური მხრივ.

11. დადგენილება ესე ვრცელდება აგრეთვე განათლების იმ მუშაკებზე, რომელნიც სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლებლებში მუშაობდნენ ადმინისტრაციის განკარგულებით გადაყვანის გამო.

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარი ს. თოდრია.

საქართველოს ს.ს.რ. განათლების სახალხო კომ. მაგ. მ. ორახელაშვილი.

შეთანხმებულია: განათლების მუშაკთა კავშირის ცენ. გამგეობასთან—შ. გეგენავა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრებს: მელუას, ხაბეიშვილს, მარაშანიძეს და ხურცილავას (წიგნაკები №№ 1956, 2899, 2910 და 2833).

კითხვა

1928 წ. 1 იანვრიდან წარმოების რაციონალიზაციის გამო დაგვითხოვეს სამსახურიდან. ადმინისტრაციამ მოგვცა 14 დღის გასასვლელი, რაზედაც უარი განვაცხადეთ. გვქონდა აგრეთვე ნამუშევარი 5 იანვრამდის, რომლის ანგარიში ჯერაც არ მიგვიღია.

რამდენი ხნის გვერგება გასასვლელი და გვერგება თუ არა განაცდენი, სანამ საბოლოო ანგარიშს მივიღებდეთ ადმინისტრაციისაგან?

პასუხი

თუ თქვენ იყავით სახელმწიფო დაწესებულების ან საწარმოო მოსამსახურენი და რაციონალიზაციის გამო მოხსნილი იქენით სამსახურიდან, თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებისა 1927 წ. 27 სექტემბრიდან (კან. კრ. 1927 წ. № 56, მ. 562) გერგებათ გაძლიერებული გასასვლელი დახმარება ერთი თვის ჯამაგირის ოდენობით, აგრეთვე თქვენი ნამუშევარი 5 იანვრამდე. არავითარი განაცდენი თქვენ არ გერგებათ, ვინაიდან ანგარიშის მიღებაზე ადმინისტრაციიდან თქვენ თვითონ განაცხადეთ უარი.

კავშირის წევრს № 4115.

კითხვა:

სახალხო სასამართლომ გადამიწყვიტა ვუხადო ყოველთვიურად 12 მან. ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ მისი მდგომარეობის გამოსწორებამდე. უზენაეს სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა. ექსპერტების დასკვნით მისი ჯანმრთელობა გამოსწორდება 6 თვის განმავლობაში.

გთხოვთ განმიმარტოთ: რამდენი ხნით მავალებს სასამართლო ვარჩინო ყოფილი მეუღლე, ან რას ნიშნავს „მდგომარეობის გამოსწორებამდე"?

პასუხი

თქვენ ვალდებული ხართ აძლიოთ სარჩო თქვენ ყოფილ მეუღლეს მანამ, სანამ ის არის გაჭირვებული და შრომის უნარს მოკლებული, ე. ი. ამ უკანასკნელ მდგომარეობის გამოსწორებამდე, ხოლო თუ ეს მდგომარეობა შეიცვლება, შეგიძლიათ აღძრათ შუამდგომლობა სასამართლოში ალიმენტების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, პარასკევს 23 ნოემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება თათბირი პოლიგრაფიულ კლუბის შესახებ; თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ელბაქიანი (საქ. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭო), ცხაკაია (განათლების სახ. კომისარიატი), ნიკიტინი (მბეჭდავთა კავშირი), კომკავშირის ც. კ.-ისა და პოლიგრაფტრესტის წარმომადგენლები.

—

დღეს, პარასკევს 23 ნოემბერს, შუადღის 2 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ასრიბეკოვი (თბილ. კომიტეტი), ბუჯიაშვილი (კომკავშირის ც. კ.), ოინოვი (საკავშირო კომპარტიის (ბ.)ა.-კავკ. სამხარეო კომიტეტი), კიკნაძე (გაზ. „კომუნისტი"), სიხარულიძე (გაზ. „მუშა"), რახმანი (გაზ. „რაბოჩაია პრავდა") და ვოლსკი (გაზ. „ახალ. კომუნ.").

—:—

დღეს, პარასკევს 23 ნოემბერს დღის 1 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საგ. საპრ. და ბეჭდვით განყოფილებაში შესდგება სხდომა რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ა მიქაძე, ნ. კიკნაძე (გაზ. „კომუნისტი"), ბედია (თბილისის კომიტეტი), სიხარულიძე (გაზ. „მუშა") და ლ. აღნიაშვილი (ვაჭრსახკომი).

—:—

საქ. უნივ. სამკურნალო ფაკ. კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია სამკ. ფაკულტ. კომუჯრედის და სამკ. ფაკ. ა. ლ. კ. კავშირის უჯრედის გაერთიანებული საზოგადო კრება. ხსენებულ უჯრედების წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. პოლიტექ. ფაკულტეტის საამშენებლო დარგის ახ. ლ. კ. კ. უჯრ. საერთო კრება. კომკავშირის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც აქვთ შემოტანილი განცხადებები.

საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ პარასკევს, 23 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული პარტ-ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, დღეს 23 ნოემბერს, დილის 10 საათზე გამოცხადდნენ ბიურო კოლექტივში:
1. ხარაძე ლეო, 2. ძიგრაშვილი პალადი, 3. გონიაშვილი გიორგი, 4. ებანოიძე ნიკოლოზი, 5. გაბუნია სევერიანე.

—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს პარასკევს, 23 ნოემბერს, 12 საათზე მოწვეულია სტუდენტთა აღმასბიუროს კომ. ფრაქციის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. 1-ლი ბიურო აცხადებს, რომ ტარდება კომკავშირელების ხელახალი აღრიცხვა კომკავშირის ყოველი წევრი და კანდიდატი ვალდებულია გატარდეს აღრიცხვაში. აღრიცხვას აწარმოებს ამხ. გრიგოლ კუჭუხიძე (კომკავშირის ბიურო კოლექტივში).

—

სახელმწიფო უნივ. აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. 1-ლი უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება 23 ნოემბერს დილის 11 საათზე. სავალდებულოა ბიუროს წევრ კანდიდატთა დასწრება. უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: 1) ჯანელიძე იოსები, 2) ჩარკვიანი შალვა, 3) ნაროუშვილი მოსე, 4) გუნცაძე აკაკი, 5) მიხეილი გოგოლაშვილი, 6) ჩხენკელი ლევანი, 7) რუხაძე ტროფიმ, 8) ხახლოვი ივანე.

—

დღეს, 23 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე აგრ. ფაკულტეტის შენობაში მოწვეულია ამავე ფაკულტეტის III და IV კურსის ს. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა, ხოლო 6 საათზე—უჯრედის საერთო კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

ღრმად დამწუხრებული დედა თებრონე და ძმა ბოცია ურუშაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ აგრონომიულ ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

კოლია სიოს-ძე ურუშაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 25 ნოემბერს 1-ლ საათზე ქალ. ლახხუთში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

4969

სახელმწ. აკადემიური ოპერა
(1928—29 წლის სეზონი)
დღეს, 23 ნოემბერს 1-ლი აბონემენტის მე-2 წარმოდგენა 3 რ. სლივინსკის მონაწილეობით **პიკის ქალი**
24 ნოემბერს, 6 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა 3 რ. სლივინსკის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**
25 ნოემბერს, (ბოხ მეატის გარეშე) ქ ზ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **ჰუგენოტები**
დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი სალ. 8 საათ. ყველა საბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი რჩება სალაროში ჩვეულებრივი ფასით გასასყიდათ.
მზადდება დასადგმელად **გედის ტბა** ბალეტი მუსიკა ჩაიკოვსკის
2—1 ნ. 1864

სახკინმრეწვის კინოები
ბანთიადი — ეხატვრული კინო-პოემა **ზვენიგორა**
არფასტო, სოლეი, აპოლო — პრემიერა მსოფლიო ფილმ.) **თეთრი არწივი** მეიერხოლდის, კაჩალოვის და ანა სტენის მონაწ.
პალასი — გარი პილი სურათში **ექსპრესი** 2 სერიათ 14 ნაწ. ორივე სერია ერთად
მინიონი — მხატვრული სურათი **ტუმპე** პანოვის მოთხ.
დარბაზი — სეზონის საუკეთესო სურათი უცხოეთის ნაწარმოები **ქირვეული ცოლი**
პროლეტარი ვაგზალი — სეზონის საუკეთესო კომედია **იანკი კონსული**
პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან 0—14

ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8-64
დღეს, პრემიერების საღამო
გრანდიოზული პროგრამა პირველი ციკლისა
3 განყოფილებად ახალი გასტროლები!
ჟონგლიორი ქალები—4 კრონეცი
ცხოველების მწვრთნელი კნოკი
ნიკოლოზ ტამარინი ახალ რეპერტუარში და კიდევ 10 ატრაქციონი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.
სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
კვირას, 25 ნოემბერს დღის სანახაობანი მთელი დასის და ახალი გასტროლიორების მონაწილეობით. დასაწყისი დღის 2 საათზე. ბავშვები უფასოდ
დირ. ი. ზ. კუდრიავცევი, ხელმძღვანელი მ. ი. ტადე
ნ. 1857 3—2.
3—2

С 1-го ДЕКАБРЯ
МАССОВАЯ РАБОЧАЯ ГАЗЕТА
РАБОЧАЯ ПРАВДА
Газета „РАБОЧАЯ ПРАВДА", ставя своей целью обслуживание широких рабочих масс, будет выходить на 4 страницах прежнего формата.
БУДЕТ СТОИТЬ
2 к.
В РОЗНИЧНОЙ ПРОДАЖЕ
УСЛОВИЯ ПОДПИСКИ
ВСЮДУ С ДОСТАВКОЙ и ПЕРЕСЫЛКОЙ
На 1 год. . . . 5 руб.
На 6 мес. . . . 2 „ 60 к.
На 3 мес. . . . 1 „ 35 к.
На 1 мес. . . . 50 к.
4—3

ფ მახარაძე
თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა
მოსამზადებელი ხანა (1870—1890)
ფასი 25 კაპ.
იყიდება გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).
0—5. მთავარი კანტორა.

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: ჯამბულ ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის ძეგლის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ნ.1. 25—1

ამბროლაურის და ჭრებალოს უბ. სახ. სასამართლოების აღმასრულებელი გ. ავალიანი
აცხადებს, რომ 8 დეკემბერს, 1928 წ. სოფ. კვაცხუთში (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა), მალაქია, ნიკო და ამბროსი ბუჩას-ძე გაბრიჩიძეების ეზოში გაყიდის მათ მორაგ ქონებას **საჯარო ვაჭრობით** შეფასებით 17 ქასრ ღვინოს, 15 ბალიშს, სამ დიდ ლეიბს, ორ საბანს, ორი ბეიბლს, ერთ ნოხს, ერთ საკერავ მანქანას, ერთ სამოვარს, სამ ლორს, ორ ცხვარს, ერთ სპილენძის ქვაბს, ორ ზანდუკს, ერთ სპილენძის არაყის სახდელ ქვაბს, ერთ სპეციალურ შკაფს სამ ხის კიდს, ერთ მაგიდას და სხვა წვრილმან ნივთებს, შეფასებულს 506 მ. 70 კ. დასაკმაყოფილებლათ ნიაზო შიოშილაშვილის და გედეონ ტყეშელაშვილის ვალისა.
4972

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი შ. ლორთქიფანიძე
აცხადებს, რომ ის 26 ნოემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 127 პლეხანოვის პროსპ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ონუფრიადის მოძრავ ქონებას: ძაგიდებს, სკამ. ბს, საყვიტლეებს, სპილენძის ქვაბებს და სხვ. შეფასებულს 322 მანეთად, სახკვე ის კავშირის და სხვ.ბ-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამ.რთლოსაგან 1 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 6080 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
4974

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ქანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღის) ქ. № 20, მესამე სართული.
4403 25—1

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის უფროსი აღმასრულებელი ვ. დ. ასანიშვილი
აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს სოციალურ დაზღვევის კომიტეტის პრეტენზიის დასაკმ ყოფილებლად ა. წ. 3 დეკემბერს დილის 10 საათზე ქ. თბილისში, ვაკეზე მდებარე აგურ-კარხნების სასამართველოს ქონება: სახელდობრ 2.000.000 ცალი აგური შეფასებული 40.000 მან. და ა. წ. 5 დეკემბერს დილის 10 საათზე ქალ. თბილისში, დიდუბეში მდებარე საქ. საამშენებლო სააქციო საზოგადოება „სამშენი"-ს ქონება სახელდობრ:
1. 60 ცალი რკინის კოჭები — — 12 დიუმ. № 30
2. 300 „ „ „ — — 4 „ № 10
3. 50 „ „ „ — — 9½ „ № 24
4. 50 „ „ „ — — 8 „ № 20
5. 50 „ „ „ — — 7 „ № 18
6. 50 „ „ „ — — 6 „ № 16
7. 500 ფუთი რკინა რგვალი — 5/8
8. 1000 „ „ „ — 3/4
9. 1000 „ „ „ — 1
10. 200 „ „ ოთხკუთხი — 2,3/2,1/2
11. 500 „ „ „ — 1/2 და
12. 200 „ „ კუთხიანი — 50/50 შეფასებული 25 000 მან.
თანახმად სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის 1928 წ. 16 ნოემბ. დადგენილებისა
გაიყიდება საჯარო ვაჭრობით
ნ. 1875

გამოვიდა
ახალი აღთქმა
დემიან ბედნის თქმა
სილ. თოდრიას თარგმანი
ფასი 50 კაპ.
იყიდება სახელგამის და „შრომის" წიგნ. მაღაზიებში
4—2

იყიდება სახლი
ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 ოთახი წაღლის, დედამიწის მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.
0—9 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. ქუთ. 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა
ამით აცხადებს, რომ ის 4 დეკემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № ... ჟურნ... ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვანო პეტროს-ძე აბესაძის მოძრავ ქონებას: კიდლის სარკეს, ორ სავარძელს, ერთ დივანს ხავერდით გადაკრულს და სხვ. შეფასებულს 160 მანეთად, სიმონ მასხარაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოსაგან 31 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 390 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
4972

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ივ. სანებლიძე
აცხადებს, რომ ის 26 ნოემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 2 პუშკინის ქუჩაზე „მოტორი"-ს კანტორაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანდრია ბლიაძეიჯის მოძრავ ქონებას: ავტომანქანას ფორმა „ბენცი" შეფასებულს 500 მანეთად, მოქ. ალექსიევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 26 ოქტ. 1928 წ. თარიღით, № 5892 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
4975

ექიმი—ვენერილოგი
ნ. ნ. მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე ოლღის ქუჩ. № 4 ყოფ. ზუბალის აფთიაქთან, ტელ. 14-23. 25—1

ჩქარა!
ბარბარა ლა-მარ
უცხოეთის მხატვრულ სურათში
ბ-ნი მაკ-გრიუ
ნ. 1876

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა ავადმყოფთა და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6—საათამდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 1
25—15

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისის და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპასთან" ყოფ. „ნოეს" პიროგოვის ნოდარიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა
ღებულობს 5—6 ს. ვარდა კვირისა. სანაპირო ქ. № 7 (ყოფ. ნაბერეჟნაია მშრალი ხიდთან. ტელ. № 15—02
ნ. 7 25—1

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათა დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ძმელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესაჯრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად
25—1 ნ. 5

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი ცილი-თბაუხის)
მიღება { დილ 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
4598 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116, საატუმრო „ბოლ"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12, საღ. 7—8 საათამდე.
ტელეფ. —12—67. ნ. 3 25 2

თვალის ექიმი
მ ა ლ ა ე ვ ი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90.
ნ. 4 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილა-საღამოს.
ნ. 8 25—1

დაიკარგა: დაზღვევის წიგნაკი ვარა კუხიანიძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 17654 ონისიმე ეფიმიძე ორძლიკოვის სახელზე, ჩ. გ. 4973

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0866216 ისაკ ლაშქარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4951

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 1879 გიორგი სოლომონის ძე მელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4968

დაიკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 9689 თამარ თევდორეს ასულ ასანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4971

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 125 კასტა იერემიას ძე არჩვაძის სახელზე, ჩ. გ. 4970

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 63. მთავლიტი № 904.